გაზეთი ზოგისთვის, „ვერსია“ ყველასთვის
# ვერსია
№48 (804) 29 – 30 აპრილი, 2013 წელი
ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**20 გვერდი 40 თეთრი**

# „ობიექტივი“ დაიხურა! რას აპირებს ირმა ინაშვილი

„არსებობს ერთგვაროვანი სატელევიზიო სივრცე, „მაესტრო“, „მე-9 არხი“, თქვენი საყვარელი „რუსთავი 2“, ამ სივრცეში ჩვენ ვართ, როგორც ჩანს, სრულიად ზედმეტი!“



გვ. 3

## „ვერსია“ მედიაკავშირ „ობიექტივს“ სოლიდარობას უცხადებს!





გვ. 4

## ზაქარია ქუცნაშვილის, პავლე კუბლაშვილისა და გიგი წერეთლის ფარული შეხვედრები „ბეტსიში“

მამუკა კაციტაძე „ოცნებას“ ნაციონალებთან „პოლიტიკურ კუდრაჭობაში“ ამხელს და სკანდალურ ბრალდებებს უყენებს



გვ. 7

## „ანჟელა“ (გიორგი) მაზმანიანი ივანიშვილთან ჩახუტებაზე ოცნებობს

რატომ უყვარს „პატრიოტების“ ლიდერს პრეზიდენტი და მართლა გეგმავდა თუ არა გეი-აღლუმის ჩატარებას

## „დამიმტკიცონ, რომ „ქათამი“ ვარ?!

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

## დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

გვ. 3

## „პაატა დავითაიამ მითხრა, არსებობს ჩვენება, რომ 2008 წელს საქართველოს ხელისუფლებაში ღალატი იყო!“

გია ვოლსკი, აგვისტოს ომთან დაკავშირებით, პირადად სააკაშვილის გასამართლებას ითხოვს!

გვ. 5

დიტო გელოვანი

## დიდი კობას ამბები

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

## მედიცინის დოქტორი მადონა ცირეკიძე „ღუდუშაურის“ გენდირექტორს სასამართლოში უჩივის

გვ. 10

## „ნიკოლშოუ“, პატრიარქის კურთხევით, სოფელს აშენებს

„რატომ უნდა იცოდეს ჩემმა შვილიშვილმა, ჩვენი პრეზიდენტი დილა-საღამოს ვისთან „ჟიმაობს“?! გადაუარა ყველას, ზოგს რა მოაჭამა და ზოგს — რა! მიშა რომ ტუტუცია, ეს უკვე ყველამ ვიცით, ასე რომ, გაუმარჯოს ბიძინას!“

გვ. 14



დიტო გელოვანი

**ბოლოს კვაჭმაც მოითხოვა სიტყვა. მასპინძელს ხოტბა შეასხა, ყველა აალელვა, ცეცხლი მოიკიდა და სხვებსაც მოუკიდა: „ბატონებო! მეგობრებო! — მოუწოდა დასასრულს, — ცხოვრება ყველას მოგვერევა და დაგვჯაბნის, დაგვწვავს, გაგვთელავს, სისხლით და ცრემლით გვატირებს, მაგრამ ერთში მაინც ვერ მოგვღუნავს, ვერ მოგვდრეკს: ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენ დაბადებითვე რაინდობა და ვაჟკაცობა მოგვდევს, ჩვენს ძარღვებში კეთილშობილი სისხლი სჩქეფს, ჩვენ დედის ძუძუსთან ერთად მოგვიწოვია შეგნება და გრძნობა პატიოსნების, ძმობისა და ამხანაგობისა. ჩვენ ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი შეგნება წმინდა მოვალეობისა წინაშე ერთმანეთისა და ჩვენი ტურფა საქართველოსი. დუხჭირი ცხოვრება ყველაფერს წაგვართმევს, ჭაბუკობის ყვავილს დაგვიჭკნობს და მზესაც დაგვიბნელებს, მაგრამ...**

*(მიხეილ ჯავახიშვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“)*

# დიდი კობას ამბები



მაგრამ მაინც გაგებაა მთავარი, გაგება კი ის არის, მადლობის გადახდა და ბოდიშის მოხდა რომ შეგიძლია. ეს არის და ეს — მარტივად, ალალად და უსაყვედუროდ, ყოველგვარი ეთიკის ქარტიების გარეშე, გარეშე ყოველგვარი კონსტიტუციებისა, კოდექსებისა, დაწერილი, დასაწერი და ცვლილე-ბაშესატანი, პირველი, მეორე და მესამე მოსმე-ნებით მისაღები კანონების გარეშე. გადახდილი მადლობა ადამიანს იმის იმედით განაწყობს, რომ იგივე სიკეთეს შენც გააკეთებ, მოხდილი ბოდიში იმედით აღავსებს, რომ იგივე შეცდომას აღარ გაიმეორებ. მადლობის ადრესატის პროტესტის მიუხედავად, მადლობა უნდა იყოს ხმამაღალი, დაძლიე ბოდიშის ობიექტის წინააღმდეგობა და ბოდიში საჯაროდ მოიხადე.

ასე ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება და ასე იქმნება დემოკრატიული ინსტიტუტები. ისე კი არა, რომ რომელიღაც დონორმა საგრანტო კონკურსი გამოაცხადა, ვიღაც უსაქმურები შეიკრიბნენ, დააფუძნეს „საყოველთაო დემოკრატიის ხელშეწყობის ეროვნული სამოქალაქო ცენტრი“, მიიღეს გრანტი და სემინარებსა და ტრენინგებზე გადააგორეს გამძლარი და უფერული ცხოვრების მორიგი წელიწადი...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მადლობა და ბოდიში მაგარი კაცური ანუ ადამიანური ამბავი. განსაკუთრებით ბოდიში, რადგან სიკეთე ჩუმად უნდა კეთდებოდეს და სამადლობელი სიტყვებიც ვიწრო წრეში მოსულა, ხოლო „შევცდი“, „გთხოვთ, მაპატიოთ“ და „ბოდიში“ აუცილებლად ხმამაღლა უნდა ითქვას — ასე უფრო მეტია შანსი იმისა, რომ შენი ნაჭამი ტყემალი (ტყემალს კიდევ რა უშავს...) შვილიშვილს არ შეახსენებს თავს.

„დეპუტატი კობა დავითაშვილი ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსთვის ბოდიშის მოხდას არ აპირებს. როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას კობა დავითაშვილმა განაცხადა, კერძო სადაზღვევო კომპანიების ლობირებასთან დაკავშირებით, დავით სერგეენკომ კონკრეტულ კითხვებს უნდა გასცეს პასუხი. „ბატონ დავით სერგეენკოს ვურჩევ, პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს. შეკითხვები არის ძალიან კონკრეტული, მისი გადაწყვეტილებები არის კერძო სადაზღვევო კომპანიების ინტერესებში. როგორც ჩანს, ბატონ სერგეენკოს სურს, არსებით განხილვას თავი აარიდოს და ფორმალობაზე გადაიტანოს საკითხი. ამიტომ მას მოუწევს პასუხების გაცემა, სანამ პასუხებს არ გასცემს, ბოდიშს კი არა, ვერაფერს მიიღებს ჩემგან. პარლამენტში მისი მოსვლის საკითხი დაყენებული მაქვს ფრაქციის წინაშე“, — განაცხადა კობა დავითაშვილმა“.

კობა-დავით, ტაში, ტაში, სერგეენკო შეგხვდა კარში!

კარში რომ შეხვდა, ამასთან დაკავშირებით ცალკე ნიუსი არსებობს.

„ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, მასა და დეპუტატ კობა დავითაშვილს შორის შექმნილი დაძაბული სიტუაციის განმუხტვა „ბოდიშის მოხდამდე არ მისულა“. ამის შესახებ დავით სერგეენკომ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ამ შეხვედრას კობა დავითაშვილი და ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე ესწრებოდნენ. მინისტრი მიიჩნევს, რომ „დრამატიზებული სიტუაცია კომუნიკაციის პრობლემამ წარმოშვა“.

და თუ რატომ არ მისულა საქმე ბოდიშის მოხდამდე, ამის თაობაზე საკუთარი მოსაზრება გამაჩნია. სერგეენკო ყოფილი მორაგბეა, დავითაშვილი — ყოფილი სოციალ-დემოკრატი; სერგეენკო ბავშვებს კურნავდა, პედიატრია, ხოლო დავითაშვილმა საკუთარი შვილი სააკაშვილს მოანათვლინა; როცა სერგეენკოს მორაგბეებთან ჰქონდა საქმე, დავითაშვილი თავისუფლების ინსტიტუტში ტრიალებდა...

შემიძლია, დაუსრულებლად გავაგრძელო, მაგრამ ბევრი რომ არ გავაგრძელო, გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო ის, რომ ოთხი დღის წინ დავითაშვილმა სერგეენკოს კორუფციაში დასდო ბრალი და ბარემ, აქვე ვიტყვი, რომ ოთხი წლის წინ თქვენს მონა-მორჩილსაც დასდო ბრალი — მერაბიშვილი გაფინანსებსო და იქვე შემპირდა, მთელი ცხოვრება მე ვიზრუნებ შენს პიარზეო.

ეს რომ პირში ეთქვა, საქმე ბოდიშის მოხდამდე არ მივიდოდა, რადგან ვეტყოდი იმას, რაც დარწმუნებული ვარ, სერგეენკომ „საზავო მოლაპარაკებებზე“ გაიფიქრა, ანუ — „შენი ბოდიში ჯანში გაიკეთე, კობა დავითაშვილი ხარ თუ ჩემი...“

ასეა თუ ისე, გადამწყვეტი მაინც ბიძინა ივანიშვილის სიტყვები იყო — „კობა დავითაშვილს დავურეკე და მაგრად ვეჩხუბე“. რაც შეეხება კომუნიკაციის პრობლემას, მინდა გითხრათ, მთავარი გაგებაა, ხოლო კომუნიკაციის პრობლემა გაგების დეფიციტის (ამ შემთხვევაში — დავითაშვილის) ნაირსახეობას წარმოადგენს.

და, საერთოდ, კიდევ ერთხელ ვსვამ კითხვას: ვისი კარნახ-რეკომენდაციებით დაკომპლექტდა „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სია? აგერ — დავითაშვილის კვერცხობები, ორი კვირის წინ მწვანე გაჩეჩილაძემ გაშალა აფრები — 300 ათასი გამომიყავით, ოფისები და თანამშრომლები უნდა შევინახოო, ნანა ყეენიშვილი ნაცებმა მასხრად აიგდეს და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო — გია ჟორჟოლიანი, გუგული მაღრაძე და სხვები.

სხვებთან ერთად, ნიუს-ლენტაში ერთი საინტერესო ნიუსსაც მოვკარი თვალი და მგონია, რომ ზემოჩამოთვლილი ამბების გათვალისწინებით, სწორედ ახლა არის მომენტი, თქვენს სამსჯავროზე რომ გამოვიტანო:

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფისთვის სასტუმროების მფლობელები დააკავა. სამინისტროს ცნობით, აჭარის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დააკავეს ბათუმის სასტუმრო „სთარის“ მფლობელები: გელა ტ. და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე რამაზან ი. ასევე — სასტუმრო „გენაცვალეს“ მფლობელი, თამაზ ა.

თამაზ ა. რა როჟაა?! მაგრამ საინტერესო ის არის, გელა ტ-ს ამბავში „ტ“ გვარის პირველი ასოა თუ მისი ცხოვრების წესის აღმნიშვნელი სიტყვის პირველი ასო? პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფისთვის დაკავებულები იქით იყვნენ, მაგრამ მართლა, ვისი რეკომენდაციით გამოეყოთ პარლამენტში ადგილები კობა დ-ს, გია გ-ს, გუგული მ-ს და ნანა ყ-ს?

პრინციპში, მომწონს უმრავლესობის უმრავლესობა, განსაკუთრებით რამდენიმე, მაგალითად — ზაქარია ქუცნაშვილი, მაგრამ პატარ-პატარა იაღლიშებისგან არავინაა დაზღვეული.

გასულ კვირაში ენდიაის ამოფარებულმა ლუის ნავაროს კანტორამ მორიგი გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა — რომელი მინისტრი იმსახურებს თქვენს ნდობას, ხვალ რომ არჩევნები იყოს და ა.შ. შედეგები იყო ზუსტად ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. „საზოგადოებაში შიშის მოხსნის შემდეგ NDI-ს კვლევები უფრო სანდო გახდა, — ამის შესახებ განცხადება უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ზაქარია ქუცნაშვილმა გააკეთა. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს საზოგადოებაში შიშის ფონი იყო ძალიან მაღალი და NDI-ს კვლევები რეალობას არ ასახავდა“.

ჰო, ჰო... სულ ხალხში გამეფებული შიშის ბრალი იყო შარშანდელი რეიტინგები, თორემ ნავაროს სულ ფრთები ამოსდის და ბეჭები ეფხანება.

დიდი არაფერი იაღლიშია, მაგრამ მაინც... უბრალოდ, საწყენია. უბრალოდ, საწყენია, როცა მარიამ საჯაია პირს გააღებს ხოლმე. მშვენიერი გოგონაა, ლამაზი, კოხტა, გავლა-გამოვლაში შესამჩნევი, მაგრამ რად გინდა?! იტყვის რამეს და რაღა ეგ და რაღა მაია ნადირაძე, ანაც ორი უარესი — დავით გოგიბედაშვილი და გიგა ნასარიძე. გოგიბედაშვილი წოპიან ბერეტს რომ დაიხურავს და შარფს მოიხვევს, იფიქრებ, პროფესორია და თვით კობა ბექაური ეყოლება აღზრდილიო. გიგა ნასარიძე კი...

„არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება“ დამფუძნებელს გიგა ნასარიძეს ფიზიკურად გაუსწორდნენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გიგა ნასარიძემ განუცხადა, შემთხვევა ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე მოხდა. როგორც ნასარიძე აცხადებს, იგი საკუთარ ოფისში მიდიოდა, როდესაც ერთ-ერთმა გამვლელმა თავდაპირველად, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი ფიზიკური. „ამის შემდეგ გაწევ-გამოწევა დაიწყო. მერე პატრულიც გამოჩნდა“, — აღნიშნა ნასარიძემ, რომელიც ვარაუდობს, რომ უცნობი მოქალაქე ოპოზიციონერი იყო. ნასარიძის თქმით, შემთხვევის შემდეგ სამართალდამცველებმა განუმარტეს, რომ მათ გაღიზიანებული მოქალაქე დააწყნარეს და გაუშვეს“.

ოპ... – „...აღნიშნა ნასარიძემ, რომელიც ვარაუდობს, რომ უცნობი მოქალაქე ოპოზიციონერი იყო“. ვისი ოპოზიციონერი, ჰა? მაგას თავი ისევ ხელისუფლებაში ჰგონია. ისევ ჰგონია, რომ დახლთან დგას, დახლზე საქართველო უდევს და კლიენტებს უარით ისტუმრებს, საქართველო არ იყიდებაო. მაგაზეც გმადლობ, მეორედ რომ არ ყიდით.

კიდევ ერთი „ოპ“ – „...გაღიზიანებული მოქალაქე დააწყნარეს და გაუშვეს“.

და თქვენ გჯერათ, რომ ის გაღიზიანებული მოქალაქე, ჩემი ღრმა რწმენით, წესიერი, პატიოსანი და პატრიოტი კაცი, ასე იოლად დაწყნარდება?

ნასარიძე საჯაიაზე გამახსენდა და სულ დამავიწყდა, რატომ გამახსენდა საჯაია. აი, რატომ — „ფაქტია, რომ მოსახლეობის 56% ნაციონალურ მოძრაობას რეალურ პოლიტიკურ ძალად აფასებს. საქართველოში პოლიტიკური რეალობა და პროცენტული მაჩვენებლები სწრაფად შეიძლება შეიცვალოს, ამიტომაც საპრეზიდენტო არჩევნებში ჩვენს კანდიდატს, ვფიქრობ, გამარჯვების რეალური შანსი აქვს. ამ კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა ის რეალური პრობლემები, რომელიც საზოგადოებას აქვს და აჯობებს, ხელისუფლებამ იფიქროს მის მოგვარებაზე“, — აცხადებს მარიამ საჯაია“.

შავ-თეთრ ტელევიზორ „ჰორიზონტს“ (ზოგიერთი ვერსიით „გორიზონტს“) რომ გამოვრთავდი, ეკრანზე პატარა წერტილი რჩებოდა ხოლმე და ვიღაც-ვიღაცები ვიღაც-ვიღაცებზე ენამწარობდნენ, მაგხელა ტვინი აქვთო და აგერ, ელენე ხოშტარიამ რომ თქვა, ივანიშვილმა ნატო-სა და ევროკავშირზე ძალიან გაკვრით ილაპარაკაო, აქვე მინდა ვაღიარო, რომ ყოველთვის ძალიან გაკვრით ვსაუბრობ ნაციონალურ მოძრაობასა და მის მხარდამჭერებზე და მონოლოგების აბსოლუტურ უმრავლესობას ასე ვამთავრებ: „გავკარი!!!“

მოდი და ნუ გაკრავ. ინებეთ, ბატონო: „ევროსაბჭოს პოლონელი დეპუტატი ზბიგნევ გირჟინსკი სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ წერს, რომ მან საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისთვის დასმული შეკითხვა ქართული დელეგაციის წევრებთან, ჩიორა თაქთაქიშვილსა და თინათინ ბოკუჩავასთან შეათანხმა. როგორც ცნობილია, ზბიგნევ გირჟინსკიმ ბიძინა ივანიშვილს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე კითხვის დასმისას შემდეგი ტექსტით მიმართა: „თქვენ არ გიყვართ თქვენი ქვეყნის პრეზიდენტი სააკაშვილი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თქვენ ძალიან გიყვართ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი“.

ამხელა კაცი ქალების (რომელთაგან ერთი ჩიორაა, ხოლო მეორე — ქათამი) ჭკუაზე რომ გაივლის, რა უნდა ელაპარაკო ეგეთს? ეგეთს საერთოდ არ უნდა ელაპარაკო, არადა, როგორც ივანიშვილი ამბობს, ამ ყველაფრის შემდეგ, არაოფიციალურ ვითარებაში იმ გირჟისკინსთან თუ ვიღაცასთან, ერთობ მეგობრული საუბარიც კი ჰქონია.

გირჟინსკის ვურჩევ, არ შეცდეს და ფალიაშვილზე არ გაიაროს, თორემ ის ტიპი, ნასარიძის რისხვა, ჯერაც არ დაწყნარებულა, კარგა ხანს არც დაწყნარდება და ეგეც რომ არ იყოს, დასაწყნარებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ძალიან დაწყნარებული მეჩვენა ირინა იმერლიშვილი, რომელიც თურმე ნუ იტყვით, ელოდა, რომ მასზე რაღაცის ძებნას დაიწყებდნენ. „ამის შესახებ იმერლიშვილმა პრესკონფერენციაზე იმ ბრალდებების საპასუხოდ განაცხადა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კვების ტენდერსა და ამ ტენდერში მისი მეუღლის ხელმძღვანელობით ჩართულ ფირმას უკავშირდება“, — იუწყებოდა ჩემი მეგობარი სააგენტო.

ისე, რატომ ელოდა?

ვინც ჭიაკოკონობას ელოდება, მათ საყურადღებოდ: „ჭიაკოკონობას მეორადი საბურავების დაწვის შემთხვევაში ჯარიმა 400-დან 600 ლარამდეა. გარემოს დაცვის სამინისტრო ე.წ. ჭიაკოკონობასთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს და ახალგაზრდებს აფრთხილებს, რომ მეორადი საბურავების დაწვის შემთხვევაში, ისინი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან. როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული ქმედება გარემოს დაბინძურებას იწვევს“.

გასულ კვირაში პატარა ექსპერიმენტი ჩავატარე, ჯერ საბურავი დავწვი და შემდეგ რამდენიმე ნიუსის სათაური — „პრეზიდენტის ადმინისტრაცია, დავით ტყეშელაშვილის ნაცვლად, ანდრო ბარნოვის დანიშვნას ოფიციალურად ადასტურებს“, „ახლო მომავალში საზოგადოებრივი მაუწყებლის რებრენდინგი განხორციელდება“, „ანდრო ბარნოვი — პრეზიდენტის სასახლეში დღეს ორი პირი უნებართვოდ იმყოფებოდა“, „მიხეილ სააკაშვილი პრემიერს ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შენობის საკითხის გადახედვისკენ მოუწოდებს“, „ქდმ 2007 წლის 7 ნოემბერს „იმედში“ განვითარებული მოვლენების გამოძიებას მოითხოვს“...

მინდა გითხრათ, რომ ნიუსის სათაურებს, წვის მომენტში გაცილებით მყრალი სუნი და მავნე ტოქსიკური შემადგენლობა აღმოაჩნდა, ვიდრე საბურავს. ასე რომ, დასკვნები თავად გააკეთეთ.

ეს რამდენიმე დღეა, ერთ-ერთ რუსულ არხზე შტირლიცს ვუყურებ და ბავშვობას ვიხსენებ. მერე ხომ იცით, როგორც ხდება — გავლენა და რამე. ამ გავლენით არის, ნიუსს როგორც ინფორმაციას განსჯისათვის რომ გაახლებთ და აი, ისიც: „სატენდერო პირობების მიხედვით, ენერგეტიკის სამინისტრო ორი ერთეული მსუბუქი, მაღალი გამავლობის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების შესყიდვას გეგმავს.

ავტომობილები 2013 წელს უნდა იყოს გამოშვებული და გარბენი 40 კმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. ორივე ავტომობილი ასევე უნდა აკმაყოფილებდეს უახლოეს თანამედროვე ტექნიკურ მახასიათებლებს – ჰქონდეს კომფორტული სავარძლები თავის მისაყრდენებით, მძღოლისა და წინა მგზავრის სავარძელი რეგულირებით, ინტერიერის განათება, უკანა ხედვის შიდა სარკე დაბურვადი, წვიმის სენსორი და ა.შ.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 78 500 ლარს შეადგენს“.

ეს კიდევ არაფერი, სათაური იყო ისეთი, რომ ლამის ვიხოხე. აი, სათაურიც — „კახი კალაძის სამინისტრო ორი ახალი ვერცხლისფერი ავტომობილის შეძენას გეგმავს“.

რატომ მაინცდამაინც ვერცხლისფერი? რამე რო იყოს, ბორდო-ბადრიჯნისფერი არ წავა?

პივაზე წავა, მაგრამ ბევრი უნდა დალიო, ძალიან ბევრი. ამას ვერცხლისფერ ავტომობილებზე არ ვამბობ — 2013 წელსაა გამოშვებული და 40 კილომეტრზე მეტი არ ურბენია. ამას ვამბობ მათზე, ვინც ამ ნიუსის შემდეგ მახსენდება:

„...როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროცესების მხარდასაჭერად „ლიბერალისა“ და „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ ერთობლივ მუშაობას ითვალისწინებს.

რა უნდა ჰქონდეთ საერთო „ლიბერალს“ და ფერმერთა ასოციაციას? მხოლოდ და მხოლოდ მოგონებები. ორმა დაქალმა მემორანდუმი გააფორმა. აწი დაიწყება მონიტორინგი გენდერულ საკითხებზე (დედალი და მამალი ძროხების რაოდენობა თანაბარი რომ იყოს) და უმცირესობის პრობლემებზე (მამალი ძროხები ცოტანი იქნებიან)...

მიშა არ გვიხსენებია, მაგრამ სადაც დედალ ძროხას ახსენებ, იქ მიხეილ სააკაშვილიც იგულისხმება, ანდრო ბარნოვიც და მთელი ნაციონალური მოძრაობაც.

**მ. (მაშ)„ისიც საკუთარ სახლში — დაამთავრა კვაჭის პაპამ, ხუხუ ჩიჩიამ და სილიბისტროს მიუბრუნდა — ჰა, სილიბისტრო! რაღა გაქვს აწი სანატრი? ერთი პრაპორჩიკის ჩინი, პოლეტები და... შენზე უკეთესი მარშალი კიდო იქნება საქართველოში თუ?“**

*(მიხეილ ჯავახიშვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“)*

# „ობიექტივი“ დაიხურა! რას აპირებს ირმა ინაშვილი




## „არსებობს ერთგვაროვანი სატელევიზიო სივრცე, „მაესტრო“, „მე-9 არხი“, თქვენი საყვარელი „რუსთავი 2“, ამ სივრცეში ჩვენ ვართ, როგორც ჩანს, სრულიად ზედმეტი!“

ნიკა ჯანხოთელი

**27 აპრილის შუალედური არჩევნები ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებისთვის შესაძლოა, სერიოზულ თავისტკივილად იქცეს. პრობლემა ის კი არაა, რომ სამივე — ნაძალადევის, ბაღდადისა და სამტრედიის საარჩევნო ოლქში არჩევნები „ოცნებელებმა“ მოიგეს, არამედ ის, რომ შუალედურ არჩევნებს მედიაკავშირ „ობიექტივის“ დახურვა მოჰყვა!**

სხვათა შორის, მსგავსი პრეცედენტი — რომელიმე მედიასაშუალებას მუშაობა პროტესტის ნიშნად შეეწყვიტა — სააკაშვილის მმართველობის დროსაც არ დაფიქსირებულა! მაშასადამე, ჩასაფრებულებს სალაპარაკო მიეცემათ, „ოცნების“ პოლიტიკამ სწორედ ის მედიასაშუალება აიძულა, დახურვის გადაწყვეტილება მიეღო, რომელმაც ნაციონალების რეჟიმი წელში გატეხაო.

ისე, ვინმეს შეიძლება ამის აღიარება არ სიამოვნებს, მაგრამ „ობიექტივი“ ანუ ირმა ინაშვილი და მისი მეგობრები — სოსო მანჯავიძე, გიორგი ლომია, დავით თარხან-მოურავი და კოტე ინაშვილი რომ არ ყოფილიყვნენ, 2012 წლის პირველ ოქტომბერს, შესაძლოა, სხვა შედეგი დამდგარიყო!

**„ძალიან ადვილია, სახლში იჯდე, პირდაპირ ეთერში დარეკო, გამოხატო პოზიცია და არ მიხვიდე არჩევნებზე, არ დაუჭირო მხარი შენს რჩეულს. არსებობს ერთგვაროვანი სატელევიზიო სივრცე, „მაესტრო“, „მე-9 არხი“, თქვენი საყვარელი „რუსთავი 2“, ამ სივრცეში ჩვენ ვართ, როგორც ჩანს, სრულიად ზედმეტი, ამიტომ გადავწყვიტე, მივმართო მედიაკავშირ „ობიექტივის“ გამგეობას, იმსჯელოს მაუწყებლობის შეწყვეტის თაობაზე. თუ გამგეობამ მაუწყებლობის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო, მაშინ ჩემი ადგილი ამ ეთერში აღარ იქნება“,** — ეს განცხადება მედიაკავშირის ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში, 27 აპრილს, შუალედური არჩევნების პირველადი შედეგების გამოცხადების შემდეგ, გააკეთა.

შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, ინაშვილმა „ობიექტივის“ დახურვის გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ შუალედურ არჩევნებში მისი მეგობარი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი სოსო მანჯავიძე დამარცხდაო.

დამარცხებაც არის და დამარცხებაც!

ძნელი სათქმელია, შუალედური არჩევნები გაყალბდა თუ არა, მაგრამ ამ კუთხით კითხვები უდავოდ არსებობს.

**„ჯერ ერთი, ნაძალადევში, სამტრედიასა და ბაღდათში არჩევნები ზუსტად იმ საარჩევნო კოდექსითა და ამომრჩეველთა სიით ჩატარდა, რომელსაც 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების წინ, „ქართული ოცნება“ აპროტესტებდა და ამბობდა, რომ ეს ორი კომპონენტი, სხვა ბერკეტებთან ერთად, ნაცმოძრაობას გაყალბების იდეალურ შანსს აძლევდა. მეორეც, ქვეყანაში, სადაც ნაციონალებს დასანახადაც ვერ იტანენ, უბრალოდ, სასაცილოა, რომ ყოფილი მმართველი გუნდის მაჟორიტარობის კანდიდატი პაპუნა დავითაია მოწინავე სამეულში ხვდება, სოსო მანჯავიძე კი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს 9 წლის განმავლობაში ებრძოდა და ციხის კადრების ოპერაციაც მეგობრებთან ერთად დაგეგმა, აუტსაიდერთა სიაშია. ამ ქვეყანაში ყველას მარხავენ... ჩიტიშვილს, რომელიც გუშინ ჩამოვიდა საქართველოში, იგივე რაოდენობამ მისცა ხმა, რაც სოსოს, რომელიც 9 წელია რეჟიმს ებრძვის?! ე.ი. კაცი წავა, ფულს იშოვის, „დაიკიდებს“ რა ხდება მის ქვეყანაში, მერე ჩამოვა, იყიდის ამომრჩეველს და იგივე შედეგი ექნება, რაც — შენ. „ოცნებამ“ კი გამოიჩინა პოლიტიკური ეგოიზმი — სამივე ოლქში დააყენა კანდიდატურა“,** — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას ერთ-ერთი ინკოგნიტო წყარო.

რასაკვირველია, მოსალოდნელი იყო, შუალედურ არჩევნებს „ოცნების“ კანდიდატი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილი მოიგებდა. ამ ფონზე, „ობიექტივის“ დახურვის გადაწყვეტილება მის მესვეურებს, წესით, არჩევნებამდე უნდა მიეღოთ, მაგრამ 27-მა აპრილმა, როგორც ჩანს, ბოლო წვეთის ფუნქცია შეასრულა, მით უმეტეს, რომ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ოცნება“ მოვიდა, მედიაკავშირ „ობიექტივის“ ირგვლივ სიტუაცია არ შეცვლილა: არ ამოქმედებულა მასთ ქერი ანუ საკაბელო ტელევიზიებმა, როგორც ცნობილია, „ობიექტივი“ არ ჩართეს. ამასთან, „ობიექტივს“ არ დაუბრუნეს კუთვნილი არხი. ასევე, საგულისხმოა, რომ მაღალრეიტინგულობის მიუხედავად, ბიზნესმენებმა „ობიექტივში“ რეკლამის მიტანა მაინც არ გადაწყვიტეს. ყველაფერ ამას კი, როგორც „ვერსიას“ „ობიექტივის“ თანამშრომლებმა უთხრეს, ისიც დაემატა, რომ ბოლო დროს პირდაპირ ეთერში გარკვეული ადამიანები ორგანიზებულად რეკავდნენ და „ობიექტიველებს“ პირად შეურაცხყოფას აყენებდნენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება ვერსია, რომ ვიღაცას „ობიექტივი“, რომელიც სხვათა შორის, ღიად ამბობდა, რომ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის კურსს მხარს უჭერდა, მაგრამ კოალიციაში შემავალ სხვა ძალებს, მაგალითად, „რესპუბლიკელებს“ საჯაროდ აკრიტიკებდა, ნერვებს უშლიდა. თუ მსჯელობას ამ კუთხით გავაგრძელებთ, ვიღაცამ მიზანს მიაღწია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „ობიექტივი“ ქართულ სატელევიზიო სივრცეში, პრაქტიკულად, ერთადერთი ტელევიზია იყო, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის პრინციპით ხელმძღვანელობდა — გარდა იმისა, რომ წამყვანები სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანები იყვნენ, „ობიექტივის“ ღია ეთერში ნაციონალებსა და სხვა პიროვნებებზე გამწარებული ხალხი რეკავდა და, სხვა თუ არაფერი, ორთქლს უშვებდა. უარყოფითი ენერგია ჯინი არაა, ბოთლში გამოამწყვდიო... შესაბამისად, ძნელი მისახვედრი არაა, თუ რას იზამს ტრიბუნაწართმეული ხალხი.

*დასასრული მე-4 გვერდზე*


# დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს






**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-იდან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.**

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

**საკონტრაქტო სამსახურის პირობები:**
**ვადა:** 12 თვე
**გრაფიკი:** სამ დღეში ერთხელ 24 საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
**ყოველთვიური ანაზღაურება:** 90 ლარი;

**სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:**
1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

# ზაქარია ქუცნაშვილის, პავლე კუბლაშვილისა და გიგი წერეთლის ფარული შეხვედრები სასტუმრო „ბეტსიში“



## მამუკა კაციტაძე „ოცნებას“ ნაციონალებთან „პოლიტიკურ კუდრაჭობაში“ ამხელს და სკანდალურ ბრალდებებს უყენებს

**26 აპრილს, სასტუმრო „ბეტსიში“ მიმდინარეობდა კონფერენცია გენდერის თემაზე, რომელიც მოულოდნელად დატოვა ზაქარია ქუცნაშვილმა, ინტერფრაქციული ჯგუფის შეხვედრა გვაქვსო. სინამდვილეში, ეს იყო შეხვედრა ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის! ამის შესახებ „ბეტსიდან“ მაცნობეს. მაშინვე დავრეკე ჯგუფის მდივანთან, ბატონ კრავეიშვილთან და ვიკითხე, რაიმე შეხვედრა ხომ არ იგეგმება-მეთქი. მან არაფერი იცოდა — ეს შეხვედრა იუსტიციის სახლში შედგა! იქ არც მე ვყოფილვარ და, რამდენადაც ვიცი, არც ვინმე სხვა, „ოცნებისა“ და ნაციონალების რამდენიმე წევრის გარდა, ამიტომ ვამბობ, ეს ინტერფრაქციული ჯგუფი შირმა და ფარსია!**

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**რატომ დაუმტკიცა „ოცნების“ რამდენიმე წევრმა საკრებულოში გიგი უგულავას გაზრდილი ბიუჯეტი, რისთვის გადაურიცხა უგულავამ 750 000 ლარი მის მიერ მერიაში შექმნილ სპეცსამსახურებს, რატომ ხვდებიან ზაქარია ქუცნაშვილი, გიგი წერეთელი და პავლე კუბლაშვილი საიდუმლოდ იუსტიციის სახლში და რა საკითხებზე თათბირობენ ინტერფრაქციული ჯგუფისგან დამოუკიდებლად? — „ვერსია“ გთავაზობთ სკანდალურ ინტერვიუს საკრებულოსა და ინტერფრაქციული ჯგუფის წევრთან, „ახალი მემარჯვენეების“ გენერალურ მდივან მამუკა კაციტაძესთან.**

— თბილისის ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა, კერძოდ, გაჩნდა პროფიციტი 83 მლნ ლარი და არ მესმის, ეს ფაქტი კრიტიკის საგანი რატომ უნდა გახდეს. სამაგიეროდ, სადავოა მისი გადანაწილების თემა. როგორც ცნობილია, ეს თანხა გაიწერა გზების დაგებაზე, განათებაზე, სამეურნეო საკითხებზე, რამდენიმე ობიექტის აღდგენაზე და ა.შ.

**— არის ინფორმაცია, რომ გიგი უგულავამ თანხა მის მიერ შექმნილ სპეცსამსახურებსაც გადაურიცხა!**

— ასეა, თანხა, თუ არ ვცდები, 750 000 ლარს შეადგენს! ბიუჯეტზე ძირითადი აქცენტი სხვებივით მაშინ არ გამიკეთებია, როცა საკრებულო ტელეკამერებით იყო სავსე. საკრებულოს პირველივე სხდომაზე ვთქვი, თუ ადამიანი ოპოზიციაშია, პასუხისმგებლობა ორ კონკრეტულ თემაზე არ უნდა აიღოს: ეს ფინანსური და საკადრო პოლიტიკაა და ჩემი პოზიცია დღემდე ასეთია.

**— მოდით, ინტერფრაქციულ ჯგუფზე გადავიდეთ, ოფიციალური ინფორმაციით, ყველა წევრი შეთანხმებულხართ, რომ არჩევნები ბიომეტრული პასპორტებით უნდა ჩატარდეს. ამ შეთანხმებამდე როგორ მიხვედით?**

— არ არის ასე! მეც სწორედ ახლა გავიგე, რომ თურმე, ინტერფრაქციულ ჯგუფში შეთანხმდნენ და, როგორც ვახტანგ ხმალაძემ თქვა, მხოლოდ ტექნიკური დეტალებიღაა დარჩენილი, თანაც უახლოეს მომავალში, პარლამენტის სესიაზე გავა კანონპროექტი პარტიათა დაფინანსების შესახებ. არადა, ეს საკითხი ჯგუფში საერთოდ არ განხილულა!

**— ეს როგორ? — ზაქარია ქუცნაშვილმა ისიც თქვა, შეიძლება, 2013 წლის არჩევნებამდეც კი მოვასწროთ ბიომეტრულ სისტემაზე გადასვლაო...**

— ეს ტყუილი და დანაშაულებრივი თანამშრომლობაა მმართველ კოალიციასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის, რადგან ინტერფრაქციულ ჯგუფში მარტო საპარლამენტო პარტიები კი არა, ჩვენც ვართ სათათბირო ხმის უფლებით! საერთოდ, დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით კრინტი არ დაძრულა, ამიტომ როცა ინტერფრაქციული ჯგუფის გვერდის ავლით, მაგრამ მისი სახელით აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში კანონპროექტი მზად იქნება, ეს დანაშაული და დიდი ტყუილია! თუ ჯგუფის სხვა წევრების გვერდისავლით, ორმა კაცმა, ერთმანეთთან ყურში ჩაჩურჩულებით რაღაც შეათანხმა, იმას არ ნიშნავს, რომ ეს გავლილ-შეთანხმებული საკითხია. ინტერფრაქციული ჯგუფის მესამე ანუ ბოლო სხდომაზე მოწვეულ იქნა ექსპერტი ბიომეტრული პარამეტრებით საარჩევნო სიის შექმნასთან დაკავშირებით, რომელმაც წაიკითხა ლექცია, დავუსვით კითხვები და სხდომა ისე დასრულდა, ამის იქით არაფერი მომხდარა. ითქვა, რომ ამ თემაზე მსჯელობა უნდა გავაგრძელოთ. ახლა კი გამოდიან და ამბობენ, ეს საკითხი გადაწყვეტილიაო! შემიძლია პირდაპირ ვთქვა, თუ უკვე არ იქცა, მაშინ ეს ჯგუფი მალე იქცევა შირმად, თითქოს, იქ ბევრი პარტიაა, სინამდვილეში კი, „ყურში ჩაჩურჩულებული კოჰაბიტაცია“ მიმდინარეობს! ახლახან სპეციალური ბრიფინგი ჩავატარე და საკონსტიტუციო კომისიის შექმნაც მოვითხოვე.

**— ამას თვეების წინ დავით უსუფაშვილიც ითხოვდა, მაგრამ კომისიის შექმნა გადაიდო. თქვენი აზრით, რატომ?**

— სწორედ უსუფაშვილმა დააყენა საკითხი, რომ კომისია ორი მიმართულებით იმუშავებდა: ერთი იქნებოდა საარჩევნო კოდექსისა და პარტიების შესახებ კანონის მიმართულება, მეორე კი კონსტიტუციისა და თვითმმართველობის შესახებ კანონი. ინტერფრაქციულ ჯგუფში, თითქოს დაიწყო საარჩევნო თემატიკაზე საუბარი, რაც უკვე დანაშაულებრივ ხასიათს იძენს! აი, რაც შეეხება საკონსტიტუციო და თვითმმართველობის მიმართულებას, ეს ორი თემა ადგილზე ისეა გაყინული, ოდნავაც არ დაძრულა! სწორედ ბოლო სხდომაზე ვკითხე ჯგუფის ხელმძღვანელს ზაქარია ქუცნაშვილს, როდის შეიქმნება ეს კომისია-მეთქი და მიპასუხა, ნოემბერშიო.

**— ანუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ?**

— ზუსტად! ეს ის დროა, როცა საარჩევნო საკითხები უკვე დასრულებული იქნება. თვითმმართველობის თემა კი 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე, პრაქტიკულად, ვერ ესწრება. ის, რაც 2010 წელს ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაწერა კონსტიტუციაში პრემიერის ძალაუფლების გასაძლიერებლად, ნოემბერში უკვე ძალაში შევა ისევე, როგორც ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო უმრავლესობა ორი მესამედით კი არა, სამი მეოთხედით განისაზღვრება, რაც ნაციონალების, როგორც უმცირესობის მნიშვნელობას გაზრდის და „ოცნება“ სერიოზულ ბერკეტებს დაკარგავს!

**როცა ქუცნაშვილს ვკითხე, რატომ იქმნება კომისია ნოემბერში-მეთქი, თქვა, ნაციონალური მოძრაობა არ თანხმდება ამ კომისიის დღეს შექმნასო. ეს რომ ზაქარია ქუცნაშვილს ჩემთვის ერთი ერთზე ეთქვა, თქვენ არ გეტყოდით, მაგრამ იმ სხდომას პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებიც ესწრებოდნენ. თურმე, საკონსტიტუციო კომისია ნოემბრამდე იმიტომ არ იქმნება, რომ ეს ნაციონალებს არ აწყობთ!**

ჰოდა, ახლა ჩანს, რომ ყველა დანარჩენი, ვითომ შეთანხმებული საკითხი მხოლოდ ამ ორ ძალას შორის შეთანხმებული ყოფილა! თუ იმ სხდომაზე დამსწრეთაგან რომელიმეს განსხვავებული მოსაზრება ექნება, მზად ვარ, მასთან ნებისმიერ დებატებში დავჯდე და ჩემი სიმართლე დავამტკიცო. თუ ვინმეს, ვინც პარლამენტში დროებით მოიკალათა, ჰგონია, რომ ერთის კეთებისა და მეორის ლაპარაკის უფლება აქვს, ძალიან შემცდარა. ამ გადაწყვეტილებებს მთელი ჯგუფი კი არა, ხელიხელგადახვეული „ოცნება“ და ნაციონალები ჩვენი სახელით იღებენ! კი ბატონო, არც ამის საწინააღმდეგო მაქვს რამე, მაგრამ როცა ჩემი სახელით ლაპარაკობ, მინიმუმ, ინფორმაცია მაინც მომაწოდე.

დღეს ნაციონალები იძულებულნი არიან, ზოგიერთ სიტუაციაში ჩაყვნენ უმრავლესობას, ოღონდ ისე, რომ ამაში საკუთარი ინტერესებიც ჩადონ! ჰოდა, რადგან ეს მოლაპარაკებები ჯგუფის ფორმატსმიღმა ხდება, ე.ი. დანარჩენი წევრები ამ ორის თანამშრომლობას ხელს ვუშლით!ეს ყველაფერი დაზუსტებული და გადამოწმებულია!

**ამ გასაიდუმლოებულ შეხვედრას ესწრებოდნენ ზაქარია ქუცნაშვილი, პალიკო კუბლაშვილი და გიგი წერეთელი. ამ დროს, ინტერფრაქციულ ჯგუფში, „ახალი მემარჯვენეების“ გარდა, ოფიციალური წევრები, სათათბირო ხმის უფლებით, არიან ქრისტიან-დემოკრატები, ევროპელი დემოკრატები, საქართველოს გზა და სამართლიანი საქართველო. მათი არც ერთი წევრი შეხვედრაზე არ ყოფილა!**

**— რას აპირებთ, ასე უნდა გააგრძელოთ „მუშაობა“ ინტერფრაქციულ ჯგუფში?**

— ნამდვილად არ ვგეგმავ პროცესიდან დისტანცირებას, გაბრაზებას, ფეხის დაბაკუნებასა და ჯგუფიდან წამოსვლას, პირიქით, ველოდები ოფიციალურ შეხვედრას, სადაც ყველა ამ საკითხს დავსვამ და კითხვებზე პასუხებს მოვითხოვ! რატომ ჰგონიათ ჩემს ძველ კოლეგებს „ოცნებიდან“, რომ თუ ნაციონალების შირმობა მიუღებელი იყო, „ოცნების“ შირმობა მისაღები იქნება?! აი, თურმე, რატომ ჩაკეტა „ოცნებამ“ ეს ჯგუფი პარლამენტში! ასეთი რამ ნაციონალებსაც კი არ გაუკეთებიათ! თუ ყველა დანარჩენი ხელსა და ნერვებს უშლიდა, თავიდანვე მხოლოდ ნაციონალებთან დაეწყოთ ლაპარაკი. ეს „პოლიტიკური კუდრაჭობა“ „ოცნებისთვის“ ბოლოს უსიამოვნო შედეგით დასრულდება, თორემ ნაციონალი ამ ყველაფრიდან მხოლოდ ხეირობს! „ოცნებამ“ ეს ან არ იცის, ან აწყობს, სხვა დასკვნას, უბრალოდ, ვერ გამოიტან!

**ზუსტად ვიცი, გამოვლენ და იტყვიან, კაციტაძემ იმ თავის შექმნილ სიებს მიხედოს, ან ეს ამბავი არ შეესაბამება სიმართლესო, მაგრამ ყველას მივმართავ — ბატონებო, როცა რაღაცას აკეთებთ, იმის თავი და ერთი ადგილიც უნდა გქონდეთ, სხვის ზურგს არ ამოეფაროთ! როცა ხელისუფლება გქვია და კიტრად მოგაქვს თავი, ისიც უნდა შეძლო, შენი დაწყებული საქმე ხელში არ შემოგადნეს!**

მეოთხე

# „ობიექტივი“ დაიხურა!

*მე-3 გვერდიდან*

რას აპირებს მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი და განაახლებს თუ არა ტელევიზია მუშაობას ანუ „ობიექტივის“ დახურვა დროებითი საპროტესტო აქტია? — „ვერსია“ ირმა ინაშვილს დაუკავშირდა, თუმცა მან კომენტარზე უარი განაცხადა. კულუარული ცნობით კი, ინაშვილს არც საპროტესტო აქციების ავანგარდში ვიხილავთ და არც მისი მეგობრების პარტია საქართველოს პატრიოტთა ალიანსში ანუ გამოდის, რომ ირმა ინაშვილი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს 2003 წლიდან ებრძოდა, დროებით ტაიმ აუტს იღებს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: შუალედურ არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე, პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა, პრაქტიკულად, ღიად განაცხადა, რომ მისთვის მისაღებია, მესამე პოლიტიკურ ძალად სალომე ზურაბიშვილის ან ირმა ინაშვილის მეგობრების პარტია ჩამოყალიბდეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა ქვეყნის მეორე დიდი ქალაქის, ქუთაისის საკრებულოში ნაციონალური უმრავლესობა დაშალა და საკუთარი ფრაქცია შექმნა. ამ ფონზე, თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ნაძალადევის მაჟორიტარულ არჩევნებს სოსო მანჯავიძე მოიგებდა, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა და ყველაფერ ამაში „დამნაშავე“, როგორც ჩანს, საზოგადოებაა. აკი, „ობიექტივის“ ხელმძღვანელობაც აქცენტს სწორედ საზოგადოებაზე აკეთებს.

დაუშვა თუ არა საზოგადოებამ შეცდომა? — ამ კითხვას დრო უპასუხებს, თუმცა თავისთავად დამაფიქრებელია, რომ ხალხი ადამიანს, ამ შემთხვევაში, სოსო მანჯავიძეს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ხმალამოღებული იბრძოდა და კოჰაბიტაციასაც აპროტესტებს, გვერდით არ დაუდგა...

ასეა თუ ისე, დამოუკიდებელი მედიასაშუალების, თუნდაც პროტესტის ნიადაგზე დახურვა, ცუდი პრეცედენტია...

**P.S. 28 აპრილს, საღამოს, მედიაკავშირ „ობიექტივის“ გამგეობამ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:**

**„ვითვალისწინებთ რა „ობიექტივის“ მსმენელისა და მაყურებლის წუხილსა და ინტერესს, „ობიექტივის“ მაუწყებლობის შეჩერების გამო, გაცნობებთ: 2013 წლის 28 აპრილს ჩატარდა „ობიექტივის“ გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ჟურნალისტებიც. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:**

**მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი საკუთარი ნება-სურვილით ტოვებს დაკავებულ თანამდებობას; ახალი მენეჯმენტის ფარგლებში შეიცვლება გადაცემების ფორმატი, ასევე, შეიცვლება წამყვანთა უმეტესობა, მომზადდება ახალი სატელევიზიო ბადე. ჩვენ მომავალშიც დავიცავთ საზოგადოებრივი მაუწყებლის პრინციპს, მაგრამ შევიმუშავებთ სატელეფონო ზარების მიღების ახალ ფორმას. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, რამდენიმე დღით შეჩერდება „ობიექტივის“ მაუწყებლობა“.**

რუსუდან შელია
557-100-768

# „პაატა დავითაიამ მითხრა, არსებობს ჩვენება, რომ 2008 წელს საქართველოს ხელისუფლებაში ღალატი იყო!“

## გია ვოლსკი, აგვისტოს ომთან დაკავშირებით, პირადად სააკაშვილის გასამართლებას ითხოვს!



**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევისა და სასამართლო რეფორმის განხორციელების შემდეგ, ყოფილი მაღალჩინოსნების გასამართლებას არ გამორიცხავს... რა შეთანხმება შედგა დათა ახალაიასა და „ქართულ ოცნებას“ შორის და მიიღო თუ არა კუდ-ის ყოფილმა უფროსმა ხელისუფლებისგან უსაფრთხოების გარანტიები, რატომ ცდილობს გიორგი ვაშაძე ნაციონალურ მოძრაობაში შექმნილი ფარული დაჯგუფების ლიდერობას და ვინ მოატყუა 2008 წელს სააკაშვილი — დასავლეთმა თუ რუსეთმა? — „ვერსიის“ კითხვებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი პასუხობს.**

— მას შემდეგ, რაც სისტემა შეიცვლება და მოსამართლეები პრესისგან გათავისუფლდებიან, კანონის წინაშე ყველა დამნაშავე პასუხს აგებს — არ აქვს მნიშვნელობა, ეს ვანო მერაბიშვილი იქნება თუ გია ვოლსკი. გარწმუნებთ, ზედამხედველობის იმ რეჟიმში, რაშიც საქართველო დასავლეთის მხრიდან იმყოფება, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ერთი მოსამართლეც ველარ გაბედავს... ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე წარმომადგენლის გასამართლება გარდაუვალია, რადგან ამ ადამიანებმა კონკრეტული ოჯახები აწამეს და ბევრი უდანაშაულო მოქალაქის სისხლი დაღვარეს...

**— ევროპარლამენტის სხდომაზე და საქართველოში დაბრუნების შემდეგაც, ბიძინა ივანიშვილი სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყებაზე უკვე კატეგორიული ტონით საუბრობს, თუმცა ნაციონალური მოძრაობა პრემიერის განცხადებებს 19 აპრილის აქციას უკავშირებს.**

— პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ დასავლეთი საქართველოში სტაბილურობას მიესალმება და ისიც ზუსტად იცის, კოჰაბიტაციასა და სამართლიანობის აღდგენას ერთმანეთისგან გამიჯვნა სჭირდება. მერე რა, თუ ამისთვის გარკვეული ეტაპების გავლა დაგვჭირდა?! მთავარია, რომ ახლა პარტნიორები ბოლომდე გვენდობიან.

რაც შეეხება 19 აპრილს, რუსთაველის გამზირზე კიდევ ერთხელ ნათლად გამოიკვეთა, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ფარული დაჯგუფება არსებობს, რომელსაც ჯერჯერობით, თანაგუნდელ დამნაშავეებთან დგომა აღარ სურს და მალე მისგან გამოყოფას გეგმავს. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ამ გუნდის სათავეში ჩადგომას გიორგი ვაშაძე ცდილობს. პარალელურად, ნაციონალურ მოძრაობაში ვანო მერაბიშვილის დაჯგუფებაც არსებობს, რომელიც ახლა ევროპული ფასეულობების დამცველად გვევლინება. ვფიქრობ, მერაბიშვილი შეცდომაში შეგნებულად შეჰყავთ.

**— ვის? ისე, რუსთაველზე შეკრებილი ადამიანები, სხვა გამომსვლელებთან შედარებით, ოვაციებით მხოლოდ სააკაშვილს შეხვდნენ და რამდენიმე წუთი „მიშა-მიშასაც“ სკანდირებდნენ. პარტიაში სააკაშვილის ადგილი აღარ არის?**

**— როგორც ჩანს, ვანო მერაბიშვილის გენერალური მდივნობა, შიგნით ბევრს არ მოსწონს. ისიც ფაქტია, რომ რუსთაველზე სააკაშვილის გამოჩენა ვანო მერაბიშვილს არ მოეწონა და, პროტესტის ნიშნად, სცენა ისე დატოვა, ლიდერს არც კი მოუსმინა. დიახ, გიორგი ვაშაძისა და ნუგზარ წიკლაურის ფონზე, ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილია, მაგრამ მისი პოლიტიკური კარიერის პერსპექტივას ვერ ვხედავ. ახლა ნაციონალურ მოძრაობაში ურთიერთგარიყვის პროცესი მიმდინარეობს და შორს არაა ის დრო, როცა მას რამდენიმე ჯგუფი გამოეყოფა. ბუნებრივია, ვანო მერაბიშვილსაც თავისი გეგმები და ამბიციები აქვს, თუმცა რამდენად მოახერხებს ამ გეგმების განხორციელებას, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს.**

**— დიდი ხანია, ნაციონალური მოძრაობის დაშლაზე საუბრობთ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს გუნდი ჯერ ერთიანია და თავს მთავარ ოპოზიციურ ძალასაც უწოდებს. მეტიც, ზოგჯერ ამ გუნდის მოთხოვნების გაზიარებაც გიწევთ.**

— მთავრობაში რაც უნდა კარგი ბიჭები და გოგონები ვიყოთ, თუ ვინმემ, თუნდაც უსამართლოდ არ გაგვაკრიტიკა, პოლიტიკური ჩამოძინების კანდიდატები გავხდებით, ამიტომ ოპოზიციის მიერ გამართულ მიტინგს მივესალმები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პროცესს სათავეში ნორმალური ადამიანები უნდა ჩაუდგნენ.

**სხვათა შორის, სტრასბურგში შევნიშნე, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ერთგვარი ბუფერი ჩამოყალიბდა, რომლის უკან დამნაშავეები იმალებიან. ნაციონალური მოძრაობის ბუფერში გაერთიანებული ადამიანების ფუნქციაა, საერთაშორისო ასპარეზზე რაც შეიძლება, ხმამაღლა იყვირონ, რომ საქართველოში ადამიანების უფლებები ირღვევა. საბედნიეროდ, ეს ტაქტიკა მათ არ შველის, რადგან ნაციონალური მოძრაობის შიგნით ბევრად ბინძური პროცესები მიმდინარეობს.**

**— შეთქმულებებში, როგორც ჩანს, ხელისუფლებაც ჩართულია. მას შემდეგ, რაც დათა ახალაიას წერილი გამოქვეყნდა, ყოფილი მაღალჩინოსანი გია ხუხაშვილმა ჯერ მსხვერპლის როლში გამოიყვანა, შემდეგ კი იმაზეც დაიწყო საუბარი, რომ მას, შესაძლოა, ბრალი შეუმსუბუქდეს. ნაციონალური მოძრაობის დაშლის პროცესს თქვენც უწყობთ ხელს, არა?**

— მსგავს შემთხვევებში, ბრალის შემსუბუქებას შესაბამისი კანონმდებლობა ითვალისწინებს. ცხოვრება ერთია, დრო გადის, უამრავი ბოროტება დავთესე, უკან რომ ვიხედები, მომავლის მეშინია — ახალაიები დღეს სწორედ ამ განცდაში არიან. შესაბამისად, თავის გადარჩენაზეც ზრუნავენ.

**— სხვათა შორის, მამუკა არეშიძემ განაცხადა, დათა ახალაიას „ქართულ ოცნებაზეც“ აქვს კომპრომატებიო. გამოდის, ახალაიებთან გარიგებით მმართველი გუნდი თავის გადარჩენას ცდილობს?**

— ვფიქრობ, მამუკა არეშიძე, რომელიც კონფლიქტების კომიტეტში მოწვეული ექსპერტია და საკმაოდ კარგ ანაზღაურებასაც იღებს, ამ შემთხვევაშიც, სწორი ლოგიკით მსჯელობს. ბუნებრივია, თუ დათა ახალაიას ნაციონალურ მოძრაობაზე კომპრომატები გააჩნია, „ქართულ ოცნებაზე“, როგორც მოწინააღმდეგე ძალაზეც, საკმაოდ ბევრი იცის. ზოგადად, კომპრომატები და დანაშაულის დამამტკიცებელი მასალები ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. მაგალითად, არ შეიძლება ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ ინფორმაციას კომპრომატი დავარქვათ — ეს ბევრად სერიოზული საქმეა, რომელსაც შესაბამისი ორგანოები აუცილებლად გამოიძიებენ.

**— რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციისას დაღუპული ორი ადამიანის ეგსჰუმაცია იგეგმება. გამოძიებას დათა ახალაიას მიერ მოწოდებული ფაქტების საფუძველზე იწყებთ?**

— ამ შემთხვევაში მთავარი პრობლემა ეროვნული უსაფრთხოების საკითხია. დიდი ხანია ვამბობ, რომ არ შეიძლება, ევროპულ მომავალზე საუბრობდე მაშინ, როცა რუსეთის ზურგში სადგისის როლს ასრულებ. ჩვენი წინამორბედი სწორედ ამ პოზიციაში იყო. 2008 წლის ომში ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური სიშტერე კარგად გამოჩნდა, როცა რუსეთის გეგმის განხორციელებით, საკუთარი ინტერესების გატარების შანსი დაკარგა. ამერიკელები 2006 წლიდან ხაზგასმით გვეუბნებოდნენ, რომ რუსეთთან კონფრონტაციას უნდა მოვერიდოთ, რადგან მსგავს მდგომარეობაში დასავლეთი ველარ დაგვეხმარებოდა. იმავე წლის ივნისში კი, საქართველოსთან აშშ და ევროკავშირი აქტიურად საუბრობს, რომ რუსეთი ომისთვის ემზადება, ამიტომაც სხვა მიმართულების არჩევა აუცილებელია. ბუნებრივია, მაშინ იმაზე არ იყო საუბარი, რუსეთი კავკასიიდან კუდამოძუებული უნდა წასულიყო. მოლაპარაკების პროცესში, მოულოდნელად, ქართულმა მხარემ ტონი შეცვალა და რუსეთი ჯერ ბეჟუაშვილმა, შემდეგ კი სააკაშვილმა მტრად გამოაცხადა, რამაც პროცესები დააჩქარა.

**რუსეთმა მერაბიშვილი და სააკაშვილი მოატყუა, თუ მერაბიშვილისა და მოსკოვის შეთანხმებით, სააკაშვილი გააცურეს, ფაქტია, რომ დიდი კონსპირაცია შედგა და შედეგად, საქართველოს ტერიტორიები დავკარგეთ.**

**— დღეს, როცა ქვეყნის უსაფრთხოების სამხედრო დოქტრინაში რუსეთის მიმართ რიტორიკა იცვლება, პრეზიდენტი პრემიერს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში სიფრთხილისკენ მოუწოდებს.**

— სააკაშვილს გადაეცით, შენ მაინც გაჩუმდი-თქო! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უამრავი მოწმეა, როცა საომარ სცენაზე სააკაშვილი დროშებითა და ტრიბუნით მივიდა. სხვათა შორის, სააკაშვილს პირდაპირ არ უთქვამს, თუმცა საკმაოდ სერიოზული მინიშნება გააკეთა იმის შესახებ, რომ ამერიკა 2008 წლის ომში ძალისმიერ ჩარევას გეგმავდა. კერძოდ, მან განაცხადა, ამერიკელები გვირაბის დაბომბვაზე საუბრობდნენ და გემი, რომელიც საქართველოში შემოვიდა, მხოლოდ სასმელი წყლით დატვირთული არ ყოფილაო. მან ბუშთან სატელეფონო საუბარიც გაიხსენა: უკვე ომში ჩართულ საქართველოს პრეზიდენტს ბუში ეკითხება, გიჭირს? სააკაშვილი კი პასუხობს, მიჭირს, მაგრამ შენ რას შვრებიო? ერთი სიტყვით, სააკაშვილი ცდილობს, რუსეთის მახეში გაბმის საწინააღმდეგოდ, დასავლეთისგან მოტყუებული პრეზიდენტის იმიჯი შეიქმნას, ამიტომაც ვითხოვ, აგვისტოს ომის გამოძიებას პოლიტიკური მნიშვნელობაც მიეცეს.

**— სააკაშვილი გასამართლებას ითხოვთ — ქვეყნის პრეზიდენტის გასამართლება რუსეთის ინტერესების გატარება არ იქნება?**

— გამოძიების მოთხოვნა რუსეთის ინტერესების გატარებას არ ნიშნავს, რადგან ქვეყანამ უნდა იცოდეს, რა მოხდა რეალურად 2008 წელს. იუსტიციის მინისტრი მეუბნება, რომ საქმეს პოლიტიკური მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ ომში ადამიანების უფლებების დარღვევის შესახებ ფაქტებს წარვადგენთ. ცნობილია, რომ წინა ხელისუფლებამ რუსეთის წინააღმდეგ ჰააგაში შეტანილი სარჩელები გამოიტანა, შესაბამისად, მიჩნდება შეკითხვა: რატომ აღარ უჩივლა ქართულმა მხარემ რუსეთს, აქაც შეთანხმებასთან გვაქვს საქმე? ახლა პაატა დავითაია გამოდის და იმის თქმას ბედავს, რომ ცხინვალმა აგვისტოს ომის გამოძიება ქართული მხარის მიერ მათდამი დამოკიდებულების შერბილების შემდეგ დაიწყო. სხვათა შორის, დავითაია კამერების წინ სხვას ამბობს, პირად საუბარში კი განსხვავებულ ინფორმაციებს მაწვდის. ერთ-ერთი გადაცემის შემდეგ მითხრა, რომ მისი კომისიის მიერ დადებულ დასკვნაში არსებობს ჩვენება, სადაც საკმაოდ სოლიდური პიროვნება ამბობს, რომ 2008 წელს საქართველოს ხელისუფლებაში ღალატი იყო, თუმცა ეს ფაქტი დღემდე არ გამოძიებულა. ასე რომ, არც ერთი კომისიის დასკვნა კაკლის ნაჭუჭად არ ღირს, თუ მას შესაბამის სამართლებრივ დონეზე არ შევაფასებთ.

ვერსიანიუსი

# ალასანიას განმარტებით, საფრთხის ანალიზსა და შეფასებებში ფუნდამენტური ცვლილება არ მომხდარა



საქართველოს თავდაცვის მინისტრმა „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის“ დოკუმენტის შესახებ ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა. როგორც ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, დოკუმენტში საფრთხის ანალიზსა და შეფასებებში ფუნდამენტური ცვლილება არ მომხდარა. საქართველოსთვის კვლავაც ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეს რუსეთის ფედერაცია და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში განთავსებული მისი შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ.

**„ერთადერთი, რაც დოკუმენტს ჩვენს მიერ პრემიერთან დისკუსიების შემდეგ დაემატა, არის ახალი რეალობა და ის პრაგმატიზმი, რომელიც რუსეთთან მიმართებით გაჩნდა — რუსეთის ფედერაციასთან იწყება სავაჭრო და ჰუმანიტარულ საკითხებზე დიალოგი, რაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზების პატარა იმედს იძლევა“,** — განაცხადა ალასანიამ.

ირაკლი ალასანიას შეფასებით, „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის“ დოკუმენტი სხვადასხვა უწყებების კოლექტიური შრომის შედეგია. მინისტრის განცხადებით, დოკუმენტი დასრულებულია და ხელმოსაწერად გადაგზავნილია პრეზიდენტთან.

ცნობისთვის: „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა“ თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს, სადაც 2017 წლამდე საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების ძირითადი მიმართულებებია გაწერილი.

*„მედიანიუსი“*

# შუალედური არჩევნები პოლიციის, ლეიბორისტული პროტესტისა და „ოცნებური“ შამპანურის თანხლებით

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**27 აპრილს „ოცნების“ ხელისუფლებამ სამ საარჩევნო ოლქში — ნაძალადევში, სამტრედიასა და ბაღდათში პირველი შუალედური არჩევნები ჩაატარა და ის შედეგები „დაიდო“, რაც მოსალოდნელი იყო: ცესკო-ს წინასწარი ინფორმაციით, ნაძალადევში „ოცნების“ კანდიდატი თამარ კორძაია 39,5%-ით ლიდერობს. მეორე ადგილზე კახა კუკავაა „თავისუფალი საქართველოდან“ 17,3 %-ით, მესამეზე — ნაციონალი ექსმინისტრი მირზა დავითაია 15,1 %-ით, მეოთხეზე — იოსებ მანჯავიძე 12,9%-ით, მეხუთეზე ზვიად ჩიტიშვილი 11,5%-ით, შემდეგ მოდიან „ლეიბორისტი“ გიორგი გუგავა 3,1%-ით, გია ნემსაძე 0,17%-ით, გიორგი ლილუაშვილი 0,1%-ით, ზაზა მეზვრიშვილი 0,08%-ით. ბოლო ადგილზე კი, 9 საარჩევნო ხმით ანუ 0,05%-ით ხვიჩა ასანიძეა. პირველადგილოსნები ბაღდათსა და სამტრედიაშიც „ოცნების“ წევრები არიან — ბაღდათში 61,9%-ით პაატა კიკნაველიძე იმარჯვებს, მეორე ადგილზე ნაციონალი ვლადიმერ წიქორიძეა 21,1%-ით. სამტრედიაში ლიდერი გიორგი კახიანია „ოცნებიდან“ 80,9% -ით, ნაციონალ ემზარ შუბლაძეს კი მხოლოდ 18,7% აქვს.**



არჩევნების შედეგებს პრემიერიც გამოეხმაურა, რომელიც ნაციონალების მიერ მიღებული მხარდაჭერით აშკარად უკმაყოფილოა: **„არჩევნები ჩატარდა წყნარად და კულტურულად, ანგაჟირების გარეშე. ასეთივე წყნარი იქნება ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებიც, ოღონდ სხვაობა მონაწილეებს შორის უფრო დიდი იქნება და ჩემი გადმოსახედიდან, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი 10%-საც ვერ აიღებს!“**

არჩევნების მცირე მასშტაბის მიუხედავად, 27 აპრილს რამდენიმე საინტერესო ტენდენცია მაინც გამოიკვეთა: ცესკო-ს მონაცემებით, ჯამში, ამომრჩევლის აქტივობა 32-33%-ს შეადგენდა, რაც პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ორჯერ დაბალია. გარდა ამისა, ალბათ ყველა, ვინც აქამდე ამტკიცებდა, ადმინისტრაციულ რესურსს ნაციონალები იყენებენო, დარწმუნდა, რომ ამ რესურსს სიამოვნებით იყენებს „ოცნებაც“ და ამას რამდენიმე, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, თუმცა საგულისხმო დარღვევაც მოწმობს: ნაციონალები 27 აპრილს, შუადღისას, სამტრედიისა და ბაღდათის რამდენიმე უბნის გაუქმების მოთხოვნით იმუქრებოდნენ. გაყალბების მცდელობის მთავარი არგუმენტი კი ის იყო, რომ ბაღდათის პოლიციის უფროსი საარჩევნო კომისიის წევრებს მანქანაში სათითაოდ ისვამდა და მითითებებს აძლევდა. ამავე რაიონის 13 უბანზე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდა წყალტუბოს გამგებლის მოადგილეც. რამდენიმე უბანზე, მაგალითად, სოფელ დიმში, 12 საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მისულ ამომრჩევლებს „ოცნების“ კოორდინატორი კაბინაში დაჰყვებოდა. სამტრედიის 21-ე საარჩევნო უბანზე კი, გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგები მთლიანად გაბათილდა, რადგან ყუთის უბანზე დაბრუნების შემდეგ, სიაში ერთი ამომრჩევლის ხელმოწერაც არ იყო დაფიქსირებული.

ნაძალადევში არჩევნებმა, რამდენიმე ტექნიკური ხარვეზის გარდა, უფრო მშვიდად, პოლიციის ჩარევის გარეშე ჩაიარა. ესეც კიდევ ერთი ტენდენციის მაჩვენებელია — ახლაც ისევე, როგორც ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნისას, რეგიონებში ბევრად მეტი პრობლემა და უკონტროლო ვითარებაა, ვიდრე დედაქალაქში. რაც შეეხება ნაძალადევის რაიონს, აქ 99 საარჩევნო უბანი გაიხსნა და დამკვირვებლად 20-მა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ იმუშავა. რაიონის სხვადასხვა უბანზე დილიდან „ოცნების“ ლიდერების მობილიზაცია შეიმჩნეოდა. არჩევნების მიმდინარეობის სიმშვიდით კმაყოფილებას ვერ მალავდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირინა იმერლიშვილი. აი, დავით საგანელიძემ კი, რომელიც, 2012 წელს „ოცნების“ საარჩევნო შტაბის უფროსი იყო და, სავარაუდოდ, თავის გუნდში არჩევნების მეტრად იქცა, ისიც კი ვერ დამალა, რომ შედეგები წინასწარ იცოდა: **„სამივე საარჩევნო უბანზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ლიდერობს“,** — ამაყად განაცხადა საგანელიძემ 20 საათზე, ზუსტად იმ დროს, როცა საარჩევნო უბნები დაიკეტა. სხვათა შორის, როცა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ჩიორა თაქთაქიშვილმა იგივე განცხადება სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა, მისმა ოპონენტებმა ეს თავდაჯერებული განცხადება გაყალბებად შეაფასეს, ამიტომ ალბათ, მედია ლოგიკურ დასკვნასაც გამოიტანს და სავსებით ლეგიტიმურ კითხვას დასვამს — რა იცოდა საგანელიძემ სამივე რაიონის არჩევნების შედეგები? მისი მხრიდან ეს განცხადება ან პოლიტიკური სიბეცეა, ან იმის არაპირდაპირი აღიარება, რომ არჩევნების ბედში „ოცნებამ“ გარდატეხა შეიტანა! ვიდრე საგანელიძე ცესკო-ს თავმჯდომარის ფუნქციას ითავსებდა და შედეგებს აცხადებდა, თამარ კორძაიას შტაბმა ოფიციალურ ვებგვერდზე საკუთარ კანდიდატს გადეპუტატება მიულოცა და ესეც 4 საათით ადრე მოხდა, ვიდრე ცესკო თუნდაც პირველად შედეგებს ოფიციალურად გააჟღერებდა. კორძაია, რომლის მტკიცებითაც, „რესპუბლიკელებთან“ კავშირი არ ჰქონია, არჩევნების საღამოს თავად პარლამენტის თავმჯდომარემ დააფასა და მასთან შტაბში მივიდა. ცესკო-ს პირველად შედეგებს შტაბში შეხვდა ნაძალადევის ყოფილი რჩეული, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც, რომელმაც თავისი „პოლიტიკური სიყვარული“, ნაძალადევი თანაგუნდელს გადაულოცა. შამპანურით ხელში, კორძაიას გამარჯვება მის შტაბში პარლამენტარებმა — ანი მიროტაძემ და გიორგი ვოლსკიმ, ასევე ახლადაოცნებებულმა ჯაბა სამუშიამ და ზაზა გაბუნიამაც აღნიშნეს.

ვითარება გვიან ღამით და მეორე დღეს დაიძაბა, როცა კორძაიას ოპონენტები მწარე მარცხის მერე გონს მოვიდნენ და პოლიტიკური განცხადებები გააკეთეს. ყველაზე მწვავე გამოხმაურება ნაძალადევის შედეგებს მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელის, ირმა ინაშვილისგან მოჰყვა. ინაშვილი მხარს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსელ“ სოსო მანჯავიძეს უჭერდა, შედეგების გამოცხადების შემდეგ კი, პირდაპირ ეთერში სკანდალური განცხადება გააკეთა „ობიექტივის“ მაუწყებლობის შეჩერების შესახებ!

მეორე ადგილზე გასული კახა კუკავას განცხადება „საარჩევნო სკანდალთა“ სიაშიც მეორე ადგილზე გავიდა — პოლიტიკოსმა სამაგიდო სიების გახსნა და საარჩევნო სიებთან შედარება მოინდომა, რისი უფლებაც, ცესკო-ს წევრების გარდა, არავის აქვს! ნაციონალი მირზა დავითაია კი ერთადერთი იყო, ვინც ოპონენტს გამარჯვება მიულოცა. **„არჩევნები იმ რიტორიკით მიმდინარეობდა, თითქოს ნაციონალები ბარიერს ვერ გადალახავდნენ, თუმცა ასე არ მოხდა. ასევე ოქტომბერთან შედარებით, „ოცნების“ მხარდაჭერამ დაახლოებით, 35%-ით იკლო, რაც გზავნილია მოსახლეობის მხრიდან, რომ მთავრობამ საქმეს უნდა მიხედოს“,** — მრავალმნიშვნელოვნად დასძინა დავითაიამ.

ჩვეულ ფორმაში აღმოჩნდა „ლეიბორისტული დუეტი“ — როგორც კი არჩევნების შედეგებს არასასურველი პირი გამოუჩნდა, შალვა ნათელაშვილმა და გიორგი გუგავამ სპეციალურ ბრიფინგზე მაშინვე თავი დაიზღვიეს, ყველა სხვა შედეგი, სადაც გუგავას გამარჯვება არ დაფიქსირდება, გაყალბებული იქნებაო, 28 აპრილს კი გაგულისებულმა ნათელაშვილმა ოცნება-ნაციონალები „ლეიბორისტების“ წინააღმდეგ შეთქმულებაში ამხილა: **„ვულოცავ „ნახალოვკას“! თქვენ ივანიშვილის წარმომადგენელი, ჰომოსექსუალების დამცველი ქალბატონი ღირსეულად წარმოგადგენთ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში! ეს იყო მოსყიდული ოპოზიციისა და ხელისუფლების შეთქმულება ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგ!“**

ჯამში, სამივე ოლქში წარმატების მიუხედავად, „ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას მაინც ვერ აგროვებს და ყველა ის დაპირება, რაც საარჩევნოდ მედიასა და სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს მისცა, არ შესრულებულა: საარჩევნო კოდექსი არ შეცვლილა, საარჩევნო სიებისთვისაც არავის გადაუხედავს, მაჟორიტარული სისტემისთვის 30%-იანი ბარიერიც იგივე დარჩა და რაც მთავარია, „ოცნების“ ხელისუფლებას არ დაუზუსტებია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების არც ერთი მუხლი, რომლითაც თავადაც მშვენივრად ისარგებლა!

ვერსიანიუსი

## უწმინდესმა ის ჯგუფი დალოცა, რომელიც იერუსალიმში ღვთაებრივი ცეცხლის ჩამოსატანად მიემგზავრება



**„როდესაც ერი ადიდებდა უფალს, მაცხოვარი ტიროდა, ტიროდა იმიტომ, რომ ხალხი, რომელიც დღეს ადიდებდა და უგალობდა, იგივე ხალხი რამდენიმე დღის შემდეგ იტყოდა: ჯვარს აცვით იგი. ასეთი ცვალებადია ადამიანი“,** — ბრძანა უწმინდესმა საკვირაო ქადაგებისას და ერთ-ერთი ინდოელის ცხოვრება გაიხსენა, რომელიც ვერ კმაყოფილდებოდა თავის სარწმუნოებით და ეძებდა ჭეშმარიტ ღმერთს.

მისი თქმით, ეს იყო სუნდალ სინგი, რომელმაც ნამდვილი ღმერთის ძიებაში ბიბლიაც დაწვა, მაგრამ ერთ დღეს, როდესაც მას თვითმკვლელობა ჰქონდა გადაწყვეტილი, უფალი გამოეცხადა და უთხრა, რომ მე ვარ იესო ქრისტე, რომელსაც შენ სდევნი. ამის შემდეგ მან ირწმუნა მაცხოვარი და მისი გადაწყვეტილებით განრისხებულმა მამამ მოსამსახურეებს მისი მოწამვლა უბრძანა. მათ ეს ბრძანება შეასრულეს კიდეც, მაგრამ ქუჩაში დავარდნილი სინგი გამვლელებმა ერთ-ერთ მონასტერში წაიყვანეს და იქ მკურნალობით გადარჩა. ყოველივე ამის შემდეგ მან დაიწყო ქადაგება. მას ეკითხებოდნენ, რომ ახლა, როდესაც მთელი მსოფლიო გიცნობს და გადიდებს, სიამაყის გრძნობა როგორ არ გეუფლებაო. ამაზე სუნდალ სინგმა უპასუხა, რომ იერუსალიმში შესვლისას მოსახლეობა ბზის ტოტებსა და საკუთარ ტანსაცმელს უგებდა არა — იმ ვირს, რომელზეც მაცხოვარი იჯდა, არამედ თავად მაცხოვარს. ამით მან თავი ვირს შეადარა.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, ინდოელი მოციქული უდაბნოში აღესრულა. ის მე-20 საუკუნეში მოღვაწეობდა.

საკვირაო ქადაგების დასრულების შემდეგ, პატრიარქმა ის ჯგუფი დალოცა, რომელიც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე იერუსალიმში გაემგზავრება ღვთაებრივი ცეცხლის ჩამოსატანად.

*„მედიანიუსი“*

# „ანჟელა“ (გიორგი) მაზმანიანი ივანიშვილთან ჩახუტებაზე ოცნებობს

## რატომ უყვარს „პატრიოტების“ ლიდერს პრეზიდენტი და მართლა გეგმავდა თუ არა გეი-აღლუმის ჩატარებას



## „დამიმტკიცონ, რომ „ქათამი“ ვარ?!

რუსუდან შელია
557-100-768

**პირველად ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის მხარდამჭერ აქციაზე გამოჩნდა და მას შემდეგ ნაციონალური მოძრაობის ერთგულ აქტივისტად ითვლება. 19 აპრილის აქციაზე კი სცენაზე ასულ მიხეილ სააკაშვილს ეხუტებოდა. არცთუ დიდი ხანია, ახალი მოძრაობა „პატრიოტები“ დააფუძნა, თუმცა როგორც თავად ამტკიცებს, დაფინანსება არავისგან მიუღია. რა მიზნით გადაწყვიტა პოლიტიკაში ჩართვა, ვინ და რატომ შეარქვა ანჟელა და რა შეთავაზებებს ელის მმართველი გუნდისგან? — „ვერსია“ გიორგი მაზმანიანს ესაუბრა.**

— პირველად იუსტიციის სამინისტროსთან, ბაჩო ახალაიას დაკავების გამო გამართულ საპროტესტო აქციაზე გამოვჩნდი, შემდეგ კი ვანო მერაბიშვილის მხარდამჭერ შეკრებასაც შევუერთდი. ერთი სიტყვით, პოლიტიკაში ჩართვა არჩევნების შემდეგ გადავწყვიტე, რადგან მიმაჩნია, რომ ნაციონალურ მოძრაობას, შეცდომების მიუხედავად, ქვეყნისთვის ზიანი არ მოუტანია, რასაც ამჟამინდელ ხელისუფლებაზე ვერ ვიტყვი.

**— საინტერესოა, არჩევნების მეორე დღესვე როგორ აღმოაჩინე, რომ ახალი ხელისუფლება ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯებს დგამდა?**

— მართალია, ხელისუფლებას ევროპული კურსი დეკლარირებული აქვს და ამ მიმართულებით რაღაც კანონპროექტიც მიიღო, მაგრამ ერთია სიტყვა, მეორე — ქმედებები. ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა პრეზიდენტის არალეგიტიმურად გამოცხადება, რის გამოც სააკაშვილის დამცავი პეტიციაც ჩამოვაყალიბე. გახსოვთ, ალბათ, კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს თემურ შაშიაშვილმა გადადგომისკენ მოუწოდა.

**— თემურ შაშიაშვილის გარდა, პრეზიდენტის გადადგომას მილიონზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი.**

— დიახ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. კონსტიტუციურად, სააკაშვილის დამხობა მიუღებელია, რადგან ახალი პრეზიდენტი ოქტომბერში უნდა ავირჩიოთ. ავლაბრის სასახლეში კახა კუკავაც რომ მჯდარიყო, მასაც დავიცავდი.

**— დღეს ნაციონალურ მოძრაობასაც თავგამოდებით იცავ, რომელსაც პატიმრების წამება და ციხის კადრები უკავშირდება. ეს შენთვის ნორმალურია?**

— არა, ეს ფაქტები ჩემთვისაც არანორმალურია. პატიმრების კადრების გავრცელებისთანავე, ქუჩაში პირველი გავედი და გავაპროტესტე. ეს მარაზმი იყო. სხვათა შორის, მაშინ ახალაია მონსტრი მეგონა, არც ახლა უარვყოფ, რომ მის მიმართ კითხვები მაქვს, მაგრამ ხუთი თვის განმავლობაში, 30-მა გამომძიებელმა ეს ვერ დაამტკიცა. იმასაც ღიად ვამბობ, რომ ადეიშვილის პროკურატურა არ მომწონდა, არც სოდ-ი და კუდ-ი იყო ჩემთვის მისაღები, მაგრამ უკეთესი ალტერნატივა „ქართულმა ოცნებამ“, ჯერჯერობით, ვერ შემომთავაზა.

**— რა ალტერნატივა უნდა შემოგთავაზოს ხელისუფლებამ?**

— მაღალი ხარისხის დემოკრატია უნდა შემომთავაზოს, რაც პრეზიდენტის გასამართლებასა და აგვისტოს ომის გამოძიებას არ გულისხმობს.

**— სწორედ ამას გეკითხები, რას ნიშნავს შენთვის მაღალი ხარისხის დემოკრატია, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ აღიარებ, ციხის კადრები მარაზმი იყოო და არც ადეიშვილი მოგწონდა. 7 ნოემბრის დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და 26 მაისის მოვლენებსაც შეგახსენებ...**

— აბსოლუტური დემოკრატია არ არსებობს. 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევას კი არ ვგმობ.

**— აბა, სპეცრაზმის მიერ მომიტინგეების ქუჩაში ჩახოცვას, დაკავებასა და შემდეგ წამებას მიესალმები?**

— არ ვამბობ, რომ მივესალმები, მაგრამ როცა საკითხი სახელმწიფოებრიობის ჩამოშლას ეხება, მიმაჩნია, რომ ხელისუფლება ასეც უნდა მოიქცეს. „იმედში“ შეჭრის ფაქტს კი, რა თქმა უნდა, უარყოფითად ვაფასებ. 26 მაისს, როგორც ვიცი, მომიტინგეებს დაშლისკენ არაერთხელ მოუწოდეს, თუმცა ისინი ბრძანებას არ დაემორჩილნენ.

**— მომიტინგეების მიმართ არაადეკვატური ძალა ამჟამინდელმა ხელისუფლებამ რომ გამოიყენოს, იგივე აზრზე იქნები?**

— ვაღიარებ, რომ 26 მაისს არაადეკვატური ძალა გამოიყენეს, მაგრამ ის მიტინგი ნამდვილად უნდა დაშლილიყო. გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, კარგად ჩანდა, რომ აქციის ლიდერები ერთმანეთთან გრუ-ს ჯარის შემოყვანას ათანხმებდნენ. მსგავს შემთხვევებში, რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ სახელმწიფო წესრიგი უნდა აღადგინოს. ნაციონალური მოძრაობის 9-წლიან მმართველობას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუციიდან“ გარკვეული პერიოდის შემდეგ, რეალობას ოდნავ მოწყდა. უპრეცედენტო მხარდაჭერისა და ძალაუფლების პირობებში, ნაციონალებმა ხალხი დაივიწყეს, რომელმაც მათ განაჩენი გამოუტანა კიდეც და ოპოზიციაშიც გაისტუმრა. გარკვეულ სფეროებზე თავად პრეზიდენტმაც დაკარგა გავლენა და ვითარების გაკონტროლებას ველარ ახერხებდა. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტს თუნდაც სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია რომ ჰქონოდა, რეაგირებასაც მოახდენდა. უბრალოდ, ის საკუთარ მინისტრებს ზედმეტად ენდობოდა.

**— გიორგი, რატომ ცდილობ, პრეზიდენტი საკუთარი გარემოცვის მსხვერპლად გამოიყვანო — როგორც მივხვდი, ნაციონალური მოძრაობის დანარჩენ წევრებს არ სწყალობ და მხოლოდ პრეზიდენტი გიყვარს, არა?**

— როგორიც უნდა იყოს, პრეზიდენტი ჩემთვის ცალკე თემაა. დიახ, მიმაჩნია, რომ ერთი ადამიანი ვითარებას ვერასოდეს გააკონტროლებს. ბიძინა ივანიშვილი, მთელი თავისი ამალით, ქვეყნის მართვას ვერ ახერხებს.

**— 19 აპრილის აქციაზეც სააკაშვილის გამო მიხვედი და პრეზიდენტს შენი დამოკიდებულების გამოსახატად ჩაეხუტე?**

— მიხეილ სააკაშვილს იმიტომ ჩავეხუტე, რომ ის ჩემი ქვეყნის პრეზიდენტია!

**— უცნაური ლოგიკა გაქვს — ბიძინა ივანიშვილი შენი ქვეყნის პრემიერი არ არის?**

— საშუალება რომ მქონდეს, ბიძინა ივანიშვილსაც ჩავეხუტები, რადგან მიმაჩნია, რომ იგი ჩემი ქვეყნის სახეა. რაც შეეხება 19 აპრილს, ამ დღეს რუსთაველის გამზირზე მეგობარი ქვეყნებისა და, რა თქმა უნდა, რუსეთის დასანახად კიდევ ერთხელ დავაფიქსირეთ, რომ ქართველებს ევროპული კურსით სვლა გვინდა. სხვათა შორის, კარგია, რომ არჩევნებში ნაციონალები დამარცხდნენ, ახლა საზოგადოებას სააკაშვილის „დიქტატურისა“ და ივანიშვილის დემოკრატიის შედარების საშუალება მიეცემა. სახალხო დამცველის დასკვნაში ნათლადაა ასახული პენიტენციალურ სისტემაში არსებული საკმაოდ მძიმე პირობების შესახებ. მაინტერესებს, დღეს რატომ ვერ აკონტროლებს სოზარ სუბარი ვითარებას და რატომ გარდაიცვალა ციხეში პატიმარი ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზის მიღებით?

**ჩემი ამჟამინდელი პოზიცია იმას არ ნიშნავს, რომ სააკაშვილზე ჯვარი მაქვს დაწერილი, პირიქით, თუ ბიძინა ივანიშვილი ალტერნატივას შემომთავაზებს, გიჟი კი არ ვარ, პირველი მე ვიტყვი, რომ ხელისუფლება კარგ საქმეს აკეთებს.**

**— შენი საუბრიდან მექმნება შთაბეჭდილება, ნაციონალურ მოძრაობასთან მხოლოდ იმიტომ ხარ, რომ ხელისუფლებასთან დგომას ვერ ახერხებ. მოძრაობა „პატრიოტების“ დასაფუძნებლად დაფინანსება ნაციონალებისგან მიიღე?**

— ევროპასთან მიმართებაში, ჩემი და მიხეილ სააკაშვილის იდეოლოგია ერთმანეთს ემთხვევა და სწორედ ესაა ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ამ პოზიციაზე ვარ. რაც შეეხება მოძრაობა „პატრიოტებს“, მართალია, ნაციონალურ მოძრაობასთან ვასოცირდები, მაგრამ მათგან დაფინანსება არ მიმიღია, ოფისიც კი არ მაქვს.

**— პროცესებში უფრო ადრე რომ გამოჩენილიყავი, ალბათ, სდსს-ს ბიუჯეტიდან დაფინანსებასაც მიიღებდი.**

— თუ გამოქვეყნებული მასალები სიმართლეს შეესაბამება და პრეზიდენტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხებს შვილის სწავლაზე ხარჯავდა, ვფიქრობ, შესაბამისად უნდა დაისაჯოს, მაგრამ ჯერ ამ მასალებს დამტკიცება სჭირდება. თუ ეს ფაქტები რეალურია, რატომ უნდა ესწავლა მხოლოდ პრეზიდენტის შვილს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე? მაშინ, მეც მინდოდა სწავლა და მეც დავეფინანსებინე.

ფანატიზმი არ მჭირს, კერპებიც არასოდეს შემიქმნია და თუ ვანო მერაბიშვილის შესახებ დათა ახალაიას მიერ მოწოდებული ინფორმაცია დადასტურდება, მას აუცილებლად გავემიჯნები.

**— გიორგი, ალბათ იცი, რომ გოგა ხაინდრავასა და სანდრო ბრეგაძის წყალობით, სოციალურ ქსელებში ანჟელას გეძახიან. ამბობენ იმასაც, რომ გეი-აღლუმის ჩატარებას გეგმავდი...**

**— ანჟელას თავს „ფეისბუქზე“ მეც ვუწოდებ, რადგან ამ თამაშს ბოლომდე ავყევი. ერთ-ერთ გაზეთში ვიღაც პატიმარმა დარეკა და თქვა, ეგ ქათამია, ანჟელა ჰქვიაო. ეს სახელიც ასე წამოვიდა.**

**— პატიმარს შენზე ინფორმაცია საიდან ჰქონდა?**

— მეც მაინტერესებს, რა იცის ამ პატიმარმა? ციხეში არასოდეს ვყოფილვარ. უბრალოდ, ანტირეკლამა ყველაზე საინტერესო პიარია და მადლობა ამ ადამიანებს, რომ აქტუალობას არ მიკარგავენ. მეტიც, ჩემზე რაც უნდა თქვან, სასამართლოში ჩივილს არ ვაპირებ.

**რაც შეეხება გეი-აღლუმს, დამიმტკიცონ, როდის ვგეგმავდი მის ჩატარებას. ამასთან, ნებისმიერ ადამიანს დებატებში დავუჯდები და დამიმტკიცონ, თუ ვარ „ქათამი“. თავდაცვის რეჟიმში არ გადავალ, რადგან თავს მხოლოდ დამნაშავეები იცავენ. მალე, ალბათ, იმასაც დაწერენ, კოსმოსში გაგარინთან ერთად „ანჟელა“ გაფრინდაო. იმედი მაქვს, ეს ქაოსი მალე დასრულდება და მეც პროცესებში აღარ ჩავერთვები. რა ძალა მადგია, პოლიტიკაში ვიყო, „გუგლის“ პარტნიორი ვარ და საკმაოდ ნორმალურ ანაზღაურებასაც ვიღებ.**

**— ცნობილია, რომ ბიძინა ივანიშვილი „გუგლის“ წილს ფლობს. გამოდის, რომ მასთან თანამშრომლობ.**

— დიახ, ბიძინა ივანიშვილთან ვთანამშრომლობ და მომავალშიც ვითანამშრომლებ თუ მისგან ამის მზაობა იქნება. ეს ძალიან მინდა! უბრალოდ, მმართველ გუნდთან კონტაქტს ვერ ვამყარებ.

## ვერსიანიუსი

# პოლიციამ ნარკორეალიზატორი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა 1961 წელს დაბადებული გელა ა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა-გადაზიდვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამძიებო ღონისძიების შედეგად თელავში, აღმაშენებლის ქუჩაზე დააკავეს. მისი ავტომანქანის ჩხრეკისას 1,765 კგ ყაყაჩოს ნამჯა, ხოლო თელავის რაიონის სოფელ რუისპირში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ეზოს დათვალიერებისას 3,8 კგ ყაყაჩო ამოიღეს.

ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 5,565 კგ „ოპიუმის“ შემცველი ყაყაჩო.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა-გადაზიდვის (სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონოდ დათესვა-მოყვანა-კულტივირების (სსკ-ს 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) ფაქტზე მიმდინარეობს.

*„მედიანიუსი“*



## ოპოზიცია შრომის კოდექსის ცვლილებას ეწინააღმდეგება

საპარლამენტო უმცირესობის შეფასებით, ცვლილებები შრომის კოდექსში, უმუშევრობის დონის მინიმუმამდე შემცირების შემდეგ უნდა განხორციელებულიყო. ვიცე-სპიკერი გიორგი ბარამიძე აცხადებს, რომ ცვლილებები შრომის კოდექსში დამატებით ინვესტიციებს ვერ მოიზიდავს, ეს კი აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის. გიორგი ბარამიძის თქმითვე, დღეს, როდესაც ქვეყანაში უმუშევრობა ძალიან მაღალია, მიზანი ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა და ცვლილება უმუშევრობის 5%-მდე დაყვანის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო.

დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე, ზურაბ ტყემალაძე ამტკიცებს, რომ საქართველოს მონური შრომის კოდექსი ჰქონდა, რომლითაც დასაქმებულის უფლება იგნორირებული იყო. უმრავლესობის წევრის თქმით, ამ ცვლილებებით შრომის კოდექსი უფრო ლიბერალური ხდება. ტყემალაძის განცხადებით, პირველი რიგში, ბიზნესმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დასაქმებულის შრომის ნაყოფიერება ამაღლდეს, რასაც საბოლოო ჯამში, განვითარება მოჰყვება.

დეპუტატის განმარტებითვე, კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას, ორივე მხარის ინტერესებს გაითვალისწინებენ და საბოლოოდ, შეჯერებულ კანონპროექტს მიიღებენ, რაც ინვესტიციების მოზიდვას ხელს შეუწყობს.

*„კომერსანტი“*

## ხელისუფლება ბიზნესის დაცვის კანონზე მუშაობს



სოფლის მეურნეობის სამინისტრო კერძო სექტორის დასახმარებლად ახალ კანონს ამზადებს, რომელსაც დაცვის ანუ შაფე-კანონი ეწოდება. მინისტრის, დავით კირვალიძის განცხადებით, ეს კანონმდებლობა სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, ისე აღმოუჩინოს დახმარება კერძო სექტორს, რომ ამით ბაზარი არ დააზიანოს:

**„ჩვენ ვალდებულებაც კი გვაქვს, ასეთი კანონი მივიღოთ. შედეგად, თუკი საწარმო გაკოტრების ზღვარზეა, ჩვენ მას სათანადოდ დავეხმარებით“,** – აცხადებს დავით კირვალიძე.

მისი თქმით, ახალი კანონპროექტის ინიციატორებს დახმარება გაუწია ჟენევაში მცხოვრებმა ქართველმა ექსპერტმა, რომელიც ერთ-ერთ კერძო კომპანიაში მუშაობს და საქართველოს მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს, კონსულტაციით ეხმარება. კირვალიძის განმარტებით, ქართველი ექსპერტი საქართველოში ევროკავშირის დაფინანსებით ჩამოვიდა და მან ქართულ მხარეს კვალიფიციური რეკომენდაციები მისცა.

დავით კირვალიძე იმასაც ამბობს, რომ დღეს, საქართველოში, ფქვილი იმაზე უფრო იაფად შემოდის, ვიდრე ადგილობრივ ბაზარზე აწარმოებენ. ეს კი მეწარმეებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის:

**„უნდა მოვახერხოთ და ჩვენს ხელთ არსებული ბერკეტები ავამოქმედოთ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე, უნდა შევძლოთ იმ კონკრეტული ბიზნესმიმართულების დაცვა, რასაც საფრთხე ემუქრება, ვგულისხმობ დემპინგური, ან სუბსიდირებული პროდუქციის შემოტანას. ასეთ ვითარებაში, ადგილობრივი მეწარმეები საკუთარ პროდუქციას ვეღარ აწარმოებენ“,** – აცხადებს კირვალიძე.

მინისტრის თქმით, დღეს ქართულ ბაზარზე ყველაფერი კეთდება, რათა დახლებზე მავნე პროდუქცია არ მოხვდეს:

**„ჩვენი ბაზარი დაცული და ხარისხიანი პროდუქციით უნდა იყოს მომარაგებული. დიდი ხანია, არც მუხრანის კიტრი და არც ჭოპორტის პომიდორი აღარავის უნახავს. რატომ? ეს გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივი ბაზარი გაჯერებულია უხარისხო პროდუქციით და ამის გამოსასწორებლად, გარკვეულ ნაბიჯებს უკვე ვდგამთ“,** – აღნიშნა კირვალიძემ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს, საქართველოში 5 ტონა ცხენის ხორცის, 26 ტონა დაავადებული კარტოფილისა და 200 000 ცალამდე, ვადაგასული კვერცხის იმპორტის მცდელობა დაფიქსირდა.

*„კომერსანტი“*

# „ნაციონალების 4-პუნქტიანი ეკონომიკური კონცეფცია სასაცილოა!“

## ემზარ ჯგერენაია „მაგთის“, „ჯეოსელსა“ და „ბილაინს“ კარტელურ გარიგებაში, „ყაზტრანსგაზთბილისს“ კი მოსახლეობის ძარცვაში ადანაშაულებს



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს ეკონომიკაში დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა — ექსპორტის მოცულობასთან ერთად, საექსპორტო ქვეყნების არეალიც გაიზარდა. აქედან გამომდინარე, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა განცხადება, უცხოური ინვესტიციები შემცირდაო, პროფესორ ემზარ ჯგერენაიას სერიოზულად არ მიაჩნია და განმარტავს, რომ უცხოურო ინვესტიციები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შემცირდა. რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობის მიერ ხელისუფლებისთვის შეთავაზებულ 4-პუნქტიან ეკონომიკურ კონცეფციას, ამაზე ეკონომიკის ექსპერტი ღიმილით საუბრობს და განმარტავს, რომ კონცეფცია კი არა, უფრო ერთი კაცის ნააზრევია... რატომ არ მოსწონს ახალი შრომის კოდექსი, რა კარტელური გარიგებაა „მაგთის“, „ჯეოსელსა“ და „ბილაინს“ შორის და რატომ არღვევს მომხმარებლების უფლებებს „ყაზტრანსგაზთბილისი“? — „ვერსიას“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ემზარ ჯგერენაია ესაუბრება.**

**— ბატონო ემზარ, 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ქვეყნის ეკონომიკაში რა შეიცვალა?**

— პირველ რიგში, ახალი ტენდენციები გამოიკვეთა, რაც განსაკუთრებით, პირველ კვარტალს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, დაახლოებით, 180 000 000 დოლარით შემცირდა, ეს მაჩვენებელი, 2011 წელთან შედარებით, გაიზარდა. გარდა ამისა, ექსპორტიც გაიზარდა და ამ მხრივ 2013 წლის იანვარში დადებითი ტენდენციები გვქონდა. საერთოდ, ექსპორტის 27% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის, რაც საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის კარგი ხარისხია, დსთ-ს ქვეყნებზე 32%-ია, ამის შემდეგ კი, თურქეთი მოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს 3-4 ძირითადი ბაზარი აქვს. ისიც შეიძლება, დადებით ტენდენციად ჩაითვალოს, რომ მაკროეკონომიკურ პარამეტრებს შორის მყარი და სტაბილური დამოკიდებულებაა და ის რეცესიული ფონი, რომელიც დღეს ევროპაშია, ჩვენთან არ იგრძნობა.

რაც შეეხება უარყოფით ტენდენციებს, ეს დეფლაციაა, რომელიც ძალიან საშიში მოვლენაა. სამწუხაროდ, ნაღდი ფული შემცირდა, რაც ამ შემთხვევაში, ვაჭრობისა და კომერციის შემცირებას ნიშნავს. მშენებლობისა და ვაჭრობის მაჩვენებელი დაეცა, მაგრამ მარტში გამოსწორდა და დინამიკაც გაიზარდა.

**— ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისგან მუდმივად გვესმის, რომ არჩევნების შემდეგ უცხოური ინვესტიციები შემცირდა. ბატონო ემზარ, თქვენი ინფორმაციით, უცხოური ინვესტიციების მხრივ მართლა სერიოზული პრობლემები გვაქვს?**

— უცხოური ინვესტიციები 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს შემცირდა და მას შემდეგ სიტუაცია არ გაუმჯობესებულა. 20008 წლამდე კი ინვესტიციების მოცულობა 2 მილიარდ დოლარამდე იყო.

**2011-2012 წლების დინამიკით, ინვესტიციების 50%-ზე მეტი ჰოლანდიიდან მოდის. არადა, თბილისში არც ჰოლანდიური წარმოება გვინახავს და არც — ჰოლანდიელი ბიზნესმენი. ამიტომ, ჩნდება ლოგიკური ეჭვი, რომ ეს არის ოფშორში წაღებული ფული, რომელიც ისევ ჰოლანდიაში ბრუნდება.**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყანას რეალურად სჭირდება, მაგრამ გიმეორებთ, ინვესტიციების კლების ტენდენცია 2008 წელს დაიწყო.

**— საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა 4-პუნქტიანი ეკონომიკური კონცეფცია მოამზადეს, რომლის მიხედვითაც, გადასახადები უნდა შემცირდეს, ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია მოხდეს, ხელისუფლებამ ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები უნდა დაამყაროს და მაკროეკონომიკური პარამეტრები შეინარჩუნოს. როგორ გგონიათ, ეს 4 პუნქტი მოსახლეობის დასასაქმებლად საკმარისია?**

— სასაცილოა! როგორ შეიძლება, ამას კონცეფცია ვუწოდოთ? 4 პუნქტი, რომელიც გამოქვეყნდა, ერთი კონკრეტული ადამიანის ნააზრევია და არა — კონცეფცია. მესამე და მეოთხე პუნქტები აბსოლუტურად ტრივიალურია, რადგან მაკროეკონომიკური პარამეტრების სტაბილურობა ნებისმიერი ქვეყნისა და ნებისმიერი მთავრობის ყოველდღიური საზრუნავია. ერთადერთი, რაც არ მომწონს, დეფლაციაა, მაგრამ ეს პროცესი 2012 წლის აგვისტოში დაიწყო. რაც შეეხება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, ამაზე მუშაობა წლების განმავლობაში მიმდინარეობს და არ მაქვს სიგნალი, რომ ამ მხრივ პროცესი შეფერხდა.

გადასახადების დაწევაც მარტივი მიდგომაა. უნდა გვქონდეს ეკონომიკური კონცეფცია, თუ როგორ ქვეყანას ვაშენებთ, საით მივდივართ და ყველა ის მომენტები უნდა გავითვალისწინოთ, რასთანაც გადასახადები მიზეზ-შედეგობრივადაა დაკავშირებული. ამის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს პოლიტიკურმა ელიტამ, თუ როგორი საგადასახადო კურსი გვინდა. მთავარი გადასახადის განაკვეთი კი არა, დაბეგვრის ობიექტის განსაზღვრაა, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესისთვის სრულყოფილი ფისკალური სივრცე შეიქმნას, როგორც გადასახადების გადახდის, ასევე — სამართლიანი და ტექნიკურად მომზადებული ტენდერების მიხედვით. სახელმწიფო, ერთი მხრივ, გადასახადით და, მეორე მხრივ, ტენდერით, ბაზრის უდიდესი მოთამაშეა და მოხმარების, დაახლოებით, 60% სახელმწიფოზე მოდის, რადგან განვითარებადი ქვეყანა ვართ. გადასახადის განაკვეთი ვერც ბიზნესის პრობლემას გადაწყვეტს და ვერც ქვეყნის ფისკალური შემოსავლისას. ამიტომაც გადასახადების დაწევის იდეა პროპაგანდისტულია, რომელსაც ეკონომიკურ გათვლებთან კავშირი არ აქვს.

**ფინანსური ამნისტია სუფთა პოლიტიკური საკითხია. საუბარია იმაზეა, რომ ადამიანებს საგადასახადო ტვირთი შევუმსუბუქოთ, ამიტომ ყველაფერი ეს პოლიტიკურ ხასიათს უფრო ატარებს. არ ვიცი, დეკრიმინალიზაცია რას ნიშნავს? — გამოდის, ეკონომიკა აქამდე კრიმინალური იყო და ახლა დეკრიმინალიზაციას ვითხოვთ? ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით, ვიღაცამ, როგორც ჩანს, აღიარებითი ჩვენება მისცა.**

**— ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც ეკონომიკური მიმართულებით ახალმა ხელისუფლებამ გადადგა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის აღდგენა და ახალი შრომის კოდექსია...**

— შრომის კოდექსით დავიწყებ და არ დაგიმალავთ, რომ 41-საათიანი სამუშაო კვირა, რაც შრომის კოდექსში დავაფიქსირეთ, ნეგატიურად მიმაჩნია. შესაძლოა, ამ კოდექსით ვიღაცების გული მოვიგოთ, მაგრამ ბიზნესს რეალურ პრობლემებს შევუქმნით. ადამიანის უფლებების დაცვასთან ერთად, შრომის კანონმდებლობა, ვფიქრობ, თანამშრომლობის ხელშეკრულების მსგავსი უნდა იყოს, რადგან თუ დამსაქმებელს დაიცავ, ამავდროულად, დასაქმებულსაც იცავ.

**ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ახალი შრომის კოდექსი, ყველაზე მეტად იმ ადამიანებს აძლევს ხელს, რომლებიც სახელმწიფო სამსახურებში ნაციონალურმა მოძრაობამ მოიყვანა. ბოლო 9 წლის განმავლობაში, ნაციონალურმა მოძრაობამ, დაახლოებით, 200 000 ადამიანი გაყარა ქუჩაში, ბოლო 5 წელი კი სამუშაო გამოცდილება მხოლოდ წინა ხელისუფლების აქტივისტებს ჰქონდათ, შესაბამისად, სწორედ ეს კატეგორია დარჩება სამსახურებში.**

ახალი შრომის კოდექსით ფრანგული მოდელი კი არ უნდა მივიღოთ, რომლითაც სამსახურიდან ვერავის გაათავისუფლებთ, ვფიქრობ, გერმანული მოდელისკენ უნდა წავიდეთ, სადაც ბევრი სამსახური შაბათ-კვირასაც მუშაობს — გერმანიაში 48-საათიანი სამუშაო გრაფიკი ჩვეულებრივი მოვლენაა.

*დასასრული მე-9 გვერდზე*

# ახალ ხელისუფლებას მარეგულირებელ კომისიებთან სერიოზული კითხვები აქვს



## გია ხუხაშვილი: „ტარიფები მეტად რომ შემცირებულიყო, ქვეყნის ენერგოსტაბილურობას საფრთხე შეექმნებოდა!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის აღდგენა, შრომის კოდექსის შექმნა, რუსეთის ბაზრის დაბრუნება და ქვეყნის ენერგოსექტორის დამოუკიდებლობა — ეს „ქართული ოცნების“ მთავარი ეკონომიკური გზავნილებია. საქართველოს ენერგოსექტორი, გაზისა და ელექტროენერგიის ჩათვლით, ძირითადად, რუსული კომპანიების ხელშია და ამ ფონზე, საკითხავია, როგორ შევძლებთ ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვებას. ამასთან, საინტერესოა, რა რეალური რისკის წინაშეა ქვენის ენერგოუსაფრთხოება? — ამის გასარკვევად „ვერსია“ ენერგეტიკის საკითხების ექსპერტ გია ხუხაშვილს დაუკავშირდა, რომელიც წლების წინ, აზერბაიჯანულ კომპანია „სოკარში“ მუშაობდა და ამ პრობლემებზე სრულყოფილ ინფორმაციას ფლობს.**

**— ბატონო გია, არჩევნების შემდეგ ხელისუფლება საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობაზე ალაპარაკდა, მაგრამ რეალურ დამოუკიდებლობას მხოლოდ ელექტროენერგეტიკა არ განსაზღვრავს. კი ბატონო, ჰესებს ავაშენებთ და საკუთარი დენი გვექნება, რომელსაც ექსპორტზეც გავიტანთ, მაგრამ გაზის კომპანია ხომ ნაწილობრივ, რუსეთის ხელშია?**

— სიმართლე გითხრათ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გაზთან დაკავშირებით, ობიექტური პრობლემების წინაშე ვდგავართ, ძალიან რთულ ვითარებაში ვართ — საკუთარი გაზი არ გვაქვს და მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებულნი. მართალია, შაჰდენიზის პროექტიდან უფასო გაზი გვეკუთვნის, მაგრამ ეს მთლიან სურათს არ ქმნის. დისტრიბუციის მხრივ, ბუნებრივი მონოპოლიები გვაქვს, რასაც მარეგულირებელი კომისიების გამართული მუშაობა სჭირდება... რაც შეეხება ელექტროენერგეტიკას, ცხადია, საკუთარი პოტენციალი გვაქვს, მაგრამ მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობა არაა, რადგან როგორც დისტრიბუცია, ასევე გენერაციაც, მთლიანად რუსული კომპანიების ხელთაა, თუმცა მთავარი მაინც მარეგულირებელი კომისიების სათანადო და ობიექტური მუშაობაა. გვაქვს პოტენციალი, როგორც ჰიდროენერგეტიკაში, ასევე — თბოენერგეტიკაში, ვგულისხმობ ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურებს და, შესაბამისად, ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით, საკმაოდ კარგი პერსპექტივები გვაქვს. როგორც გითხარით, პრობლემები არსებობს, მაგრამ სწორი ენერგეტიკული პოლიტიკის შედეგად, ეს პრობლემები დაძლევადია.

**— რამდენად შესაძლებელია რუსულ კომპანიებთან ურთიერთობის ისე დალაგება, რომ თეორიული პრობლემები, მაგალითად, ზამთარში მოულოდნელად გაზის გათიშვა ავიცილოთ?**

— სამწუხაროდ, გაზის პრივატიზებისა და გადანაწილების პროცესი თავის დროზე სერიოზული შეცდომებით და არასწორად წარიმართა, რამაც არსებული ვითარება შექმნა. მიუხედავად ამისა, დღევანდელი რეალობიდან უნდა ამოვიდეთ, რადგან ამ სეგმენტის ნაციონალიზაციას ნამდვილად ვერ დავიწყებთ. ამ პრობლემის დარეგულირება შესაძლებელია, როგორც სატარიფო პოლიტიკის, ასევე სხვადასხვა ინვესტიციის საშუალებით. თუ ენერგოგენერაციის პოტენციალს სრულად გამოვიყენებთ, ვფიქრობ, სიტუაციის დრამატიზება საჭირო არ იქნება. ისე, შესაძლებელია, ამ სეგმენტში რუსული კომპანიებიც მუშაობდნენ, აზერბაიჯანულიც და სხვებიც, რადგან ჩვენი რესურსის ოპტიმალური გამოყენების პირობებში, ისინი იმ თამაშის წესებს დაექვემდებარებიან, რაც სახელმწიფოსა და მომხმარებლების ინტერესებს მოემსახურება. რა თქმა უნდა, ბიზნესინტერესებიც გასათვალისწინებელია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფოსა და მომხმარებლების ინტერესები პრიორიტეტულია.

**— მარეგულირებელი კომისიები წინა ხელისუფლების დროს, როგორც წესი, სახელისუფლებო გუნდის ინტერესებს ატარებდნენ და ხალხზე არ ფიქრობდნენ — ბოლო 9 წლის განმავლობაში მარეგულირებელ კომისიას გაზის ან დენის ტარიფი მინიმალურადაც არ შეუმცირებია.**

— ახალ ხელისუფლებას მარეგულირებელ კომისიებთან საკმარისი წვდომა ჯერ არ აქვს. ამ კომისიებში იგივე ადამიანები მუშაობენ და მათთან სერიოზული კითხვები ნამდვილად გვაქვს, მაგრამ არ მინდა, ამ თემასთან დაკავშირებით პოლემიკაში დროზე ადრე შევიდე. ისე, გარწმუნებთ, მათ წინაშე საკმაოდ ბევრი კითხვა დაისმება და, ალბათ, იმასაც ვნახავთ, თუ როგორ მუშაობდნენ ისინი წლების განმავლობაში.

> **წინასწარ ხმაურიანი განცხადებების გაკეთება არ მინდა, მაგრამ თუკი ახლა ელექტროენერგიის ტარიფი 3,5 თეთრით შემცირდა, გამოდის, ეს რესურსი რეალურად არსებობდა. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში მარეგულირებელი კომისიები მომხმარებლების ჯიბიდან ამ თანხას ზედმეტად იღებდნენ — ეს მცირე რაოდენობა არ არის, ჩვენ ახლა ასეულობით მილიონ ლარზე ვსაუბრობთ. ჯერჯერობით, ისევ პრეზიდენტის კომპეტენციაში შედის მარეგულირებელი კომისიები, არადა, დამოუკიდებელი ორგანოები უნდა ყოფილიყვნენ. ჩემი ვარაუდით, პოლიტიკურად იმართებოდნენ და ეს სიტუაცია ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, თუმცა იმედი მაქვს, ყველაფერი მალე შეიცვლება.**

**— შესაძლოა, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასთან პირდაპირ კავშირში არ არის, მაგრამ მომხმარებლისთვის სწორ სატარიფო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. რა რესურსი არსებობს, რომ ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფი კიდევ შემცირდეს?**

— ყოველთვის შესაძლებელია, დამატებითი რესურსები გამოინახოს, მაგრამ ამ მიმართულებით, მართლაც, მაქსიმუმი გაკეთდა. ტარიფები იმაზე მეტად რომ შემცირებულიყო, რაც განხორციელდა, ქვეყნის ენერგოსტაბილურობას საფრთხე შეექმნებოდა. აქედან გამომდინარე, ვიდრე სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით რამე გადაწყვეტილებას მივიღებთ, ყველა რისკი კარგად უნდა გავთვალოთ. დღევანდელი მდგომარეობით, მერწმუნეთ, იმის მაქსიმუმი გაკეთდა, რაც შესაძლებელი იყო.

**— როდესაც ენერგოდამოუკიდებლობაზე ვსაუბრობთ, ცალკე უნდა განვიხილოთ ნავთობის კომპანიებიც — საქართველო ნავთობის იმპორტიორი ქვეყანაა და ასეთ ვითარებაში ენერგოდამოუკიდებლობა რამდენად შესაძლებელია?**

— ეს სამწუხარო რეალობაა, რომელსაც ვერ გავექცევით, მაგრამ ამ შემთხვევაში, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთადერთი გზით — კონკურენტული ბაზრის გახსნითაა შესაძლებელი. ვიცით, რომ თავის დროზე, კარტელური შეთანხმებები არსებობდა, რაც ნავთობპროდუქტების ბაზარზე არაჯანსაღ ვითარებას ქმნიდა. ახლა მიმდინარეობს კონკურენტული გარემოს შექმნის პროცესი, ამიტომ ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, კონკურენტული გარემოს შექმნა ერთადერთი სწორი და ჯანმრთელი მექანიზმია. სხვა გზა არ გვაქვს, შესაბამისად, ნავთობპროდუქტების იმპორტი მოგვიწევს, მაგრამ უნდა ვეცადოთ, ბაზარზე ჯანსალი ვითარება იყოს, რაც ენერგოუსაფრთხოების გარანტიაა.

**— ბატონო გია, ეკონომიკური ბლოკის მინისტრები სიამაყით აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში ნავთობპროდუქტების წვრილ-წვრილი იმპორტიორებიც გამოჩნდნენ, რომლებიც საწვავს 15-20 თეთრით იაფად ყიდიან, მაგრამ სინამდვილეში, ეს საკმარისი არაა. რა კეთდება, რომ ნავთობპროდუქტების ბაზარი მართლაც დივერსიფიცირებული იყოს?**

— ერთადერთი კითხვა მიჩნდება, რომ კომპანიებს შორის, ფასზე შეთანხმებები არ იყოს. ბუნებრივია, ყველა კომპანიას უფრო მეტი პროდუქტის შემოტანის ინტერესი აქვს და ცდილობს, მომხმარებელს უკეთესი პირობები შესთავაზოს. ეს არის ერთადერთი უნივერსალური მექანიზმი. რაც შეეხება მცირე კომპანიებს, კითხვები მიჩნდება — რის ხარჯზე ამცირებენ ისინი საწვავის ფასს? შესაძლოა, ნაკლები ხარჯი აქვთ, მაგრამ სხვა სუბიექტური ფაქტორებიც ჩნდება, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ კონკურენცია იყოს. ყველამ კარგად ვიცით, თუ ნავთობკომპანიები ერთმანეთს ან ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გაურიგდებიან, ამ შემთხვევაში, ყველაფერი წესრიგში იქნება.

**— როგორ გგონიათ, ნავთობკომპანიებს შორის ახლა კარტელური ან ოლიგოპოლიური შეთანხმებები არ არის?**

— ჩემი ინფორმაციით, დღეს ასეთი ტიპის შეთანხმება არ არსებობს, თუმცა დარგის ოპტიმიზაციის კუთხით, კითხვები უნდა დაისვას. ვფიქრობ, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, მუდმივი კომუნიკაცია უნდა იყოს ნავთობკომპანიებსა და ხელისუფლებას შორის, რადგან ის ფასები, რაც ბაზარზეა, რაციონალურია, მაგრამ მონიტორინგი აუცილებელია. ფასებთან დაკავშირებით, მუდმივი განმარტებები გვჭირდება, რათა დარწმუნებულები ვიყოთ, რომ მომხმარებელი არ დაზარალდება. მას შემდეგ, რაც ანტიმონოპოლიური სამსახური შეიქმნება, გამორიცხული არაა, ამ ტიპის მონიტორინგის ლეგალური ინსტრუმენტი სწორედ ეს სამსახური გახდეს.

# „ნაციონალების 4-პუნქტიანი ეკონომიკური კონცეფცია სასაცილოა!“

*მე-8 გვერდიდან*

ევროპაში ერთ-ერთ შრომისმოყვარე და პროდუქტიულ ადამიანად სწორედ გერმანელი ითვლება, რომელსაც საკმაოდ მაღალი კვალიფიკაცია აქვს. აქედან გამომდინარე, თუ ბალანსი არ მოვძებნეთ, ამ კანონის მიღებით, ბიზნესს დავაზარალებთ და საკმაოდ რთულ სიტუაციაში ჩავაყენებთ ადამიანებს, რომლებიც ბოლო 7 წელია, სამსახურს ელოდებიან.

რაც შეეხება ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, აქ მთავარი პოლიტიკური ნებაა, რათა უნებლიედ არ გამოვაცხადოთ, რომ ბიზნესის ამა თუ იმ დარგში, მხოლოდ ორი, სამი, ან ხუთი კომპანია იმოქმედებს, ბაზარმა უნდა გვაჩვენოს, ნებისმიერ დარგში რამდენი კომპანიაა საჭირო. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამკვიდრება მარეგულირებელი ორგანოებიდან უნდა დავიწყოთ, რადგან ისინი განსაზღვრავენ ფასებს. ვიმეორებ: ისეთი ნაბიჯი არ უნდა გადავდგათ, რაც ბიზნესს დააზარალებს, არც ფუჭი მოლოდინი უნდა გვქონდეს, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური შეიქმნის მეორე დღესვე სიტუაცია დალაგდება. როგორც ჩანს, პოლიტიკური ნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მუხლი, რომელიც კანონშია გაწერილი, რადგან მარეგულირებელ კომისიებს ბევრი მუხლი აქვთ გაწერილი კანონში, რასაც არ ასრულებენ.

**— მონოპოლიებზე საუბრისას აქცენტი, ძირითადად, ნავთობპროდუქტების, ფარმაცევტულ და კავშირგაბმულობის ბაზრებზე კეთდება ხოლმე. ბატონო ემზარ, როგორ ფიქრობთ, ამ კომპანიებს შორის კარტელური შეთანხმებები ისევ არსებობს?**

— ის, რაც კავშირგაბმულობის ბაზარზე სამ ოპერატორს შორის მოხდა, კარტელური შეთანხმების კლასიკური მაგალითია. ჩემი ტელეფონის ბალანსი 5 ლარით შევავსე, მაგრამ 80 თეთრი დამაკლეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომსახურება გამიძვირეს. ამიტომაც ვამბობ, რომ ამ მიმართულებით, პოლიტიკური ნებაა მთავარი, თორემ კარტელური შეთანხმების ფაქტი აშკარად სახეზეა, მაგრამ პასუხი არც ერთი კომპანიისთვის არ მოუთხოვიათ. რაც შეეხება ნავთობპროდუქტების ბაზარს, მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასი მცირდება, მაგრამ ჩვენთან კლება ჯერ არ დაფიქსირებულა. ფასის გარდა, საწვავის ხარისხიც მნიშვნელოვანია — „სუპერი“, რეალურად, არც კი არსებობს და, როგორც ვიცი, საწვავს რაოდენობრივადაც გვპარავენ. მაგალითად, თუ 50 ლიტრ საწვავს ასხამთ, კომპანიები 2 ლიტრს აუცილებლად გაკლებენ. აქედან გამომდინარე, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მხოლოდ ფასს კი არა, პროდუქტის ხარისხსაც განსაზღვრავს და ამის ყველაზე ნათელი მაგალითი „ყაზტრანსგაზთბილისია“, რადგან ეს კომპანია სრულიად უხარისხო გაზს გვაწვდის. დადგენილი ნორმის მიხედვით, დაახლოებით, 1 კვადრატული მეტრი ფართობის გათბობას, 100 ვატი სითბო სჭირდება. ნორმალური გათბობის პირობებში, 150 კვადრატული მეტრი ფართობის ბინის გათბობაზე, 180-200 უნდა დაიხარჯოს. საქართველოს მოსახლეობა კი, ორჯერ და სამჯერ მეტს იხდის. რატომ უნდა გადაიხადოთ გაზით გათბობისას 500 ან 600 ლარი, თუკი 150 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა გაქვთ? სამწუხაროდ, სრულიად უვარგისს, დაბალკალორიული ხარისხის გაზს მოვიხმართ, რომელიც არც კარგად იწვის და არც სითბო აქვს. თუ „ყაზტრანსგაზთბილისის“ მიერ მოწოდებული გაზის ხარისხს შეამოწმებთ, ნახავთ, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის კუთხით, ეს კომპანია მომხმარებლების ინტერესებსაც არღვევს და, დიდი გადასახადებით, ძარცვავს კიდეც!

# მედიცინის დოქტორი მადონა ცირეკიძე „ღუდუშაურის“ გენერალურ დირექტორს სასამართლოში უჩივის

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**ბავშვთა ფსიქიატრიის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მადონა ცირეკიძე, რომელმაც ორ ათწლეულზე მეტი ფსიქიატრიის დარგს, მის განვითარებასა და სტუდენტების მომზადებას შესწირა, ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრიდან 2013 წლის 18 მარტს, მოულოდნელად გაათავისუფლეს. მართალია, ცენტრის ფსიქონევროლოგიურ განყოფილებაში ექიმ-ფსიქიატრად მუშაობის პერიოდში, ქალბატონ მადონას საყვედურიც კი არ დაუმსახურებია. მიუხედავად ამისა, იმის ღირსადაც არ ჩათვალეს, რამდენიმე დღით ადრე გაეფრთხილებინათ, გათავისუფლებას გიპირებთო და მიზეზიც დაეკონკრეტებინათ. მადონა ცირეკიძესთან ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რეალურად, რა გახდა სამსახურიდან მისი გაშვების მიზეზი: პაციენტთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება, მასთან სურათების გადაღება, პატიმარი პაციენტის გაქცევაში ხელშეწყობა, დარგში არსებული პრობლემების შესახებ კრიტიკული სტატიების დაბეჭდვა თუ, ცირეკიძის ტერმინოლოგიით, ნაციონალების ბუდე ღუდუშაურში ოპოზიციონერობა.**

— 2013 წლის 18 მარტს სამსახურში, ჩვეულებისამებრ გამოვცხადდი. განყოფილების გამგემ გიორგი ჭეიშვილმა მითხრა, მგონი, ხელშეკრულებას გიწყვეტენ, პაციენტთან ზედმეტად მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში გადანაშაულებენ და გაარკვიე, რა ხდებაო. მეგონა, მეხუმრებოდა. პირიქით, პაციენტებთან ურთიერთობას რომ ვერ ვამყარებდე, შეიძლება, ეგ დამაბრალონ და მეგობრობის გამო როგორ მათავისუფლებენ-თქო. მანამდე, შენიშვნაც კი არ მქონდა მიღებული და ვერ დავიჯერე, რომ ეს მართალი იყო. ერთ-ერთ დადებით შტრიხად ყოველთვის იმას მითვლიდნენ, რომ პაციენტებთან კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი მაქვს და თუ ამას ოდესმე ვინმე ნაკლად ჩამითვლიდა, რას წარმოვიდგენდი... დირექციას ის სურათები უნახავს, პატიმარ პაციენტთან რომ გაქვს გადაღებული და ამის გამო გხსნიანო.

**— პატიმარ პაციენტთან სურათები მართლა გადაიღეთ?**

— დიახ, ეს სურათები, მართლაც, არსებობს, იანვარში გადავიღეთ. სხვათა შორის, შინ მაქვს არქივი, სადაც იმ პერიოდიდან მოყოლებული, როცა ასათიანზე ვმუშაობდი, ფოტო თითქმის ყველა პატიმართან მაქვს გადაღებული. იანვარში იყო პატიმარი პაციენტი შემოსული. ტ.ს. სასჯელს მკვლელობის გამო იხდის. გასაუბრების შემდეგ, დედამისს დავურეკე, რა ვიცი, კიდევ როდის ექნება შვილის ნახვის საშუალება-მეთქი და მოვიყვანე. ფოტოაპარატი მქონდა და თავად შევთავაზე, სურათები გადაგველო.

**— ფოტოები, კონკრეტულად, ვინ გადაიღო?**

— სანიტარმა. ფოტოებში ბადრაგიც ჩანს. შესაბამისად, არ გამოუვათ, დამაბრალონ ის სიბინძურე, რაც საკუთარი ყურით მოვისმინე — სანიტარს უთხრა განყოფილების გამგე გიორგი ჭეიშვილმა, საქმე საქმეზე რომ მიდგება, თქვი, თითქოს იმ დღეს პაციენტი დედასთან ერთად მარტო დარჩა და ფოტოებსაც თავად იღებდნენო.

**გავარკვიე, უნდოდათ დაებრალებინათ, თითქოს პატიმარს გაქცევაში ვეხმარებოდი. მითხრეს კიდეც, შენი კომპიუტერიდან ფოტოები უშიშროებამ ამოიღო, რადგან ტ.ს. გაქცევას გეგმავდა და ხელს უწყობდიო. იმის თქმაც კი იკადრეს, თითქოს ბადრაგიც გამიშვია ოთახიდან. რა უფლება მქონდა, ბადრაგისთვის წასვლა მებრძანებინა? ან, ასეც რომ მოვქცეულიყავი, დამემორჩილებოდნენ? როცა გავაპროტესტე, ასეთ რამეს არასოდეს ვიკადრებდი-მეთქი, მითხრეს „ჩერეზ ტვოი ტრუპ“ გეგმავდა წასვლასო. ეს თუ იცოდით, რატომ არ დამიცავით-მეთქი? სინამდვილეში, ზუსტად ვიცი, კომპიუტერიდან არ არის ეს სურათები ამოღებული. „ფლეშკაზე“ მქონდა გადატანილი შინ წასაღებად. სამსახურში დამრჩა და ველარ ვიპოვე. შეიძლება თავად გიორგი ჭეიშვილმა გადაიტანა ფოტოები დირექციაში, მან იანვარშივე იცოდა, რომ პაციენტთან სურათი გადავიღე.**

**— ბოლოს და ბოლოს, პაციენტთან სურათების გადაღების გამო გაგათავისუფლეს თუ იმის გამო, თითქოს მას გაქცევაში ეხმარებოდით?**

— საქმეც ეგაა, რომ აქამდე, კონკრეტული მიზეზი ვერ გავარკვიე. თავიდან გავიკვირვე, პაციენტთან სურათის გადაღების გამო ვის ხსნიან-მეთქი. გიორგი ჭეიშვილმა კონკრეტულად ვერ ამიხსნა, რა დავაშავე, იძულებული გავხდი, გენერალურ დირექტორთან, სოსო ბრეგვაძესთან შევსულიყავი. რამდენჯერმე მომიწია რიგ-რიგობით ჭეიშვილსა და ბრეგვაძესთან საუბარი. ერთმანეთთან მამისამართებდნენ, ბოლოს, ბრეგვაძეს რამდენჯერმე მკაცრად გავუმეორე, დამიკონკრეტეთ მიზეზი, რის გამო მიშვებთ სამსახურიდან-მეთქი? დამიყვირა, არასაჭირო ფართში შეგყავთ პატიმრები და მათთან ურთიერთობის წესებს არღვევთო; ვერც ეს გავარკვიე, რას გულისხმობდა. დაცვას გამოუძახა, გაიყვანეთ კაბინეტიდანო.



ფსიქონევროლოგიის განყოფილების ექიმი ფსიქიატრი სამსახურიდან პაციენტთან სურათების გადაღების გამო გაათავისუფლეს?

**— „არასაჭირო ფართი“ რას ნიშნავს, სურათები სად გაქვთ გადაღებული?**

— ჩემი და განყოფილების გამგის კაბინეტებში. ეს ოთახები გვერდიგვერდაა. ბრეგვაძის კაბინეტიდან ძალიან გაბრაზებული გამოვედი. ჭეიშვილს მოვთხოვე პასუხი, კაბინეტში სურათების გადაღება არაა მიზეზი, რის გამოც ადამიანი სამსახურიდან შეიძლება გააგდო-მეთქი. მე კი ვიცი, მაგრამ ასე დირექციამ გადაწყვიტაო, მითხრა და ამის შემდეგ ახსენა, გაქცევაშიც ეხმარებოდი პატიმარსო. მიკვირს, ასეთი შეურაცხყოფა როგორ ავიტანე. საბოლოოდ, მაინც ვერაფერი გავარკვიე. გადავწყვიტე, ლოჯისტიკის სამსახურის უფროსთან, რამაზ ცუცქირიძესთან შესვლა... ვწუხვარ, ამ დონემდე რომ დავედი და ასეთი რამ რომ უნდა ვთქვა, მაგრამ ეს ცუცქირიძე ფრიად გაფუჭებული კაცია. რა უნდა გამიკვირდეს კაცისგან, რომელმაც დამლაგებელს უთხრა, გასუქდი, რაღას დაალაგებო და 2 ავადმყოფი შვილის დედა სახლში გაუშვა?! გაგებული მქონდა, რომ მას საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა, იმასაც მოვკარი ყური, თითქოს მის კაბინეტშიც გაარჩიეს ჩემი სურათების საქმე. ვიფიქრე, იქნებ იქ მაინც გავიგო, კონკრეტულად, რა დავაშავე-მეთქი. ცუცქირიძემ უკმეხად მითხრა, ელგუჯა გოცირიძემ (ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრის მფლობელი) ხომ მიგიღო, ჰოდა, ახლა გეუბნება, წადი და უნდა წახვიდეო. რატომ წავიდე, გამაგებინეთ, ან ეთიკურ კომისიაზე მაინც გაგეყვანეთ, პირდაპირ რომ გამათავისუფლეთ-მეთქი, ვუთხარ; რომ მოხვედი, მაშინ მოითხოვე კომისია, ახლა რომ ითხოვო? — მიპასუხა, ბოლოს გაბრაზდა, ბადრაგი გაგიშვია ოთახიდან, პატიმრები ციხიდან გირეკავენ, რას დადიხარ, რას ეძებო. ბოდიში, მაგრამ ლამის გულისრევა დამეწყო, ამ კაცთან როგორ მოვედი-მეთქი. გამოსვლისას მომაძახა, შენ არ იცი, რას ეთამაშებიო. მაშინ პირველად ვიფიქრე, რომ საქმე იმაზე სერიოზულად იყო, ვიდრე წარმოვიდგენდი და ჩემს წინააღმდეგ ამ ყველაფერს, შეიძლება, დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდნენ.

**— ასეთი რამ ვის ან რატომ უნდა მოეწყო?**

— მგონია, რომ მათ მოაზროვნე ადამიანი არ სჭირდებათ. გიორგი ჭეიშვილმა გიორგი ნანეიშვილი მოიშორა. რაღაც „გაუჩალიჩა“ და გაუშვეს. ნანეიშვილისნაირი კადრი ფსიქიატრიაში თითზეჩამოსათვლელია. ღუდუშაურში ჩემი მისვლა კი ბევრისთვის იყო დარტყმა — ფსიქიატრიული სამსახურის რეორგანიზაციის შემდეგ, გარკვეული პერიოდი უმუშევარი ვიყავი. თემქაზე, ბავშვთა ფსიქიატრიის განყოფილების ექიმად გადავწყვიტე წასვლა. უარი მითხრეს. განყოფილების გამგედ კი, უკანონოდ, ისეთი ახალგაზრდა ბიჭი დანიშნეს, რომელსაც რეზიდენტურა მხოლოდ 2 წლის დამთავრებული ჰქონდა — მამამისი ჯანდაცვის სამინისტროში მუშაობდა და იმიტომ. ზოგადად, რეორგანიზაციის შემდეგ, სხვადასხვაგან შექმნილი განყოფილებების ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ძირითადად, არაპროფესიონალები მოვიდნენ ვილაცების მფარველობით. თითქოს კლანური გადანაწილება მოხდა... ამაზეც, რეორგანიზაციაზეც და, ზოგადად, დარგში არსებულ ვითარებაზეც, რამდენიმე კრიტიკული სტატია დავბეჭდე. არ გამოვრიცხავ, ესეც იყოს ჩემი მოშორების მიზეზი; არც იმას გამოვრიცხავ, ვილაცას ჩემი პოლიტიკური შეხედულებები არ მოეწონა — ნაციონალების ბუდეა ღუდუშაური, მე კი მათი ოპონენტი ვიყავი... ადრე, ღუდუშაურშიც მითხრეს მიღებაზე უარი, კონკურსანტებს შორის ერთადერთი დოქტორი ვიყავი და გავასაჩივრე. მაშინ გარკვეულ პირებს თავისმართლებაც მოუწიათ, მოგვიანებით კი, იმავე ცენტრში, სამსახურში უსიტყვოდ ამიყვანა ელგუჯა გოცირიძემ. მის მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ გამიკვირდა, გამოგდებამდე არც დამიძახა. ალბათ, ათასი სისულელე უთხრეს და საწყენია, თუ დაიჯერა.

**— რადგან გოცირიძის მიყვანილი იყავით, გათავისუფლების მიზეზის მასთან გარკვევა არ გიცდიათ?**

— არა. შეგნებულად აღარ შევედი მასთან. ბრძანება უკვე დაწერილი იყო და არ მინდოდა, უხერხულობის მომენტი შემექმნა, მით უმეტეს, ამგვარი გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი გენერალური დირექტორია და არა — მფლობელი.

**— პატიმრები მართლა გირეკავდნენ ციხიდან?**

— პატიმარმა ტ.ს-მ, მართლაც, დამირეკა. მკითხა, რატომ არ მღებულობთ, რამე წესი ხომ არ დავარღვიეო. ზუსტად 18 მარტს დარეკა. იმ დღეს, მე რომ გამათავისუფლეს, მანამდე მსგავსი რამ არ მომხდარა... არ მგონია, უბრალო დამთხვევა იყოს — ეჭვი მაქვს, სპეციალურად დაარეკინეს, შეიძლება, ჭეიშვილმა ... გათავისუფლების შემდეგ, თითქმის არავინ შემხმიანებია. მხოლოდ 26 მარტს დამირეკა ჭეიშვილმა. არ ვუპასუხე. მესიჯი მომწერა, რაღაც გაუგებრობაა და მოდიო. ვიფიქრე, კიდევ რაღაც არ გამიჩალიჩონ-მეთქი. მით უმეტეს, წინა დღეებში ჩემმა მეუღლემ, რომელიც კლინიკის დირექტორის კურსელი აღმოჩნდა, მასთან გათავისუფლების მიზეზის გარკვევა სცადა. დირექტორმა უთხრა, ჩემი მეგობრის მეუღლე ასეთ სურათებში არ მესიამოვნებოდაო. ნახავთ და დარწმუნდებით, რომ იმ სურათებში „უსიამოვნო“ არაფერია. ჩემს მეუღლეს ისიც უთხრეს, ეს პატიმარი სულ სხვანაირი იყო და „მილენკი“ გახდაო. აშკარაა, ეს ფრაზები, გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა — კაცმა არ იცის, კიდევ რისი დაბრალება ან რა იარლიყის მოწებება უნდოდათ, ამიტომ მათგან თავი შორს დავიჭირე. ჭეიშვილს შევუთვალე, აღარ დაერეკა. მე კი, ნაცნობ ადვოკატს ვთხოვე, ამ საქმისთვის მიეხედა.

**— ანუ სარჩელის შეტანასა და ჩივილს აპირებთ?**

— დიახ. უახლოეს მომავალში შევიტანთ სარჩელს. დამიკონკრეტონ მიზეზი, რის გამო გამათავისუფლეს. იმასაც მივაღწევ, აღმადგინონ. ალბათ, არც მივბრუნდები იქ, საიდანაც უსამართლოდ გამათავისუფლეს და თან ასეთი შეურაცხყოფა მომაყენეს. არც იმ ექიმებთან მესაქმება რამე, რომლებმაც, წამოსვლის შემდეგ, ამბავიც არ იკითხეს და არც გააპროტესტეს ხელმძღვანელობის უსამართლო საქციელი, თუმცა მივალ თუ არა, უნდა აღმადგინონ. ჩათვალეთ, ეს პრინციპისა და ღირსების საკითხია!

**მადონა ცირეკიძე 4 დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზის გარკვევას. 2013 წლის 21 მარტს კი, მან განცხადებები დაწერა ღუდუშაურის სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორის, სოსო ბრეგვაძისა და ფსიქონევროლოგიური განყოფილების გამგის, გიორგი ჭეიშვილის სახელზე. ცირეკიძე ითხოვდა, განემარტათ მისთვის გათავისუფლების კონკრეტული მიზეზი და ისიც, რატომ არ გააფრთხილეს წინასწარ ამის თაობაზე. ჭეიშვილისგან ცირეკიძე იმის ახსნასაც ითხოვდა, რატომ არ მოხდა განყოფილებაში მისი საკითხის განხილვა და რა იგულისხმებოდა ფრაზაში: „არასასურველ ფართში პაციენტებთან ზედმეტად მეგობრული ურთიერთობის დამყარება“. სოსო ბრეგვაძეს კი, იმის განმარტებას სთხოვდა, რატომ გამოიძახა კაბინეტიდან მის გამოსაშვებად დაცვა.**

ოფიციალური პასუხი 3 აპრილს მიიღო. წერილში, რომელსაც ხელს გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე იაგორ კალანდაძე აწერს, ვკითხულობთ: **„შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი გახდა შრომის დისციპლინის და „ცენტრში“ არსებული სამართლებრივი ნორმების დარღვევა“.** აქვე, მადონა ცირეკიძეს ეცნობა, რომ აღნიშნული მიზეზები აღწერილია 2013 წლის 18 მარტით დათარიღებულ ბრძანებაში, მისი გათავისუფლების შესახებ.

**„რაც შეეხება თქვენს ინფორმირებულობას ბრძანების გამოცემამდე, გაცნობებთ, რომ 18.03.2013 წელს, საფოსტო შეტყობინების გზით, გამოგეგზავნათ წერილი, რომელიც პირადადაც ჩაგბარდათ“.**

გათავისუფლების შესახებ გაფრთხილება ცირეკიძეს ფოსტით, მართლაც, მიუვიდა, მაგრამ 23 მარტს — შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების დაწერიდან 5 დღეში. ასე რომ, ამ წერილს წინასწარ გაფრთხილებად ნამდვილად ვერ ჩავთვლით ისევე, როგორც წერილს, რომელიც ცირეკიძეს სამსახურში წარუდგინეს 18 მარტს, რადგან მისი გათავისუფლების ბრძანება უკვე დაწერილი იყო. იაგორ კალანდაძის მიერ ხელმოწერილ წერილში ასევე ვკითხულობთ, რომ მადონა ცირეკიძესთან საუბრის დროს, სოსო ბრეგვაძის მიერ დაცვის მობილიზება, თურმე ეფუძნებოდა **„დისციპლინის სუბორდინაციის წესის დარღვევას“.** როგორც ხედავთ, აქაც არაა კონკრეტიკა, რა წესი როგორ დაარღვია ცირეკიძემ. რაც შეეხება პატიმართან გადაღებულ სურათებსა და ინფორმაციას, თითქოს მადონა ცირეკიძე მას გაქცევაში ეხმარებოდა, ამის შესახებ წერილში ასეთი განმარტებაა:



**„ჩვენთვის უცნობია თქვენ განცხადებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც შეეხება თქვენსა და გიორგი ჭეიშვილს შორის კერძო საუბრებს და მის მოტივებს. შესაბამისად, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ჩვენი მხრიდან არამართლზომიერია“.**

18 მარტით დათარიღებულ ბრძანებაში ვკითხულობ, რომ მადონა ცირეკიძეს შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა **„დისციპლინური გადაცდომისთვის, რამაც გამოიწვია „ცენტრის“ შრომის შინაგანაწესის დარღვევა, გადაცდომის სიმძიმის, დამრღვევის სამსახურეობრივი უფლებამოვალეობისა და პასუხისმგებლობის ხარისხის გათვალისწინებით, შრომითი ხელშეკრულების VI მუხლის 6.1 „გ“ და შრომის შინაგანაწესის მე-17 მუხლის 5, 4 პუნქტების თანახმად“.**

იმ წერილშიც, რომელიც მადონა ცირეკიძეს გადაეგზავნა ფოსტით, გარკვევით წერია, რომ ის გათავისუფლებულია **„შრომითი ხელშეკრულების VI მუხლის 6.1. „გ“ პუნქტის თანახმად, რაც გულისხმობს მუშაკის მხრიდან ამ ხელშეკრულებისა და შრომის შინაგანაწესის თანამდებობრივი ინსტრუქციების და შესასრულებელი სავალდებულო ქცევების და სხვა წესების დარღვევას“.** განთავისუფლების მიზეზი ასეთი ბუნდოვანი ცირეკიძისთვის, ალბათ, არ იქნებოდა, ხელთ რომ ჰქონდეს შინაგანაწესი. ჩვენი რესპოდენტი ამბობს, რომ შინაგანაწესი თვალითაც არ უნახავს და სამსახურში მიღებისას მხოლოდ შრომითი ხელშეკრულება წარუდგინეს.

საოცარი კი ისაა, რომ შრომით ხელშეკრულებაში, რომელზეც ცირეკიძეს აქვს მოწერილი ხელი, საერთოდ ვერ ვიპოვეთ VI მუხლის 6.1. „გ“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც ქალბატონი მადონა სამსახურიდან დაითხოვეს.

ადვოკატი ლევან ცალუღელაშვილი აცხადებს, რომ ხელშეკრულებაში არარსებული პუნქტით გათავისუფლება, ცირეკიძის საქმეში ერთადერთი დარღვევა არაა: **„რა პუნქტზეცაა საუბარი, ის პუნქტი ხელშეკრულებაში საერთოდ არ არსებობს. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, მადონა ცირეკიძის სამსახურიდან გათავისუფლება არაერთ ეჭვს ბადებს. როდესაც პარლამენტი შრომის ახალ კოდექსზე, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტზე საუბრობს და ხელისუფალთა მხრიდან კეთდება განცხადებები, რომ საქართველოში, როგორც იქნა, თურმე, აღარ ირღვევა მოქალაქეთა შრომითი უფლებები, ასეთი დონის ექიმის სამსახურიდან გათავისუფლება უპრეცედენტო ფაქტია. მადონა ცირეკიძისთვის სასამართლოში სარჩელის შეტანის მთავარი მიზანი მხოლოდ გათავისუფლების მიზეზის დაკონკრეტება ან სამსახურში აღდგენა არ არის. ვფიქრობ, ეს არაა საკმარისი. ამ ექიმს დიდი მორალური ზიანი მიაყენეს, შეურაცხყვეს და იმ ფსიქოლოგიურ ტრავმის ხარისხს, რომელიც მიიღო, მხოლოდ სასამართლო თუ შეაფასებს“.**

შეურაცხყოფაში, ცხადია, ის „ბრალდებაც“ იგულისხმება, რომელსაც ცირეკიძე წმინდა წყლის ცილისწამებას უწოდებს — პატიმარი პაციენტის გაქცევის ხელშეწყობა. „თუ ასე გადავედი ჭკუიდან, რატომ არ დამიჭირეს?“ — ლოგიკური კითხვა უჩნდება ცირეკიძეს. ადვოკატი კი ადასტურებს, მსგავსი განზრახვა მას მართლაც რომ ჰქონოდა, ცენტრის ხელმძღვანელობას მხოლოდ გათავისუფლება არ უნდა ეკმარა და მისი პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დაეყენებინაო. ლევან ცალუღელაშვილი კიდევ ერთ დარღვევაზე საუბრობს. მისი თქმით, დირექციის მხრიდან, შენიშვნაც კი იმაზე, რომ ექიმმა პაციენტთან სურათი გადაიღო, უსაფუძვლოა: **„მათ თავად მოსთხოვეს ფსიქიატრებს გაეხადათ თეთრი ხალათი და არაფრით ყოფილიყვნენ განსხვავებულნი პაციენტებისგან. თუ, ზოგადად სტიგმას ებრძვიან, პაციენტთან სურათის გადაღება და მეგობრული ურთიერთობის დამყარება დასჯადი არ უნდა იყოს“.**

**„ვერსია“ ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრის ფსიქონევროლოგიური განყოფილების გამგეს, გიორგი ჭეიშვილს დაუკავშირდა. მან პრესცენტრის უფროსთან გადაგვამისამართა. თამარ ყიფიანმა კი გენერალური დირექტორის მოადგილე (ადმინისტრაციულ საკითხებში) ეკა ხორგუანთან დაგვაკავშირა:**

**— ქალბატონო ეკა, რა მიზეზით შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება თქვენი ცენტრის ფსიქონევროლოგიური განყოფილების ექიმ მადონა ცირეკიძეს?**

— მადონა ცირეკიძეს ხელშეკრულება შეუწყდა გენერალური დირექტორის განკარგულებით, რომელიც გამოწვეული იყო შრომის შინაგანაწესის უხეში დარღვევით.

**— სწორედ ეს მაინტერესებს, რა იგულისხმება შრომის შინაგანაწესის უხეშ დარღვევაში?**

— მას აქვს თავისი თანამდებობრივი ინსტრუქციები და შესასრულებლად სავალდებულო ქცევები დაწესებული. სწორედ ისინი დაარღვია.

**— ქალბატონი მადონა აცხადებს, რომ შინაგანაწესი არ უნახავს. რატომ არ გადაეცა მას შრომით ხელშეკრულებასთან ერთად ეს ინსტრუქციები?**

— შეუძლებელია, ქალბატონი მადონა არ იცნობდეს ამ შინაგანაწესს იმიტომ, რომ არსებობს და არის თვალსაჩინო ადგილას ცენტრში გამოკრული, ასევე აქვს ყველა განყოფილებას.

**— ცენტრში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულ შინაგანაწესს რომ არ გავეცნო, ისე ვერ ამიხსნით, ასეთი რა დააშავა ცირეკიძემ?**

— განყოფილების უფროსის ოთახში, ღამის საათებში, განყოფილების უფროსის სამუშაო მაგიდასთან, სამუშაო კომპიუტერთან დაუშვა პაციენტი.

**— ანუ, პაციენტთან ფოტოების გადაღება მისი გათავისუფლების მიზეზი არაა?**

— ვიცი ფოტოების თემა, მაგრამ ფოტოები მის გათავისუფლებასთან არანაირ კავშირში არაა. პაციენტთან სურათის გადაღება არაფერ შუაშია.

**— არც მასთან „ზედმეტად მეგობრული ურთიერთობის დამყარება“ — ასე აუხსნეს გათავისუფლების მიზეზი. იქნებ, განმიმარტოთ, რა იგულისხმება ამ ფრაზაში?**

— არა. არა. პაციენტებთან მეგობრული ურთიერთობის გამო არ გაუთავისუფლებიათ, არც ფოტოების გადაღების გამო. უბრალოდ, ფოტოებზე აისახა ეს ფაქტი, რომ განყოფილების უფროსის სამუშაო ოთახში შევიდა, იქ შეიყვანა პაციენტი და დაუშვა მისი ყოფნა მის სამუშაო კომპიუტერთან.

**— როგორც ვიცი, ეს კაბინეტები გვერდიგვერდაა. შინაგანაწესში წერია, რომ ექიმს არ აქვს განყოფილების გამგის ოთახში შესვლის უფლება?**

— მისი შესვლა განყოფილების გამგის ოთახში, ალბათ, არ იქნებოდა შინაგანაწესის ასეთი უხეში დარღვევა, მაგრამ პაციენტის დაშვება იქ საკმაოდ უხეში დარღვევაა.

**— ისეთი უხეში დარღვევაა, რომ პირდაპირ უკიდურესი ზომები მიიღეთ. არ შეიძლებოდა, საყვედური გამოგეცხადებინათ, ან „დასჯის“ სხვა მექანიზმი გამოგეყენებინათ?**

— არის შინაგანაწესით მსგავსი საფეხურები გათვალისწინებული, მაგრამ ეს დარღვევის შესაბამისია. იმ კომპიუტერთან, სადაც ინახება ძალიან ბევრი ინფორმაცია, მათ შორის, პაციენტების შესახებ, საკმაოდ უხეში დარღვევა იყო პაციენტის დაშვება.

**— ეს მოხდა იანვარში. რატომ გაათავისუფლეს მადონა ცირეკიძე მარტში?**

— მადონა ცირეკიძე გაათავისუფლეს დაუყოვნებლივ, როცა ამ ფოტოების შესახებ ადმინისტრაციისთვის გახდა ცნობილი.

**— საიდან გახდა ცნობილი. სხვათა შორის, განყოფილების გამგემ იანვარშივე იცოდა ამ ფოტოების შესახებ.**

— ეს მე არ ვიცი.

**— წინასწარ რატომ არ გააფრთხილეთ ქალბატონი მადონა, რომ სამსახურიდან ათავისუფლებდით?**

— იმიტომ, რომ ეს არ იყო რეორგანიზაციით, ხელშეკრულებაზე ვადის გასვლით ან რამე შრომის კოდექსით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით გათავისუფლება. როგორც კი ცნობილი გახდა ამ ყველაფრის შესახებ, მაშინვე გათავისუფლდა.

**— პირად საუბრებში ცირეკიძეს „დააბრალეს“, თითქოს პატიმარ პაციენტს გაქცევაში ეხმარებოდა...**

— არა, არც მსმენია ამის შესახებ. ჩვენს კლინიკაში მყოფი პაციენტი არის პაციენტი და მის სტატუსს, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს.

**— მადონა ცირეკიძე გათავისუფლდა შრომითი ხელშეკრულების VI მუხლის 6.1. „გ“ პუნქტით, რომელიც ხელშეკრულებაში საერთოდ არ არის. იქნებ ამიხსნათ, როგორ გაუშვით სამსახურიდან ადამიანი არარსებული პუნქტის საფუძველზე?**

— მადონა ცირეკიძე არის გათავისუფლებული თანამდებობრივი ინსტრუქციების, სავალდებულო ქცევების, შინაგანაწესის დარღვევის საფუძველზე. არ მახსოვს, რომელი მუხლია, მაგრამ ნამდვილად არის ეს მუხლი.

**— ეს პუნქტი საერთოდ არ არსებობს ხელშეკრულებაში!**

— VI მუხლის საფუძველზეა ნამდვილად გათავისუფლებული და პუნქტი არ ვიცი. ნამდვილად თანამდებობრივი ინსტრუქციების, შესასრულებლად სავალდებულო ქცევების დარღვევის გამო გათავისუფლდა.

**რამდენად ამომწურავია ეკა ხორგუანის პასუხები, დასკვნის გაკეთება მკითხველისთვის მიგვინდვია. ალბათ, უკეთესი იქნებოდა, პასუხები იმ პირებისგან მიგვეღო, ვისაც ქალბატონ მადონასთან უშუალოდ ჰქონდა საუბარი იმ დღეებში, როცა ეს უკანასკნელი სამსახურიდან გაშვების მიზეზებს არკვევდა. უახლოეს მომავალში ამ პირებს შეკითხვებზე პასუხის გაცემა იმ უწყებაში მოუწევთ, რომელიც მტყუანმართლის გარკვევაში ჩვენზე მეტადაა კომპეტენტური.**

მედიცინა

# ფრთხილად — თბილისში მომაკვდინებელი ვირუსი მძვინვარებს!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**საქართველოში ყირიმ-კონგოს ჰემორაგიულმა ცხელებამ იფეთქა — თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში ამ სენით დაავადებულ ასპინძელს, 27 წლის ორსულს მკურნალობენ. საქართველოში ამ იშვიათი დაავადების უკვე მესამე შემთხვევა გამოვლინდა. რა სიმპტომები ახასიათებს და როგორ ვრცელდება ყირიმ-კონგოს ვირუსი? — ამ შეკითხვებით „ვერსიამ“ ინფექციური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების გამგეს, მედიცინის დოქტორს ანა ლაღიძეს მიმართა.**

— ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება ადამიანზე ცხოველის ტკიპებიდან გადადის, რაც ხშირად ლეტალურად სრულდება. რაც შეეხება სიმპტომებს, დაავადება მაღალი ცხელებით, თავის ტკივილით და ზოგადი სისუსტით იწყება, შემდეგ კი სისხლჩაქცევები ჩნდება. თავიდან 5,6 და 10 სანტიმეტრის დიამეტრის სისხლნაჟღენთები, ძირითადად, ინექციის ადგილებზეა, მერე კი მთელ სხეულზე, განსაკუთრებით, ტანსა და ბეჭებზე ჩნდება და შინაგან ორგანოებზეც ვითარდება. ვირუსისთვის ასევე დამახასიათებელია ცხვირიდან სისხლდენა, სისხლიანი ღებინება, შარდვა და დეფეკაცია.

**— სისხლჩაქცევებს რა იწვევს?**

— ეს შედედების პათოლოგიაა, ამ ვირუსს სეზონურობა ახასიათებს და თავს უფრო გაზაფხულ-ზაფხულში იჩენს. ყირიმ-კონგოს ვირუსი, უმეტესად, სოფლის მოსახლეობაშია გავრცელებული.



## რა სიმპტომები ახასიათებს ყირიმ-კონგოს ვირუსს

**— ვირუსს ცხოველის ყველა ტკიპა იწვევს?**

— არა, დაავადების გამომწვევი სამი ტკიპა არსებობს, სამივე ენდემური ხასიათისაა და ყირიმშია გავრცელებული, თუმცა საქართველოშიც გვხვდება. ყირიმ-კონგოს ვირუსის დიაგნოზის დასმა, თუკი ანალიზი დაავადებათა კონტროლის ცენტრში არ გაიგზავნა, ხშირად ექიმსაც უჭირს.

**— გამოჯანმრთელების მერე, ვირუსი პათოლოგიას ხომ არ ტოვებს?**

— არა.

**— დაავადებას ლეტალობა ხშირად ახასიათებს?**

— დიახ, ლეტალობა 30%-ს აღწევს. სისხლჩაქცევებით შეიძლება, თირკმლის, ფილტვის ან სუნთქვის უკმარისობა განვითარდეს. თირკმლისზედა ჯირკვლის დაზიანების ალბათობაც არსებობს...

ქრისტინე მალანია
5-93-608-508



# „მარგველაშვილის გარდა, განათლების სისტემაში ყველა თანამშრომელი კორუმპირებულია!“

## აღდგება თუ არა სკოლებში რუსული ენის სწავლება და რატომ არ იცვლება ნაციონალებისგან შექმნილი ეროვნული სასწავლო გეგმა

**ნაცმოძრობა მმართველი ძალა აღარაა და, შესაბამისად, ქვეყანაში ანტირუსული ისტერიაც მინავლდა. ამ ფონზე, საინტერესოა, აღდგება თუ არა გაუქმებული რუსული სკოლები ან რუსული ენის სწავლება სავალდებულო გახდება თუ არა? განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის დეპარტამენტის უფროსი ნათია ჯოხაძე „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ეროვნული სასწავლო პროექტის ფარგლებში, რეფორმა უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, არ განხორციელდება. „სახელმძღვანელოები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა შექმნილი და ყოველ წელს მათი შეცვლა სასარგებლო არც პედაგოგებისთვის იქნება და არც მოსწავლეებისთვის“, — განმარტავს ნათია ჯოხაძე. უნდა განახორციელოს თუ არა გიორგი მარგველაშვილის უწყებამ ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმირება? — ამ კითხვით „ვერსიამ“ განათლების ლიგის ხელმძღვანელს, მანანა ნიკოლაიშვილს მიმართა, რომლის თქმითაც, განათლების სამინისტროში ელიტური კორუფცია კვლავ მძვინვარებს.**

— საინტერესოა, საიდან მოიტანეს, რომ სახელმძღვანელოების შეცვლა ხუთი წლის განმავლობაში არ შეიძლება?! ჯერ ერთი, ესენი ხელისუფლებაში ხუთი წლის ვადით არ მოსულან; მეორეც, სახელმძღვანელოები, რომლის შეცვლასაც არ აპირებენ, უვარგისია. ხელუხლებელი უნდა დარჩეს ყველაფერი ის, რამაც მთელი მოსწავლე-ახალგაზრდობა გამოაშტერა და რის გამოც ხალხმა სააკაშვილის ხელისუფლება გადაირჩია? ეროვნული სასწავლო გეგმა მთლიანადაა შესაცვლელი. თუ ეს არ მოხდება, მეეჭვება, ამ ხელისუფლებამ ოთხი წელი გაძლოს!

**— ქალბატონო მანანა, სკოლაში უცხო ენების შესწავლა რომელი კლასიდან უნდა იწყებოდეს?**

— უცხო ენების სწავლება პირველი კლასიდან არ უნდა იწყებოდეს. მოსწავლემ დაწყებით კლასებში მხოლოდ მშობლიური ენა უნდა აითვისოს. უცხო ენის სწავლა კი, ცხრა წლის ასაკიდან უნდა დაიწყოს. თუ ბავშვი მშობლიური ენის სტრუქტურას კარგად არ იცნობს, არ შეიძლება, უცხო ენის შესწავლა მოვთხოვოთ. ეს მეცნიერულად შესწავლილი და დადგენილი სტანდარტია. წინა ხელისუფლება უვიცი იყო და ახალიც იმ უვიცთა კვალს ხომ არ უნდა გაჰყვეს?! პირველი უცხო ენა რუსული უნდა იყოს, რადგან ამ მეზობელს არავინ შეგვიცვლის. კი ბატონო, რუსეთი მტერია, მაგრამ მტრის ენა, მით უმეტეს, კარგად უნდა იცოდე!

**— რა ამის პასუხია და, რატომ ფიქრობთ, რომ სახელმძღვანელოები შესაცვლელია?**

— ეს სახელმძღვანელოები გამომცემლებისა და ავტორების ინტელექტუალური ნაშრომი კი არა, სხვადასხვა ქვეყნის სახელმძღვანელოებიდან უშნოდ, აბსოლუტურად გაუმართლებელი მეთოდითაა ნათარგმნი. ახალი სახელმძღვანელოების შექმნას არც ავტორი და გამომცემელი უნდა გააკარონ, ვინც ამ მიმართულებით აქამდე მუშაობდა.

**წიგნებს ვინც ბეჭდავდა, ისინი გარიგებაზე წავიდნენ იმ ბოროტ ძალებთან, რომლებიც მიზანმიმართულად ამახინჯებდნენ ახალგაზრდობას. ამ გარიგებებზე ის უზნეო გამომცემლები მიდიოდნენ, რომლებსაც მარგველაშვილი ეფერება და გაუგებარია, მათთან საბოდიშო რა აქვს? სამართლიანობის აღდგენა განათლების რეფორმით უნდა დაიწყოს. ვის რა საკუთრება წაართვეს, ამის გამოძიება გაცილებით ადვილია და ყველაფრის დაბრუნება შეიძლება — ეს ერს არ დაღუპავს; ერის დამღუპველი ისაა, როცა მომავალ თაობას მიზანმიმართულად აშტერებდნენ.**

აუცილებელია, შეიქმნას პრაქტიკოსი პედაგოგებითა და მეცნიერებით დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც მოსწავლის ინტერესებს დაიცავს და არა საკუთარ ბიზნესს ანუ ეს ჯგუფი რამდენიმე ალტერნატიულ სახელმძღვანელოს შექმნის. ყველა გამოიცდება და მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მიერ მოწონებული დამტკიცდება. ველოსიპედს არ ვიგონებ, იმ ქვეყნებში, სადაც კარგი სახელმძღვანელოები უნდათ, სწორედ ასე ხდება.

ისე, ნაბიჯი, რომელიც უფასო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით, მარგველაშვილმა გადადგა, საოცნებოა და ამისთვის უდიდეს მადლობას ვუხდი. უბრალოდ იმის გამო ვღიზიანდები, რომ გამომცემლებს ებოდიშება.

**მაინტერესებს, სინდისი თუ აქვთ იმ გამომცემლებს, რომლებმაც 20 წელი ყვლიფეს საქართველოს მოსახლეობა? ქვეყნის მომავალი ბავშვი და ახალგაზრდობაა. ბავშვისთვის უნდა იღვწოდეს ყველა — სახელმწიფოცა და ოჯახიც. ამ გამომცემლებმა კი, 20 წლის განმავლობაში, უვიცთა თაობების გაზრდას შეუწყვეს ხელი. მოსახლეობის 75% წიგნებს ვერ ყიდულობდა, ძვირადღირებული სახელმძღვანელოების შეძენას მხოლოდ 25% ახერხებდა და ეს გამომცემლები უჩივიან მარგველაშვილს?**

მიკვირს, საზოგადოება ხმას რატომ არ იღებს? ქვეყანაში განათლების ხარისხი კატასტროფულად რომაა დაცემული, სწორედ გამომცემლების ბრალია.

**— განათლების ლიგა სამინისტროსთან თანამშრომლობას გეგმავს?**

— ჩვენსა და სამინისტროს შორის მჭიდრო ურთიერთობა არ არის. ესენიც, როგორც ჩანს, სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად, ჩაკეტილ ცხოვრებას აგრძელებენ — მინისტრებთან ან მათ მოადგილეებთან დაკავშირება ადვილი არაა. გაიძახიან, კადრების დეფიციტიაო და, გაუგებარია, პროფესიონალებს რატომ არ იყენებენ?

ისე, ბიძინა ივანიშვილს მარგველაშვილი მოსწონს, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სისტემაში, რეალურად, კარგი არაფერი ხდება. არავინ კითხულობს — ხორციელდება თუ არა სისტემაში რეფორმა? ამ ფონზე ივანიშვილს უკვირს, რატომაა მარგველაშვილი რეიტინგში ბოლო ადგილზე. გიორგი მარგველაშვილს პირადად არ ვიცნობ, რასაც ვუყურებ, ცუდი პიროვნება არ უნდა იყოს, მაგრამ ვიმეორებ: განათლების სისტემაში რეფორმები არ მიმდინარეობს — ჯერ კიდევ ძველი კადრებია, სამეურვეო საბჭოებს ვადა გაუგრძელეს, შენარჩუნებულია ნაციონალური ნიშნით დანიშნული რექტორები, დირექტორები, არ აპირებენ ეროვნული სასწავლო გეგმის შეცვლას და უმაღლეს სასწავლებლებში კვლავ საშინელი ვითარებაა... ამ სტატიას ხელისუფლების წარმომადგენლები რომ წაიკითხავენ, იტყვიან, მანანა ნიკოლაიშვილი ამას როგორ ამბობს, საქმეში, ასე თუ ისე, ჩახედულია და უნდა იცოდეს, რომ ავტობუსების პროგრამა ამოქმედდა, რაზეც მილიონობით ლარი გამოიყო, დაგეგმილია სკოლების რეაბილიტაცია, გაორმაგებულია თანხა სტუდენტების დაფინანსებისთვის და ეს რა უმადურობააო?! ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ საკმარისი არ არის. რაც სააკაშვილმა გააფუჭა, სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ახალ ხელისუფლებას კანონმდებლობის დონეზე უნდა ამოეყირავებინა ყველაფერი. ექვს თვეში კი არა, ერთ თვეში შევცვლიდი განათლების კანონმდებლობას.

**— ესე იგი, მიგაჩნიათ, რომ განათლების სისტემაში კორუფცია კვლავ მძვინვარებს?**

— დიახ, ელიტური კორუფციაა... ჯერ კიდევ ითბობენ ხელს იმ თანხებით, რაც ბიუჯეტიდან მასწავლებლების ტრენინგებზეა გამოყოფილი. ერთი, იმით დაინტერესდეს მარგველაშვილი, რა ფასი ადევს მასწავლებლების წიგნებს. წლების წინ, პირველმა დავიწყე საუბარი ჩვენს სფეროში არსებულ ელიტურ კორუფციაზე. იყო ზეწოლა, წერილები და მუქარის ზარები. დოკუმენტური მტკიცებულებები რომ არ მქონოდა, არაფერს ვიტყოდი, რადგან ვიცოდი, რასაც მიზამდა ის ვეშაპი ხელისუფლება. ახლახან, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ელიტური კორუფცია აღარ არსებობსო, არადა, კორუფცია ხელუხლებელია განათლების სისტემაში — მინისტრის გარდა, ყველა თანამშრომელი კორუმპირებულია. ვერ წარმოიდგენთ, რა ფულს ხვეტენ მშიერი მასწავლებლების ჯიბიდან სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით. ეს ფულის მკეთებელი ბანდაა. ამიტომ მივესალმები მარგველაშვილის გადადგმულ ნაბიჯს უფასო წიგნებთან დაკავშირებით, ასე უნდა დაიშალოს ეს კორუფციული სქემა ყველა მიმართულებით. უნდა გამოცხადდეს გარდამავალი პერიოდი, გამოიძიონ და გაანადგურონ სისტემაში არსებული უკანონო სქემები.

**— ისე, როგორც ვიცი, სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელების თანამდებობაზე კონკურსი ცხადდება...**

— რად გინდა, ისევ ნაციონალები დაინიშნებიან?!

**— რას გულისხმობთ?**

— ყველგან, სადაც დირექტორი შეიცვალა, ისევ ნაციონალების წარმომადგენლები დაინიშნენ. რესურსცენტრის დირექტორების კონკურსი რომ ჩატარდა, ახლანდელი ოპოზიციის წარმომადგენლები გავიდნენ. დეტალურად არ ვიცი, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ ხელმძღვანელ პოზიციებზე, ძალიან მაღალი ქულებით, ისევ ძველი ხელისუფლების კადრები ინიშნებიან. მაინტერესებს, ასე რატომ ხდება და რას აკეთებს პარლამენტი განათლების რეფორმების კუთხით? არაფერი მაქვს ქიბარ ხალვაშის საწინააღმდეგო, მაგრამ ივანიშვილმა მის დაზე თვალსაჩინო პედაგოგი ვერ იპოვა? — ცხადია, ის „ოცნების“ სიაში მხოლოდ იმიტომ შეიყვანეს, რომ ქიბარ ხალვაშის დაა. საშინელი მდგომარეობაა განათლების კომიტეტში, არაფერი კეთდება. ერთადერთი მისასალმებელი ნაბიჯი მარგველაშვილმა გადადგა და ახლა ისიც მარტოა. არავინ უდგას გვერდით: არც პარლამენტი, არც მთავრობა და არც საზოგადოება. არადა, მთელი ქვეყანა მარგველაშვილის გვერდით უნდა იდგეს, რადგან ვვარაუდობ, რომ სააკაშვილის სასამართლო გადაწყვეტილებას მომჩივარი გამომცემლების სასარგებლოდ გამოიტანს.

## ვერსიანიუსი

### „აშშ მზადაა, საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობები გააძლიეროს!“



საქართველოში ამერიკის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობები გააძლიეროს და გააფართოოს.

როგორც ნორლანდმა დიპლომატებისა და საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის შეხვედრის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტებთან აღნიშნა, დიპლომატებისა და საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა კარგი შესაძლებლობაა, რათა ქვეყნის საგარეო პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია მოვისმინოთ.

მისივე თქმით, საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ბრიუსელში ამერიკის შეერთებული შტატების მდივან ჯონ ქერისთან შეხვედრა დადებითად შეაფასა.

**„ესაა სასარგებლო შეხვედრა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის“,** — აღნიშნა ელჩმა.

*„მედიანიუსი“*

### სააკაშვილის თქმით, ნაცმოძრაობა სერიოზულ ნოკდაუნში იმყოფებოდა



ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის განცხადება სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“, პრეზიდენტის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა.

პრეზიდენტის განცხადებით, „საბედნიეროდ, ეს არ აღმოჩნდა ნოკაუტი და პარტია თანდათან იწყებს ფეხზე წამოდგომას“.

**„19 აპრილის კარგად ორგანიზებულმა და მრავალრიცხოვანმა აქციამ ისევე, როგორც შუალედურმა არჩევნებმა იქ, სადაც ნაციონალური მოძრაობა რეალურად ჩაერთო ბრძოლაში, აჩვენა, რომ პარტიას აქვს კარგი შანსი საქართველოს მომავლის გადარჩენისთვის ბრძოლაში. ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება მარცხისაც და გამარჯვებისაც მკარნახობს, რომ ახლა ყველაფერი ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ის ახალი ენერგიისა და იდეების მოკრებას, სწორი ტაქტიკის შემუშავებას, ახალი ადამიანური რესურსების მოძიებას და დროულად გადაჯგუფებას. წინ დიდი გამოწვევებია და ჩვენ ვალდებულნი ვართ, გამოვიჩინოთ სიმტკიცე და ერთიანობა რეგრესის შეჩერების საქმეში“,** — წერს სააკაშვილი.

*„ინტერპრესნიუსი“*

# რატომ ერიდებიან ქართველი წყვილები საქორწინო კონტრაქტის გაფორმებას

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**ქართული სამართალი ტერმინს — „საქორწინო ხელშეკრულება“ — წლებია, იცნობს, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ოჯახი ინგრევა და ყოფილ მეუღლეებს შორის სასამართლო დავა წლობით გრძელდება, ქართველი წყვილები საქორწინო კონტრაქტის გაფორმებას მაინც ერიდებიან. საქორწინო კონტრაქტის ავკარგიანობაზე „ვერსია“ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის წევრს, ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელს ესაუბრა.**

— საქორწინო ხელშეკრულება 1997 წლიდან მოქმედებს, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ფეხი ისე ვერ მოიკიდა, როგორც უცხოეთში. საქორწინო ხელშეკრულება დოკუმენტია, რომელიც მეუღლეებს საშუალებას აძლევს, ქონებრივი ურთიერთობები დაარეგულირონ, ანუ კანონით, ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად ითვლება და განქორწინების შემთხვევაში, ქონება თანაბრად უნდა გაიყოს, მაგრამ თუკი საქორწინო ხელშეკრულება ფორმდება, მეუღლეებს უფლება ეძლევათ, კანონით დადგენილ თანაბრობის პრინციპს გადაუხვიონ და ხელშეკრულებით განსაზღვრონ, როგორი ქონებრივი ურთიერთობა ექნებათ და, განქორწინების შემთხვევაში, წყვილს სასამართლოსთვის მიმართვა აღარ დასჭირდება.

**საერთოდ, საქორწინო ხელშეკრულება პარიტეტის საფუძველზე ფორმდება, ანუ არ შეიძლება, ამ ხელშეკრულების გაფორმებით რომელიმე მეუღლე კაბალურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. თუკი წყვილს დაქორწინებამდე ინდივიდუალურ საკუთრებაში ქონება — მანქანა ან სახლი ჰქონდა, შეუძლია, საქორწინო კონტრაქტით განსაზღვროს, ეს ქონება ინდივიდუალურ საკუთრებად დარჩეს და, განქორწინების შემთხვევაში, გაყოფას არ დაექვემდებაროს, თუ მეუღლეთა თანასაკუთრებად იქცეს და შუაზე გაიყოს.**

ხელშეკრულებით შემოსავლების განსაზღვრაც შეიძლება. ვთქვათ, ერთი მეუღლე ფაბრიკა-ქარხნებს, ბიზნესწილებს, აქციებსა და ბანკებს ფლობს, მეორე მეუღლე კი სახელმწიფო მოხელეა და ხელფასი 1 500 ლარი აქვს, ასეთ შემთხვევაში მეუღლეები ხელშეკრულებით არეგულირებენ დანაზოგსა და შემოსავლების მართვა-განკარგვაში თავიანთ როლს. ხელშეკრულებითვე აწესრიგებენ, რომ ზემოხსენებული ხელფასი ბავშვის სწავლაზე დაიხარჯოს, ბიზნესის მოგება საერთო საკუთრებად ჩაითვალოს და, განქორწინების შემთხვევაში, შუაზე გაიყოს.



მოკლედ, საქორწინო ხელშეკრულებით აბსოლუტურად ყველაფრის გათვალისწინება შეიძლება. ხელშეკრულების მთავარი არსი ისაა, რომ კანონის იმპერატიული ნორმები დაამსხვრია და საშუალებას იძლევა, მეუღლეებმა ქონებრივი ურთიერთობები თვითონ დაარეგულირონ. საქორწინო ხელშეკრულება დავების აღმოფხვრის პრევენციაცაა ანუ სასამართლოში აღარ წავლენ და, განქორწინების შემთხვევაში, ურთიერთობას უმტკივნეულოდ დაასრულებენ.

**— ხელშეკრულებაში სხვა დეტალები თუა განსაზღვრული — მაგალითად განქორწინების შემთხვევაში, ბავშვები ვის დარჩება?**

— ხელშეკრულებით მხოლოდ ქონებრივი ურთიერთობები რეგულირდება. არ შეიძლება, საალიმენტო, ურთიერთრჩენის ვალდებულებები, შვილების მიმართ მშობლების მოვალეობები და სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ხელშეკრულებით შეიზღუდოს.

საერთოდ, საქორწინო კონტრაქტს დიდი ხნის ისტორია აქვს, განსაკუთრებით პოპულარული კი ძველ ებრაელებში იყო...

**— საქორწინო კონტრაქტში მემკვიდრეობით მიღებული ქონების შეტანაც შეიძლება?**

— რა თქმა უნდა და ეს მეუღლეთა გადასაწყვეტია. თუკი ეს კომპონენტი საქორწინო ხელშეკრულებაში არ გაიწერა, მემკვიდრეობით მიღებული ქონება იმ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად დარჩება, ვისაც ეს ქონება ჩუქებით ან მემკვიდრეობით ერგო.

**— საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება სად ხდება?**

— ხელშეკრულება აუცილებლად ნოტარიალურად უნდა იყოს დამოწმებული. შესაბამისად, დოკუმენტი ნოტარიუსთან დგება — ნოტარიუსმა წყვილს განმარტებები უნდა მისცეს. ამ ფორმის გადახვევით დადებული ხელშეკრულება ბათილია და იურიდიული ძალა არ აქვს.

**— საქართველოში საქორწინო ხელშეკრულება ხშირად ფორმდება?**

— 2010 წელს 7 ხელშეკრულებაა გაფორმებული, 2011-ში — 12, 2012-ში კი — 21. წელს, ჯერჯერობით, 7 ხელშეკრულებაა გაფორმებული. ისე, ხელშეკრულებას მხოლოდ მომავალი კი არა, მოქმედი მეუღლეებიც აფორმებენ.

**ახალგაზრდებსა და მოქმედ მეუღლეებს ვურჩევ, გააფორმონ საქორწინო კონტრაქტი. ეს მათ სიყვარულს ჩრდილს არ მიაყენებს. პირიქით, მათი ეკონომიკური და მატერიალური ურთიერთოება დარეგულირდება, რაც ხელს ოჯახის სიმტკიცესაც შეუწყობს.**




# The National Interest: ვაშინგტონმა მკაცრად და საბოლოოდ უნდა თქვას უარი ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებაზე

THE NATIONAL INTEREST

საქართველოს სახიფათო სვლა ნატო-სკენ, — ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა The National Interest დუგლას ბენდოუს სტატიას.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საქართველოში ხელისუფლება არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ შეიცვალა. მიუხედავად დასავლეთის რჩეულის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სიძულვილისა, პრემიერ-მინისტრი კვლავაც აგრძელებს რუსეთის წინააღმდეგ ნატო-ს უსაფრთხოების გარანტიების მოპოვების ძიებას, მსგავსად სააკაშვილისა.

**„საქართველომ ხმაურიანი დაბადება გადაიტანა ორი ათეული წლის წინ, საბჭოთა კავშირის დაშლის დროს. 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, სააკაშვილმა ედუარდ შევარდნაძის მთავრობა დაამხო. დასავლეთში განათლებამიღებული სააკაშვილი აშშ-სა და ევროპას დახმარების თვალით შესცქეროდა, თუმცა მარტო აღმოჩნდა 2008 წელს, როცა რუსეთთან ომი დაიწყო და წააგო“,** — წერს დუგლას ბენდოუ.

**„ჯერ კიდევ კონფლიქტამდე, თბილისი აშშ-სა და ნატო-ს გულის მოგებას ცდილობდა. დამოუკიდებლობიდან რამდენიმე ხანში, საქართველოს ჯარები ჩაერთნენ კოსოვოში ნატო-ს მისიაში, საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (მოგვიანებით, ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო) და სამშვიდობო პროგრამას, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო“,** — აღნიშნავს სტატიის ავტორი და მოჰყავს ციტატა ნატო-ს ერთ-ერთი მოხსენებიდან: **„ნატო-სა და საქართველოს შორის ურთიერთობა, წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაღრმავდა, 1990-იან წლებში დაწყებული პირველი თანამშრომლობის შემდეგ“.**

როგორც სტატიაშია აღნიშნული, **„სააკაშვილის მთავრობამ ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულება დაიწყო და ავღანეთში ISAF-ის მისიას შეუერთდა. მეტიც, სააკაშვილმა გააძლიერა პერსონალური ურთიერთობა ამერიკასთან, ლობისტად აიყვანა სენატორი ჯონ მაკკეინი და ჯარები გააგზავნა საბრძოლველად ერაყში. პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თბილისის მისამართით დიდებასა და ფულს არ იშურებდა და სახელმწიფო ვიზიტითაც სტუმრობდა. ბუშის ადმინისტრაცია ძლიერ მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს გაწევრიანებას ნატო-ში, თუმცა ალიანსის წამყვანი ევროპელი ლიდერები ნაკლებად იყვნენ განწყობილნი, წინ აღდგომოდნენ ბირთვული იარაღით შეიარაღებულ რუსეთს სასაზღვრო დავისთვის, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელისთვის, თუმცა უმნიშვნელო – ევროპისთვის. 2008 წლის კონფლიქტმა გაამართლა მათი პოზიცია. მიუხედავად ამისა, ბუშის ადმინისტრაცია აგრძელებდა ზეწოლას ნატო-ში საქართველოს მიღებაზე. ასევე ობამას ადმინისტრაციაც, თუმცა ნაკლები ენთუზიაზმით“,** — წერს დუგლან ბენდოუ.

**„საქართველო, ბოსნია-ჰერცეგოვინასთან, მაკედონიასა და მონტენეგროსთან ერთად, ნატო-ში გაწევრიანების პირველი პრეტენდენტია. მიუხედავად ნატო-ს წარმომადგენლების განცხადებისა, რომ ალიანსში საქართველოში გაწევრიანების მოწინააღმდეგენი უკან იხევენ, ნატო-ს ზოგიერთი წევრი მაინც ნეგატიურად განწყობილი რჩება, მათ შორის გერმანია, თუმცა ნატო და საქართველო ისე აგრძელებენ მოქმედებას, თითქოს პასუხი „დიახ“ გარდაუვალია“,** — აღნიშნავს სტატიის ავტორი.

**„საქართველო ნატო-ს მნიშვნელოვანი პარტნიორია“,** — ციტირებს სტატიის ავტორი ნატო-ს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის სიტყვებს.

საქართველოს ახალმა მთავრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ნატო-ში გაწევრიანების სურვილი, გააორმაგა რა ქართული ჯარების რაოდენობა ავღანეთში, ცოტა ხნის წინ კი მალიში, ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში საკუთარი ჯარების ჩართვის სურვილი გამოთქვა.

თბილისის სურვილი — იყოს დაცული ძლევამოსილი ქვეყნებისგან, გასაგებია, თუმცა ეს ის მიზეზი არ არის, რაც აშშ-ს ვალდებულებას გაზრდის. ალიანსის მიზანი აშშ-ის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ცივი ომის დროს, ვაშინგტონი ნატო-ს ევრაზიაზე საბჭოეთის დომინირების აღკვეთისგან დასაცავად იყენებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მა გაზარდა სამხედრო გარანტიები, როგორც საკუთარი უსაფრთხოების წინასწარი საშუალება.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ამ სტანდარტების მიხედვით, ალიანსი ცივი ომის მოახლოებისას, ოდნავ გახლეჩილი იყო. სკლეროტიკი საბჭოთა კავშირი და მისი არასანდო ვარშავის ხელშეკრულების მოკავშირეები, ნაკლებ სავარაუდო აგრესორებს ჰგავდნენ. დასავლეთ ევროპელებს კი საკუთარი უსაფრთხოებისთვის მეტის გაკეთება შეეძლოთ. მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლამ თავიდან მოიშორა ორივე კონკურენტი და შემოჭრის საფრთხე. ნატო-ს არსებობის აზრი, ფაქტობრივად, ერთ ღამეში გაქრა.

სტატიის თანახმად, არც ერთი წევრი სახელმწიფო არ დაუშვებს ნატო-ს ვარშავის ხელშეკრულების გზით წასვლას. ნაცვლად ამისა, ალიანსმა გადაწყვიტა, რუსეთის საზღვრებამდე გაფართოება არა მხოლოდ ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი წევრების შთანთქმით, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებით.

**„ვაშინგტონმა დაასრულა გარანტიების მიცემა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მოსკოვის დაქვემდებარებაში იყო ცივი ომის დროს და მანამდეც“,** — აღნიშნავს დუგლას ბენდოუ და განაგრძობს, — ხშირად, ომის რისკი უმნიშვნელო იყო. რუსეთი მძიმე, უსიამოვნო შემსრულებელია, მაგრამ ის არ დაიწყებს ომს ყოფილ სახელმწიფოებთან. მოსკოვს ამისთვის არც ნება ეყოფა და არც შესაძლებლობა ისევე, როგორც რაიმე მიზეზი. საქართველო გამონაკლისია. თბილისმა საკუთარ გზას გადაუხვია, რუსეთის ინტერესების ისტორიულ რეგიონში დასავლეთის ავანპოსტი რომ გამხდარიყო. საქართველომ იმ სფეროში ჩაითრია ამერიკა, სადაც ვაშინგტონი არასოდეს ჩაერთვებოდა. მოსკოვის უკმაყოფილება პროგნოზირებადიც იყო და ექსტრემალურიც. გარდა ამისა, სააკაშვილის ქმედება უგნურება იყო, ნატო-ს ფორმალური გარანტიების უქონლობის შემთხვევაშიც. მოსკოვს შესაძლოა, ჰქონდა კონფლიქტის დაწყების სურვილი და მზადაც იყო უპირატესობის მოსაპოვებლად, თუმცა სროლა თბილისმა დაიწყო, ასეთი მთავრობა კი საიმედო მოკავშირე ვერ იქნება.

**„ნატო-მ აშშ-ის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს. საქართველოს ალიანსში გაწევრიანებით ომს უფრო სავარაუდოს გახდიდა. თბილისსა და აფხაზეთს ან ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის შეტაკებას, შესაძლოა, რუსეთის ჩართვა მოჰყვეს, რაც თავის მხრივ, ნატო-სა და რუსეთის დაპირისპირების წინაპირობა შეიძლება გახდეს. შედეგი კი, შესაძლოა, ომი იყოს, რისთვისაც თავის არიდება დასავლეთმა ცივი ომის დროს შეძლო. ნატო-ს, რომელშიც დომინანტი აშშ-ა, შენარჩუნების ცხადი მიზეზი არ არსებობს. ევროპელებს ამერიკელებზე მაღალი მშპ და მეტი მოსახლეობა ჰყავთ, რუსებზე კი სამჯერ მეტი მოსახლეობა და ათჯერ მაღალი მშპ აქვთ. ევროპელებმა თავიანთ უსაფრთხოებას თვითონ უნდა მიხედონ. თუ ალიანსს რაიმე ღირებულება აქვს, ეს ომისთვის ხელის შეშლაა. საქართველოს ალიანსში გაწევრიანება კონფლიქტს კიდევ უფრო შესაძლებელს გახდის. ამიტომ ვაშინგტონმა მკაცრად და საბოლოოდ უნდა თქვას არა ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებაზე“,** — წერს სტატიის ავტორი.

*„ინტერპრესნიუსი“*



## გურამ ოდიშარია დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის პრობლემებს გაეცნო

საქართველოს კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია და კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი იმერეთში ჩავიდნენ. კულტურის მინისტრმა, თანამშრომლებთან ერთად, თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში ქართველი მწერლისა და დრამატურგის, დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი დაათვალიერა. დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი სავალალო მდგომარეობაშია. მას ბოლო 20 წელია, რემონტი არ ჩატარებია. ექსპონატები სასწრაფო გადარჩენას საჭიროებს.

გურამ ოდიშარიამ მუზეუმის დირექტორსა და თანამშრომლებთან საუბრისას არსებული პრობლემები მოისმინა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ოდიშარიამ განუცხადა, კულტურის სამინისტროსთან სასწრაფოდ შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ყველა დეტალს, თუ რა სჭირდება მუზეუმს და ყველაფერს გააკეთებენ, რათა დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი ღირსეულად წარდგეს სხვა მუზეუმების გვერდით.

*„ინტერპრესნიუსი“*




## საგაზაფხულო ფესტივალი „ქართული სული — 2013“ დაიწყო

28 აპრილიდან 5 ივნისამდე ხელოვნების ფესტივალი „ქართული სული — 2013“ გაიმართება. ტრადიციული საგაზაფხულო ფესტივალი 2005 წლიდან იმართება და მისი მიზანია ქართული კულტურის პოპულარიზაცია. „ქართული სული — 2013“ წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 30-ე წლისთავს ეძღვნება.

ფესტივალი ფშავში, სოფელ ჩარგალში, ეთნოკულტურული წარმოდგენით — „ლექსო ნუ დაიკარგები“ გაიხსნა და მასში მონაწილეობენ ქართველი მეცნიერები, პოეტები, მომღერლები და მსახიობები. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობენ „ქართული ხმები“, ტრიო „სიმი“, „დები გოგოჭურები“ და „დები ნაყეურები“.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მერიის ინიციატივით, სკვერებსა და პარკებში ყოველ შაბათს გაიმართება კონცერტები

თბილისის მერიის ინიციატივით, ყოველ შაბათს, თბილისის დასასვენებელ პარკებში გასართობი კონცერტები გაიმართება. დედაქალაქის მერიაში განმარტავენ, რომ აღნიშნულ პროექტს უკვე მესამე წელია, ყოველ გაზაფხულზე ახორციელებს. კონცერტებში მონაწილეობას თბილისის „ბიგ ბენდი“, გიორგი სუხიტაშვილი, ზაურ შავგულიძე, თაკო გაჩეჩილაძე, მარიკო ებრალიძე, ალეკო ბერძენიშვილი, სოფო ბედია, მაია ბარათაშვილი, მარიამ პავლიაშვილი და ბორის ბედია მიიღებენ.

აღნიშნული კონცერტები ყოველ შაბათს, 15:00 საათზე გაიმართება:

1) ალექსანდროვის ბაღი — 11 მაისი.
2) რიყის პარკი — 18 მაისი.
3) დედაენის ბაღი — 25 მაისი.
4) გლდანის პარკი — 1 ივნისი.
5) ვერის ბაღი — 8 ივნისი.
6) მზიური — 15 ივნისი.
7) მთაწმინდის პარკი — 23 ივნისი.

*„ნეტგაზეთი“*

# „ნიკოლშოუ“, პატრიარქის კურთხევით, სოფელს აშენებს

ნათია ვასაძე
555-98-61-65

**„ნიკოლშოუს“ ერთ-ერთ წევრს, ფილოლოგ გია ნიკოლაძეს მუსიკალური განათლება არ აქვს და, როგორც თვითონ ამბობს, ნოტების გარჩევაც კი არ იცის. სამაგიეროდ, დარწმუნებულია, რომ „მაგარ“ ტექსტს „მაგარ“ მუსიკას თუ „ააყოლებ“, ძალიან მაგარი სიმღერა გამოვა. ამ პრინციპით დაწერილი მისი ბევრი სიმღერა გაჰიტდა. მიუხედავად ამისა, ხშირად ჰქონია შემოქმედებითი პაუზა. ამგვარი სიტუაციების დროს კი, როგორც წესი, დალევას იწყებს, თუმცა მუზა ნასვამსაც არ ტოვებს და სწორედ ამ პაუზების დროს იბადება ახალი სიმღერები.**



— ყველა ხელოვანს აქვს შემოქმედებითი პაუზა და ამ მხრივ, გამონაკლისი არც მე გახლავართ. არის პერიოდები, როდესაც არაფერს ვაკეთებ. ამ დროს, თითქოს, ენერგიისგან ვარ დაცლილი, მაგრამ როგორც კი სიმღერაზე მუშაობას ვიწყებ, ახლიდან ვიმუხტები.

**— ახლაც, როგორც ვიცი, ახალ სიმღერაზე მუშაობთ, არა?**

— ვმუშაობ ორ ახალ სიმღერაზე. ერთი რელიგიურ თემაზეა, მეორე — ინდიგო ბავშვებზე. სიმღერები ჯერ არ დამისრულებია — ბევრი რამაა დასახვეწი.

**— ამ სიმღერების იდეა როგორ გაგიჩნდათ?**

— ერთი სიმღერა, როგორც მოგახსენეთ, ინდიგო ბავშვებზეა. ბოლო დროს, ინდიგოების ფენომენით ძალიან დავინტერესდი და ეს საოცარი უნარით დაჯილდოებული არსებები იმდენად მომეწონა, რომ მათზე სიმღერის დაწერა გადავწყვიტე.

რაც შეეხება მეორე სიმღერას, რაც უნდა საკვირველად მოგეჩვენოთ, მისი დაწერის იდეა ქარმა შთამაგონა. დავფიქრდი და მივხვდი, რომ ქარს ბევრი რამ შეუძლია — ის ამოძრავებს წისქვილს, შეუძლია, თევზები ამოყაროს წყლიდან და რომელიმე სხვა ქალაქში გადაყაროს, თვით ვანგაც კი ქარმა აიტაცა და სამ კილომეტრში გადასვა... დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ სად შეიძლებოდა საქართველოში ქარების შერწყმის ადგილი მეპოვა და მივხვდი, ასეთი წერტილი შეიძლება მცხეთაში იყოს.

**— მერე რა ქენით, იპოვეთ?**

— ტაძარს სამი კარი აქვს, მაგრამ ყოველთვის მჯეროდა მეოთხე კარის არსებობა. ჰოდა, მოხდა ისე, რომ სვეტიცხოველში ყოფნისას, გამოვედი და მეოთხე კარის ძებნა დავიწყე. ტაძარს რომ შემოვუარე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც, ჩემი აზრით, ეს კარი უნდა ყოფილიყო, სხვა ქვებისგან გამორჩეული წარწერიანი ქვა ვნახე. ღმერთს ვთხოვე, ჩემთვის რაიმე ნიშანი მოეცა და სწორედ ამ დროს ატყდა ზარების რეკვა, ეს კიდევ არაფერი — ცაზე ერთდროულად 50-მდე საჰაერო ბუშტი გამოჩნდა.

**„რატომ უნდა იცოდეს ჩემმა შვილიშვილმა, ჩვენი პრეზიდენტი დილა-საღამოს ვისთან „ჟიმაობს“?! გადაუარა ყველას, ზოგს რა მოაჭამა და ზოგს — რა?! მიშა რომ ტუტუცია, ეს უკვე ყველამ ვიცით, ასე რომ, გაუმარჯოს ბიძინას!“**

**— ჩათვალეთ, რომ ეს ღვთის ნიშანი იყო?**

— მერე, ამის შესახებ ჩემს მეგობრებს მოვუყევი და ერთად წავედით მცხეთაში. სვეტიცხოველს რომ მივუახლოვდით, ბინდდებოდა. იმაზე რომ დავიწყეთ მსჯელობა, ჯერ გველოცა თუ პირდაპირ იმ ქვასთან მივსულიყავით, თვითონ ქარმა გაგვიღო ტაძრის კარი. ჩვენც, ბევრი აღარ გვიფიქრია და შიგნით შევედით. ტაძრიდან რომ გამოვედით, უკვე ბნელოდა. წარწერიან ქვას რომ მივუახლოვდი და სანთებელა მივანათე, მართლაც, სასწაული მოხდა — სანთებელამ და ჭექა-ქუხილმა ერთდროულად გაანათა კედელი.

**— ამ სასწაულებისა და თქვენი აღმოჩენის შესახებ, რომელიმე სასულიერო პირს თუ უამბეთ?**

— კი, როგორ არა. იქვე, კელიაში შევედით და ბერი ვნახეთ, რომელსაც ამ ქვის ისტორია ვკითხეთ.

**— რა გიპასუხათ — მანაც იცოდა მეოთხე კარის არსებობა?**

— თავიდან კი გაგვინაწყენდა, რაში გაინტერესებთო, მაგრამ მერე, გახსნა გონების წიგნი და სვეტიცხოვლის ისტორია გვიამბო. მართალია, მეოთხე კარზე არაფერი უთქვამს, მაგრამ იმ კედრის ხეზე გვიამბო, სვეტიცხოვლის ადგილას რომ იდგა და ავადმყოფებს კურნავდა. გამოდის, რომ სიცოცხლის ხე მოვჭერით ქართველებმა. არადა, პატრიარქი ბრძანებს, ხეები დარგეთო. ეს სიმღერაც ამ კედარზეა, მის ძალასა და შესაძლებლობებზე.

**— სიმღერის დაწერამდე ბევრი გიფიქრიათ...**

— რაც ნაღდია, იმას ბევრი ფიქრი არ სჭირდება. ხე რომ არ უნდა მოჭრა, რად უნდა მაგას ზედმეტი ფიქრი და მსჯელობა? მთავარი ხომ დედამიწა და ის პროცესებია, რაც ბუნებაში ხდება.

**— გია, თქვენი აზრით, გახდება ეს სიმღერა პოპულარული?**

— თემას თუ გავითვალისწინებთ, უნდა გახდეს. სიტყვებიც ისეთია, ბევრ რამეზე რომ დაგაფიქრებს. ამას წინათ, ჩემს მეუღლეს მოვასმენინე და მითხრა, შეიძლება, ბევრ რამეს ვერ ვხვდები და პროფესიონალურად ვერ შევაფასო, მაგრამ ჟრუანტელი რომ დამივლის, ესე იგი, მაგარიაო. ყველაზე მეტად რა მიხარია, იცით? საქართველოს ყველა კუთხეში ვყოფილვარ და თითქმის ყველგან ზეპირად იციან ჩემი სიმღერის — „დედამიწის“ ტექსტი.

**— როგორც ჩანს, „დედამიწა“ თქვენც გამორჩეულად გიყვართ...**

— დიახ და სხვა სიმღერებთან შედარებით, უფრო მეტად პოპულარულიცაა.

**— მანამდე სხვა სტილში მღეროდით...**

— მანამდე ისე იყო, ახლა ასეა... ძნელი არაა, ადვილია იმაზე სიმღერა, რაც მარტო ქართველებს კი არა, ერებს აერთიანებს. თუ დავფიქრდებით, სარწმუნოება და ტრადიციები ყველას სხვადასხვა გვაქვს, ერთადერთი, დედამიწა გვაერთიანებს.

**— როგორც ვიცი, მუსიკალური განათლება არ გაქვთ...**

**— ბიჭები ეზოში ფეხბურთს თამაშობდნენ და მე სოლფეჯიო მესწავლა?! ნოტების გარჩევაც კი არ ვიცი. მუსიკაზე მხოლოდ ერთი წელი ვიარე. დედაჩემს კი, დღემდე აქვს შენახული ჩემი ხელწერილი, სადაც პირობას ვდებ, კარგად მოვიქცევი, ოღონდ მუსიკაზე არ მატაროთ-მეთქი.**

**— არ გინდათ, ქართული შოუბიზნესი შეაფასოთ?**

— არ მინდა. ყველა იმას მღერის, რაც უხარია და ყველას თავისი მსმენელი ჰყავს. ასეც უნდა იყოს. იმღერონ, მე არაფერს მიშლიან.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენ რა ტიპის მსმენელი გისმენთ?**

— გლეხკაცი იმიტომ, რომ თავად გლეხკაცი ვარ.

**— თუმცა, ვერა-ვაკეში გაიზარდეთ...**

— ეს გლეხკაცობას ხელს არ უშლის.

**— ხშირად გამოდიხართ საქველმოქმედო კონცერტებზე...**

— ჩემთვის ეს ყველაზე სასიამოვნო საქმეა. ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ბედნიერებაა, შენი სიმღერით რომ ვინმეს ეხმარები. ბოლო დროს, მე და ჩემს მეგობრებს ახალი სოფლის დაარსების იდეა მოგვივიდა. სოფელს „კეთილსოფელი“ ერქმევა და სოციალურად დაუცველი ბავშვებითა და ოჯახებით იქნება დასახლებული. საპატრიარქომ უკვე მოგვცა კურთხევა. იმედია, ამ იდეით სპონსორებიც დაინტერესდებიან.

**— ბოლო დროს, ზოგიერთი მომღერალი პოლიტიკაშიც ჩაერია. თქვენ თუ უმღეროდით რომელიმე პოლიტიკოსს?**

**[illegible] და ვისთვის უნდა მემღერა?! გიორგი თარგამაძის წინასაარჩევნო პარტიის კლიპში ვიმღერე, ეგ იყო და ეგ. მე და გიორგი „იბერვიზიიდან“ ვმეგობრობთ, თან 40 000 ლარზე იყო ლაპარაკი და რა უნდა მექნა? იმ ფულით ბინა გავარემონტე და ბავშვებიც გავახარე... „ნიკოლშოუზე“ ყოველთვის ტაციობა იყო. უამრავი პოლიტიკოსი გვთავაზობდა თავისი პარტიის მაისურებით სიმღერას, მაგრამ მე მაინც ნეიტრალური დავიცავი. თარგამაძის კლიპშიც იმიტომ ვიმღერე, რომ კარგი ჟურნალისტი და შედარებით ნეიტრალური პოლიტიკოსი იყო. ასეა, ჩემო კარგო, ცოტა კი უნდა იეშმაკო, მაგრამ მაგრად არ უნდა გაეშმაკდე!**

**— ახალ მთავრობაზე რას ფიქრობთ?**

— პოლიტიკაში არ ვერევი, მაგრამ დღევანდელ ვითარებაზე ჩემი შეფასებები მაქვს. „ედიკას ხალხი“ რომ დაბრუნდა თანამდებობებზე, ეს არ მომწონს, მაგრამ მჯერა, ივანიშვილი სიტუაციას აუცილებლად დაალაგებს. ეს კაცი პოლიტიკაში იმისთვის არ მოსულა, „მაყუთი“ გააკეთოს. თავისიც ჰყოფნის. აბა, მიშამ საერთოდ გარეკა. რატომ უნდა იცოდეს ჩემმა შვილიშვილმა, ჩვენი პრეზიდენტი დილა-საღამოს ვისთან „ჟიმაობს“?! გადაუარა ყველას, ზოგს რა მოაჭამა და ზოგს — რა! მიშა რომ ტუტუცია, ეს უკვე ყველამ ვიცით, ასე რომ, გაუმარჯოს ბიძინას!

ქვათა მატიანე

# პარეხთა ნათელი

**გარეჯი**

**იმ თორმეტი მონასტრის გარდა, რომელსაც პლატონ იოსელიანი ჩამოთვლის (ლავრა, აღდგომის წამებული, ბერთუბანი, დოდოს რქა, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრისენაკები, მღაზანა, ქოლაგირი, მოხატული, ვერანგარეჯა, პირუკუღმარი), ივრის მარჯვენა სანაპიროზე ალპინისტმა შალვა ლეჟავამ, დალის მთის წყალსაცავთან ახლოს, კლდეში ნაკვეთი კიდევ ერთი კომპლექსის გუმბათიან ეკლესიაში შეაღწია. იგი ძალიან ძველი უნდა იყოს და სატორგე ჰქვია. გარდა ამისა, ივრის მარჯვენა, ანუ მეორე სანაპიროზე, სიღნაღის რაიონში, ქოლაგირის მოპირდაპირედ, კლდეში ნაკვეთი დიდი და პატარა ქვებების კომპლექსებია. დიდ ქვებებში 60-მდე პარეხია.**





საბერეების კომპლექსი და ჯვარცმის პანო მის ერთ-ერთ გუმბათიან ეკლესიაში

გელა ქოქიაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ილარიონ ქართველის მოღვაწეობიდან, ანუ IX საუკუნის მეორე ნახევრიდან, სამონასტრო ცხოვრების უმკაცრესმა, ასურულმა წესებმა შერბილება დაიწყო, განდეგილად დაყუდების ტრადიცია ბოლომდე შემორჩა მრავალმთას. სამონასტრო კომპლექსებიდან მოშორებით, აქ ბევრგან შევხვდებით ეულ პარეხებს. მონასტრის საძმოს წევრებს განდეგილთან მორიგეობით მიჰქონდათ მცირეოდენი საკვები და წყალი, ოღონდ ისე, რომ მას არ ენახვებოდნენ, საკვებს პარეხის შესასვლელთან დაუტოვებდნენ და უკან გამობრუნდებოდნენ. თუ მეორედ მისვლისას საკვები ხელუხლებელი დახვდებოდათ, ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ განდეგილს უფლისთვის ჰქონდა სული მიბარებული.

ჩემი მეგზური — მორჩილი ლაზარე ცირამუა მეუბნება, რომ ერთი ასეთი ბერი — მამა ნიკოლოზი ახლაც ცხოვრობს გარეჯში და იგი დოდოს რქის მონასტრიდან მოშორებით, მთის კორტოხზე, მდგარ კოშკშია დაყუდებული. ეს საუბარი ლაზარესა და ჩემს შორის მაშინ მიმდინარეობს, როცა ნათლისმცემლის მონასტრის კლდის ზურგზე გამავალ ბილიკს მივუყვებით. ამ მხარეს მონასტრის გვირაბისა და კოშკის გავლით მოვხვდით. ბილიკმა XVII საუკუნის ერთ-ერთი განდეგილის — სერაპიონის პარეხთან უნდა მოგვიყვანოს.

**გზად კლდის ბუნებრივ წვიმის წყლიან უზარმაზარ ხაროსთან ვჩერდებით, მაგრამ აქ უფლისგან ბოძებული სხვა წყალიც მოჟონავს ხოლმე ზაფხულობით, დღე-ღამეში დაახლოებით, 5-10 ლიტრი. სასწაული კი ისაა, რომ წყალი ღვთისმშობლობა დღეს, 28 აგვისტოს, ანუ მაშინ წყდება, როცა მწველი ზაფხული უკან იხევს.**

ეს კლდე ერთ ჯაგმორეულ ხევს დაცქერის.

— ამ ხევს ეშმაკის ხევი ჰქვია, — ახლა უკვე მე ვუხსნი ლაზარეს, რადგან ამას წინათ თენგიზ თოდრიას შედგენილი გარე კახეთის დიდებული ტოპონიმიკური რუკა ჩამივარდა ხელთ.

— ჰო, ამას მართლაც ეშმაკის ხევი უნდა ერქვას, — ლაზარეს ხმას შფოთი შეეპარა. — სწორედ აქ იყო, რომ ერთხელ უზარმაზარ მახრჩობელა გველს გადავეყარე. რომ წამოიმართა, თვალს არ დავუჯერე, ორი მკლავის სიმსხო იყო და ოთხ მეტრს არაფერი უკლდა. როგორ გავრბოდი ჯაგებში, არ მახსოვს. მონასტერში დასისხლიანებული თავპირით ძლივს ჩავაღწიე.

**ლაზარეს ნაამბობი ღირსი მამა დავით გარეჯელის ცხოვრების იმ ეპიზოდს მახსენებს, სადაც ერთ-ერთ პარეხში დაბუდებულ ვეშაპზეა საუბარი. გარეჯის ერთ-ერთი მონასტრის კედელზე არსებულ ფრესკაზე 10-12 საუკუნის წინანდელ მხატვარს დავითის ვეშაპთან შეხვედრის ამსახველ ფრესკაზე უზარმაზარი, აჯაგრული გველი ჰყავს გამოსახული.** იგივე სურათი გვაქვს ჩვენში არსებულ ყველა იმ **რელიეფზე, რომელიც ვეშაპის** მიერ იონა წინასწარმეტყველის გადაყლაპვას და ამოფრქვევას შეეხება (სალამოს ტბა, გომარეთი და ა.შ.). მაშასადამე, სიტყვა ვეშაპი უძველეს ქართულში დღევანდელი მნიშვნელობით კი არ გამოიყენებოდა, არამედ უზარმაზარი გველის გამომხატველი იყო. მოგვიანებით ამ სიტყვამ ყოველივე გიგანტურის მნიშვნელობაც მიიღო, დღეს კი მხოლოდ ოკეანის უდიდეს ბინადარს შემორჩა.

... ამ განსჯაში სერაპიონის პარეხსაც მივადექით. განდეგილი ბერის კლდეში ნაკვეთი სენაკი 3 კვ მეტრიც არ არის.

ჩვენი მოგზაურობა მრავალმთის მონასტრებში აღმოსავლეთით გრძელდება. გავდივართ სოფელ უდაბნოს და 15-20 კილომეტრის შემდეგ, ისტორიული საქარავნო გზით, ძველი კამბეჩოვნის პროვინციის საზღვრებში შევდივართ. ჩრდილოეთით **ქიძის მთის** გრძელი მასივია. ჩაკეცილი კალთები მზეზე ოქროსფრად ელავენ. დიდებული სანახაობაა, მაგრამ სულ მალე უფრო დიდი სილამაზის ხილვა გველის. ნელ-ნელა განცალკევებით მდგარ ორ მონაკვეთიან კლდის მასივს ვუახლოვდებით. დასავლეთი მონაკვეთი ოდნავ უკანაა შეწეული და მოკრძალებულად გამოიყურება, აღმოსავლეთი მონაკვეთი წინ წამომდგარა და ორგვარ ასოციაციას იწვევს: იგი ოქროსფერ, თავმოკვეთილ პირამიდასაც ჰგავს და გიგანტურ ბაზილიკასაც.

ისეთი სილამაზეა, ბრმას თვალი აეხილება! ეს მრავალმთის მარგალიტი — **საბერეების** კლდის კომპლექსია. დიდება შენდა, ღმერთო, რომ ესეც საქართველოა!..

კლდის დასავლეთ მონაკვეთში 3 პარეხია, აღმოსავლეთისაში — 5. რვა პარეხში რვა ეკლესიაა გამოკვეთილი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია აღმოსავლეთის 5 ეკლესია, რომელთაგან დარბაზული მხოლოდ ერთია და ისიც ორსართულიანი (ქვევით ეკვდერებიანი ეკლესია, ზევით — ერთი მინიატურული სამლოცველო და ერთიც სენაკი). დანარჩენი 4 ეკლესია გუმბათიანია, რომელთაგან ერთი ნაგრძელებულია, სამი კი ტოლმკლავა. მართალია, ამ სამი ტაძრიდან ტეტრაკონქი არც ერთი არაა, მაგრამ ყველა ადრეშუასაუკუნეებისაა.

**ხუთი ეკლესიიდან ოთხში მეტნაკლებადაა შემორჩენილი მხატვრობა, რომელიც IX-X საუკუნეებით თარიღდება. ფრესკები უმეტესად საკურთხეველთა აბსიდებშია, მაგრამ თითქმის ყველა გასული საუკუნის ბარბაროსებისგანაა შელახული.** ყველა ეკლესია ერთ დროში და ერთი ოსტატის მიერ არ უნდა იყოს მოხატული. ფრესკებს თან ახლავს განმარტებითი წარწერები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ქართულია, მაგრამ ერთგან ბერძნულს და სომხურსაც ვხვდებით. ეს გასაკვირი სულაც არაა, რადგან **მრავალმთის მონასტრებში, მათი დაარსების დღიდან, ყველა მხრიდან მოსული ქალკედონიკი ბერებიც მოღვაწეობდნენ პერიოდულად. ეს განსაკუთრებით მონოფიზიტების მიერ სომხეთიდან დევნილ ქალკედონ ბერებზე ითქმის.**

მაგრამ ჩვენ მხატვრობას დავუბრუნდეთ, რომლითაც განსაკუთრებით მარცხნიდან რიგით მე-4 ეკლესია (იგი სამეცნიერო ლიტერატურაში VII ეკლესიად არის ცნობილი) გამოირჩევა.

აფსიდი, კონქის ჩათვლით, უფლის დიდების კომპოზიციას წარმოგვიდგენს.

ძალიან ეფექტურია ჩრდილოეთ მკლავის მხატვრობა. აქ თაღში, ვარსკვლავებით მოჭედილ აპოკალიფსურ ცაზე, მზისა და მთვარის პერსონიფიცირებული გამოსახულებებიცაა. ქვევით, მთელ კედელზე, ჯვარცმის პანოა. მხატვარს, რომელსაც „ქრისტეს დიდების“ ნაცნობი კომპოზიციის მოხატვისას ხატწერის ყველა წესი დაუცავს, ჯვარცმის მასობრივი სცენის შექმნისას ნამდვილად უჭირს სირთულეებთან გამკლავება, მაგრამ ეს მაინც მეორეხარისხოვანი ამბავია მოცემულ შემთხვევაში და აი, რატომ: **ამ იკონოგრაფიულ პანოზე**





ქოლაგირის კომპლექსი და მისი ერთ-ერთი ფრესკის გრაფიკული გამოსახულება

**მას, მაცხოვართან ერთად, შემოყავს ჯვარზე გაკრული ორი ავაზაკი: მარცხნივ — კეთილი „აგასტასი“ და მარჯვნივ — ბოროტი „დიმასი“ (იგივე „დოუმქესი“). დახატულნი არიან ასევე, რომაელი ასისთავი „ლონგინოზი“, რომელიც ღვიძლს უხვრეტს მაცხოვარს და ჯარისკაცი „სტეფატონი“ (იგივე „უსუპი“ — ადიშური ოთხთავის მიხედვით), რომელიც ნაღველგარეულ ძმრიან ღრუბელს აწვდის მაცხოვარს. აქვეა ღვთისმშობელიც, რომელსაც, შარავანდედთან ერთად, დედოფლის გვირგვინიც ადგას თავზე.**

და მაინც, მთავარი სულ სხვა რამაა. პირველი ის, რომ მაცხოვარს კვართი მოსავს მთლიანად, მეორე კი ის, რომ ღვთისმშობელი უფლის წმინდა სისხლს აგროვებს ბარძიმით.

ავაზაკებთან ერთად, ქრისტეს ჯვარცმა X საუკუნის მერე აღარ გამოისახებოდა, ხოლო კვართით შემოსილი მაცხოვარი VII-IX საუკუნეების წებელდისა და გველდესის კანკელების რელიეფების შემდეგ საერთოდ აღარ გვაქვს. გრაალის თემა ჩვენში ყველაზე ადრე, სავარაუდოდ, X საუკუნის შემოქმედის ტიხრულ მინანქარზე გვხვდება, მაგრამ იქ ბარძიმი არა ღვთისმშობელს, არამედ სიონის ასულს უკავია.

**კედლის მხატვრობაში ჯვარცმის მსგავსი ინტერპრეტაციები, საბერეების მონასტრის გარდა, სხვაგან არ გვხვდება და მისი უნიკალურობაც სწორედ ესაა.**

საბერეების ამ ფრესკისთვის რამდენიმე განმარტებითი წარწერა გაუკეთებიათ სომხურად ნიკოდიმოსის სახარების და სომხური ლაზარიანთ ოთხთავის მიბაძვით.

... საბერეებიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრში, გარეჯის სანახების ერთ-ერთ იშვიათობას, წყაროს წააწყდებით.

გზას ისევ აღმოსავლეთით ვაგრძელებთ და 3 კილომეტრში კლდეში ნაკვეთ კიდევ ერთ სამონასტრო კომპლექსს — **ქოლაგირს** ვხვდებით. მისმა უძველესმა სახელმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. როგორც პლატონ იოსელიანი ამბობს, სიტყვა ქოლაგირი სპარსულია და ქართულად ასე გამოითქმის: „მოიხადე ქუდი“. მეორე ვერსიით, მონასტერს ქოლაგირი თარაქამებმა შეარქვეს, რაც ჩვენებურად ეკლიან ადგილს ნიშნავს. და მართლაც — ამ მონასტრის სიახლოვეს დიდი, ეკლიანი ბუჩქებია.

ქოლაგირის კომპლექსში რამდენიმე ქვაბსენაკი და საყდარია. ერთი მათგანი 13 მეტრის სიგრძის ეკვდერებიანი ეკლესიაა.

აქ, სახარებისეულ სიუჟეტებზეც რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან ბევრი ქტიტორული ფრესკა ყოფილა. ზოგიერთი მათგანის აღქმა გრაფიკული წარმოსახვით უფრო ადვილდება.

ერთ-ერთ ოთხფიგურიან ფრესკაზე, მარჯვნიდან პირველი მამაკაცის თავთან, ასეთი წარწერაა: **„ესე არს ვარდან ერისთავთ-ერისთავი — ძე ერისთავთ-ერისთავისა სადირისი — გამზრდელი მეფეთ-მეფისა დიმიტრისა“.**

სხვა ქტიტორულ ფრესკაზე გამოსახულნი არიან ვარდან ბეშქენის ძე ერისთავი, ვაზირთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი და ა.შ. მათი საგვარეულო სახელი დაუდგენელია, თუმცა არის ვარაუდი, რომ ისინი კოლონკელიძეთა წარმომადგენლები არიან.

*ავტორის ფოტოები*



სერაპიონის სენაკი და წყლის აუზი „ნათლისმცემელთან“

# ჰოროსკოპი
## 29 აპრილი

***ვერძი*** — ვარსკვლავები გაძლევენ შანსს, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ, თქვენი თავდაჯერებულობა და საქმიანი აქტიურობა სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ. ნუ შეეცდებით ყველა პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტას, ცხოვრება თავად გიჩვენებთ საჭირო დროს.

***კურო*** — კუროებს ვარსკვლავები ურჩევენ, საქმიანი აქტივობა ცოტა შეანელონ, ფინანსურ დანაკარგს თავი რომ აარიდონ. სამსახურში მოსალოდნელია მცირე უსიამოვნება, ამიტომ სჯობს, ბუნებაში გახვიდეთ. დღის მეორე ნახევარში თქვენი კომუნიკაბელურობა უფრო იზრდება — შედეგად, წარმატებული იქნება საქმიანი შეხვედრები და მოლაპარაკებები.

***ტყუპები*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა, მაგრამ საღამოს მაინც უკმაყოფილო იქნებით საკუთარი თავით. შესაძლოა, ზედმეტად ფრთხილობთ, ეცადეთ თავი შეიკავოთ სიბრაზისგან.

***კირჩხიბი*** — დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, თავი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში წარმატებულად წარმოაჩინოთ. ბედი შანსს გაძლევთ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. თქვენს გრძნობებსა და საქციელს შორის ბალანსი აღდგება.

***ლომი*** — სერიოზული პროვოკაციისა და გაუგებრობის დღეა. არ ღირს, ახალი საქმით დაკავდეთ, სჯობს, ძველი პრობლემები მოაგვაროთ. დღე სასიკეთოა სადავო საკითხებისა და სასამართლო საქმეების მოსაგვარებლად — შედეგი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ.

***ქალწული*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს მცირე უსიამოვნება ელით. საქმე, რომლითაც ხართ დაკავებული, ძალიან უინტერესოდ გეჩვენებათ, მაგრამ მტკივნეული რეაქცია ნუ გექნებათ, რადგან ბედს ვერ შეცვლით. დღის მეორე ნახევარი კი ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან, მყუდრო გარემოში გაატარეთ.

***სასწორი*** — სასწორებისთვის დაძაბული დღეა და ამიტომ პრობლემების გადაჭრას მარტო ნუ შეეცდებით. ნიშნის წარმომადგენელ თქვენი ფინანსური მდგომარეობა განაპირობებს სამომავლო გეგმების განხორციელებასა და ოჯახურ სიტუაციაზე.

***ღრიანკალი*** — დღე არც ისე კარგია სადავო საკითხების გადასაჭრელად, დიდია ალბათობა, რომ აქ წარმატებას ვერ მიაღწევთ. საყვარელ ადამიანთან პრეტენზიებმა, შესაძლოა, სკანდალამდე მიგიყვანოთ. ამ დღეს ურთიერთგაგება თითქმის შეუძლებელია. ვარსკვლავები გირჩევენ, ემოციები მოთოკოთ, რადგან მხოლოდ ასე აიცილებთ თავიდან უსიამოვნებას.

***მშვილდოსანი*** — დღე არასასურველია საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ მატერიალურ დანაკარგს. დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, უთანხმოება პარტნიორებთან ან უფროსობასთან, საღამოს კი სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვლება. კარგი დღეა მეგობრებთან შეხვედრისა და ახალი ნაცნობობისთვის.

***თხის რქა*** — დღეს თქვენი აურა დასუსტებულია და ძლიერდება გარემოს ნეგატიური ზემოქმედებაც. დაბნეულობის გამო ძნელად აუწყობთ ფეხს სამუშაო რიტმს. დღე წარუმატებელია საქმიანი გარიგებების, შენაძენებისა და ურთიერთობების გარკვევისთვის.

***მერწყული*** — მერწყულებისთვის სერიოზული პროვოკაციების დღეა — ყველა თქვენს წინააღმდეგაა და იმას გაბრალებენ, რაც არ ჩაგიდენიათ. გაუგებრობის შედეგი მოულოდნელი და უსიამოვნო იქნება, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ. არ არის გამორიცხული, მოგატყუონ იმ ადამიანებმა, ვისზეც ხართ დამოკიდებული.

***თევზები*** — სერიოზული წინააღმდეგობების დღეა, ნებისმიერი კამათი სკანდალამდე მივა, რადგან დათმობას არც ერთი მხარე არ მოისურვებს. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ყველაფერში სიფრთხილე გამოიჩინეთ, საღამოს კი შეგიძლიათ, მოეშვათ და დრო მეგობრებთან ერთად, სასიამოვნოდ გაატაროთ.

## კომიდან ძილის წამალმა გამოიყვანა

სახმრეთაფრიკელი მამაკაცი შვიდწლიანი კომიდან საძილე საშუალებამ გამოიყვანა. 2005 წელს აფრიკელი მამაკაცი ავტოავარიაში მოყვა, შედეგად ქალა-ტვინის ტრავმა მიიღო და კომაში ჩავარდა. მისთვის დამამშვიდებელი წამლის მიცემა ცოლმა აიჩემა, რადგან საძილე საშუალების ამ უჩვეულო თვისებებზე ერთ-ერთ ვებ-საიტზე წაიკითხა. ქალი მეუღლეს ხუთი დღის განმავლობაში ასმევდა „ზოლპიდემს, რის შემდეგაც მამაკაცი კომიდან გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ ნკვიანა სამი ბედნიერი ადამიანიდან ერთ-ერთია, რომელმაც ამ პრეპარატის წყალობით კომატოზური მდგომარეობის დაძლევა შეძლო.

## შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



ყინულის მთა | სანია ვებელი | თბილისის უბანი

მონტე კრისტოს მემობარი | შეიარა ლებული ძალები

ბეჭდვითი გამოცემა | ბოსტ ნეული მცენარე | ბუნებრ. მოვლენა | იალქანი ანუ..

საკვები პროდუქტი

ქართული გაზეთი | მინერა ლური წყალი

დიდი ოთახი | ქართული ხმალი | საქართ. მდინარე

ბრიტ ანელი პრინცესა | შესახვევი ქსოვილი | კუვეიტის ვალუტა | „ოტელოს" პერსო ნაჟი

ობობას ქსელი | საარ ჩევნო ყუთი | სასიმ ღერო ხმა

შუშის ღოქი | მეტალის ფული

წონის ერთეული | პატარა თევზი | ტროპი კული ხილი

მურული სულელი | ჩაძირული კონტი ნენტი



# წინა ნომერში გასული
## სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 3 | 2 | 7 | 1 | 9 | 8 | 6 |
| 7 | 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 6 | 9 | 8 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 | 7 |
| 3 | 8 | 5 | 7 | 6 | 2 | 1 | 9 | 4 |
| 1 | 7 | 4 | 8 | 9 | 3 | 6 | 2 | 5 |
| 9 | 6 | 2 | 1 | 5 | 4 | 3 | 7 | 8 |
| 4 | 5 | 9 | 3 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 |
| 8 | 3 | 7 | 6 | 1 | 9 | 4 | 5 | 2 |
| 2 | 1 | 6 | 5 | 4 | 7 | 8 | 3 | 9 |

სტანდარტი

რთული

ექსპერტი



# ჰოროსკოპი

## 30 აპრილი

**ვერძი** — დღე კარგია საქმიანი მოგზაურობისა და შეხვედრებისთვის. შეეცადეთ, უფრო მიზანდასახული გახდეთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოთ, რადგან მოსალოდნელია, ქრონიკულმა დაავადებებმა იჩინოს თავი. დღეს ენერგეტიკული, შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი ზემოთ მიიწევს, შეეცადეთ, ეს თქვენს სასიკეთოდ გამოიყენოთ.

**კურო** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს უამრავი საქმიანი შეხვედრა ელის, რაც თქვენს პროფესიასთან იქნება დაკავშირებული. ამიტომ შეეცადეთ, სოლიდურად გამოიყურებოდეთ. გარკვეული პესიმისტური განწყობაც დაგეუფლებათ, რაც თქვენი შინაგანი ბუნების ბრალი იქნება, სჯობს, ემოციები მოთოკოთ და დროებით, ყველა საქმე დაივიწყოთ.

**ტყუპები** — ახალ ნაცნობებთან კონტაქტი სერიოზულ პერსპექტივებს დაგისახავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მოგზაურობისას. დღეს უმჯობესია, ყურადღება გაამახვილოთ საქმიან შეხვედრებზე, რადგან შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ აქ გადაწყდეს, საღამოს კი მყუდრო გარემოში, მეგობრებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად დაისვენეთ.

**კირჩხიბი** — ოჯახში სიმყუდროვესა და სითბოს შეიქმნით. დღის მეორე ნახევარში შეიძლება უსიამოვნო ინფორმაცია მიიღოთ, პირად ცხოვრებაშიც ერთგვარი სიფრთხილე გმართებთ, თუმცა გახსოვდეთ, რომ ყველაფერი დროებითია და შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავალს მალე იპოვით.

**ლომი** — ლომებისთვის ემოციურად დაძაბული დღეა. სამსახურში საქმეს თავს ვერ აბამთ, არც პარტნიორის არჩევაში გაგიმართლათ. ინტუიციაც დღეს თითქოს გღალატობთ. მოგიწევთ არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ, მით უმეტეს, რომ გსურთ, ყოველდღიურ ერთფეროვნებას თავი დააღწიოთ.

**ქალწული** — მთელ დღეს საკუთარ ბედზე წუწუნსა და საქმიანი პარტნიორების შეცდომებზე საუბარში გაატარებთ. შესაძლოა, თქვენმა არასწორმა ნაბიჯებმა გააფუჭოს წამოწყებული საქმე. აუცილებელია უფრო სერიოზულად მიუდგეთ სამსახურეობრივ მოვალეობას. დღის მეორე ნახევარი, სჯობს, ახლობლების წრეში გაატაროთ.

**სასწორი** — სასწორებს ცვლილებების დღე ელის. შეეცადეთ, ორგანიზებული იყოთ სამსახურში და რაც შეიძლება მეტი შეხვედრა დაგეგმოთ. დღეს დაწყებული ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს. დღის მეორე ნახევარი, უმჯობესია, მეგობრების წრეში გაატაროთ.

**ღრიანკალი** — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა, მაგრამ უმჯობესდება. დღეს არ გირჩევთ, ახალი საქმის წამოწყებას, სჯობს, ძველ პრობლემებს მიუბრუნდეთ, რადგან არის შანსი, ისინი სწორედ დღეს მოაგვაროთ. კარგი დღეა სადავო საკითხების გადასაჭრელად.

**მშვილდოსანი** — დღის ბოლოს, შესაძლოა, საკუთარ თავსაც ვერ აუხსნათ, სად ან რაში დახარჯეთ ამდენი ფული. მაგრამ ფინანსური საკითხები დღეს თქვენთვის არც ისე მტკივნეული თემაა. მთავარია, ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ და მანამდე მოასწროთ შეჩერება, ვიდრე თვის მთელ დანაზოგს ქარს გაატანთ.

**თხის რქა** — დღეს შესაძლებლობა მოგეცემათ, გარშემომყოფები საკუთარი დამოუკიდებლობითა და ხასიათის სიმტკიცით გააოცოთ, მართალია, თქვენი ბუნებიდან გამომდინარე, გუნდში მუშაობა გირჩევნიათ, მაგრამ დღეს სწორედ ის შემთხვევაა, საკუთარი ინდივიდუალიზმი უნდა გამოავლინოთ.

**მერწყული** — დღეს ყველაფერში იღბალი გდევთ, ამიტომ უფრო თამამად და ღიად იმოქმედეთ. ფიქრზე დიდ დროს ნუ დაკარგავთ. დღეს სურვილი გიჩნდებათ, რამდენიმე საქმეს ერთად შეეჭიდოთ, თუმცა სჯობს, ყველა პრობლემის ერთად მოგვარებისგან თავი შეიკავოთ. დღის მეორე ნახევარი შეგიძლიათ ხმაურიან წვეულებაზე გაატაროთ, მოგვიანებით კი ენერგია იმისთვისაც დაგრჩებათ, ოჯახის წევრებს გარკვეული დრო დაუთმოთ.

**თევზები** — დღეს სათანადო ყურადღება დაუთმეთ ახლობლების რჩევებსა და მითითებებს. სწორედ მათ დარიგებებსა და თქვენს ინტუიციაზე დაყრდნობით შეძლებთ, გამოხვიდეთ შექმნილი რთული ვითარებიდან და უსიამოვნებებს თავს აარიდებთ. საღამოს მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრა ან ახალი ნაცნობობა, რაც სერიოზულ ურთიერთობაში შეიძლება გადაიზარდოს.

# სოიო ნაოჭების წინააღმდეგ

ნივთიერება ჰენისტეინი, რომელსაც სოიოს მარცვლები შეიცავს, ადამიანს ახალგაზრდობის შენარჩუნებაში დაეხმარება, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მეცნიერები. მათ ექსპერიმენტში 50-დან 65 წლამდე ასაკის, 2 ათასი ქალბატონი მონაწილეობდა, რომელთა ნაწილი ერთი თვის განმავლობაში იღებდა სოიოს, კმაყოფილი იყო საკუთარი კანის მდგომარეობით. სწავლულთა განცხადებით, ჰენისტეინი — მცენარეული ჰორმონი, რომელიც სოიოს ძირითადი კომპონენტია, კოლაგენის გამომუშავებას ზრდის, რაც კანს სიგლუვესა და ელასტიურობას ანიჭებს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ჰენისტეინი სასარგებლოა ასევე გულის დაავადებების სამკურნალოდაც, რადგან ხელს უშლის არტერიებში თრომბის წარმოქმნას.




# ყავა გახდომაში დაგეხმარებათ




იაპონურმა კომპანიამ Kao Japan ყავა გამოუშვა მარკით Healthya, რომელიც ორგანიზმში ცხიმებს წვავს. საჭირო ეფექტის მისაღწევად, ყავის მარცვლები ჩვეულებრივზე 2,5-ჯერ უფრო მეტ ხანს იხლება და ამ დროს, დიდი რაოდენობის ქლოროგენული მჟავა გამომუშავდება. მწარმოებლები აცხადებენ, რომ ახალი ყავის მოხმარების შემდეგ, ჩატარებული ექსპერიმენტისას, მოხალისეებმა, 12 კვირის განმავლობაში, საშუალოდ 1,5 კილოგრამი დაიკლეს წონაში. ექსპერიმენტში ორივე სქესის 109 წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომლებიც დღის განმავლობაში 185 მილილიტრ სპეციალურ ყავას მიირთმევდნენ. შედეგად, ოთხი კვირის შემდეგ, მოხალისეების 25%-მა წონაში დაიკლო, რვა კვირის შემდეგ ამ მაჩვენებელმა 51%-ს მიაღწია, 12 კვირაში კი დადებითი ეფექტი მონაწილეთა 72%-ში დაფიქსირდა.

# ისრაელის პოლიციაში თაგვები „მსახურობენ"



ებრაული პოლიცია უცნაურ ექსპერიმენტს იწყებს, რომელიც პოლიციელი ძაღლების თაგვებით ჩანაცვლებას გულისხმობს — ოთხფეხა მეგობრების ნაცვლად, სამართალდამცავები ნარკოტიკზე მღრღნელებს „დაგეშავენ“. კანონდამცველები აცხადებენ, რომ ამ მიზნით თაგვების გამოყენების იდეა კომპანია Bio Explorers-მა მიაწოდა, ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მღრღნელებს ყნოსვის სისტემა, ძაღლებთან შედარებით, გაცილებით განვითარებული აქვთ, ახლა ისღა დარჩენიათ გაარკვიონ, შეიძლება თუ არა მღრღნელის ისე გაწვრთნა, რომ ნარკოტიკის ადგილსამყოფელს მიაგნოს. ადგილობრივი მედიის ცნობით, უნიკალური ექსპერიმენტი 5 თვეს გაგრძელდება და დადებითი შედეგის შემთხვევაში, პოლიციის შტატს თაგვები „შეავსებენ“.

# ვაშლი კბილებს ვნებს?



ლონდონის სტომატოლოგიის კოლეჯის სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ზიანის მხრივ, ვაშლი 4-ჯერ (!) აღემატება გაზიან ტკბილ სასმელს. ინგლისელი დანტისტები შეეცადნენ, დაედგინათ კავშირი დიეტასა და კბილების მდგომარეობას შორის. მათ ექსპერიმენტში 18-დან 30-წლამდე ასაკის 1000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც ვაშლს ჭამდა, ემალის დაზიანების ალბათობა 3,7-ჯერ უფრო მაღალი ჰქონდათ. კბილებზე მავნე ზემოქმედებით ვაშლი ლუდზე უარესიც ყოფილა — ქარვისფერი სითხე კბილების დაზიანების რისკს „მხოლოდ“ 3-ჯერ ზრდის. მეცნიერთა მოსაზრებით, ეს ხილი ადამიანის საერთო ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, მაგრამ კბილებისთვის საზიანოა. როგორც მკვლევარები აცხადებენ, თუ ვაშლს რეგულარულად მიირთმევთ მაღალი მჟავიანობა აუცილებლად აისახება კბილების მდგომარეობაზე. მეტიც — ხილის ზოგიერთი ჯიში 4 ჩაის კოვზ შაქარს შეიცავს, რაც პირის ღრუში მჟავიანობის დონეს მკვეთრად ზრდის. მის დასაწევად ერთი ჭიქა წყალი გამოგადგებათ.

# მანათობელი ცხვრების ჯიში გამოიყვანეს

ურუგვაელ მეცნიერთა ჯგუფმა განაცხადა, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული ცხვრები დაიბადნენ, რომლებიც სიბნელეში ანათებენ. ლათინოამერიკაში ასეთი სახის გენმოდიფიცირებული ცხოველები ჯერ არ გამოუყვანიათ და შესაბამისად, ამ წარმატებულ ექსპერიმენტს ურუგვაი მსოფლიო მეცნიერებაში უმაღლეს დონეზე აჰყავს, — აცხადებენ ქვეყნის ცხოველთა რეპროდუქციის ინსტიტუტის მკვლევარები. ახალდაბადებულ ცხვრებს მოძმეებისგან ერთადერთი რამ განასხვავებს — მედუსას გენი.



# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | | | 4 | | | | |
| 1 | | 7 | | | 3 | 5 | | |
| 8 | | 4 | 2 | | 7 | 3 | | |
| | | | 5 | 1 | | 9 | | 4 |
| | | | | | | | | |
| 6 | | 5 | | 7 | 8 | | | |
| | | 2 | 8 | | 4 | 1 | | 3 |
| | | 6 | 7 | | | 4 | | 5 |
| | | | | 9 | | | 2 | 7 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | | | 7 | 6 | | |
| | 6 | | | | | | 7 | 4 |
| | | | | | 2 | | | |
| 1 | | | | 8 | | 7 | 5 | |
| 7 | | 6 | | | | 4 | | 2 |
| | 3 | 4 | | 7 | | | | 8 |
| | | | 1 | | | | | |
| 4 | 2 | | | | | | 3 | |
| | | 7 | 9 | | | 2 | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | | | 4 | | 6 | | 2 |
| 8 | | 5 | | | 1 | | | |
| | | | | | | | 7 | 1 |
| | | | 1 | | | 7 | | 8 |
| | | 4 | 3 | | 2 | 1 | | |
| 9 | | 1 | | | 7 | | | |
| 6 | 3 | | | | | | | |
| | | | 4 | | | 9 | | 7 |
| 4 | | 8 | | 1 | | | 6 | 5 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 8 | | 5 | | | |
| 5 | 8 | | | 6 | | | | |
| | | 7 | 3 | | | 1 | | |
| | 7 | | 5 | | | | | |
| 4 | | 1 | | | | 3 | | 2 |
| | | | | | 3 | | 5 | |
| | | 4 | | | 8 | 5 | | |
| | | | | 5 | | | 7 | 6 |
| | | | 4 | | 6 | | | 9 |



# ჩინელები ყველაზე მეტს მოგზაურობენ

ასეთი დასკვნა ჩინეთის ტურიზმის აკადემიამ გამოაქვეყნა. შარშან სახალხო რესპუბლიკის 80 მილიონი მოქალაქე გაემგზავრა საზღვარგარეთ და ამ მაჩვენებლით ჩინეთმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის მონაცემებს გადააჭარბა. მსგავს რეიტინგში ჩინეთი 2005 წელს მხოლოდ მეშვიდე ადგილზე იყო, უკვე 2011 წელს კი მესამე საფეხურზე გადაინაცვლა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩინელი ტურისტების რიცხვი 20%-ით გაიზარდა, რაც ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე მიუთითებს. გარდა ამისა, ექსპერტების განცხადებით, ჩინელმა მოგზაურებმა ბოლო წლის განმავლობაში, 30%-ით მეტი თანხა დახარჯეს, ვიდრე წინა წლებში. სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წელს ქვეყნის საზღვრებსგარეთ ჩინელებმა 100 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯეს, საიდანაც ორი მესამედი მხოლოდ შოპინგს მოხმარდა.



# შვილის ცხედარს ჩანთით მიასვენებდა

ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის სამართალდამცავებმა მამაკაცი დააკავეს, რომელსაც ქალიშვილის გვამი ჩვეულებრივი, სამგზავრო ჩანთით გადაჰქონდა მორგიდან შინ. გოგონას მძიმე დაავადება სჭირდა, ოჯახს კი, რომელიც ბოლო წლებში სიღატაკეში ცხოვრობდა, სამკურნალო თანხა არ ჰქონდა, მეტიც — მამამ სამგლოვიარო ცერემონიის ორგანიზებაც კი ვერ შეძლო და ამიტომ გადაწყვიტა, მორგიდან ქალიშვილის გვამი ჩანთით წაეღო. ბარგმა მოქალაქეები დააეჭვა და სამართალდამცავებს მიმართეს. ჩანთის სკანერზე გატარებისას, ეკრანზე გვამი რომ დაინახეს, თანამშრომლები გაოგნებულები დარჩნენ. პოლიციამ ჩენგი დააპატიმრა, რადგან ჩინური კანონების მიხედვით, მოქალაქეებს სხეულის ორგანოების საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადატანა ეკრძალებათ, თუმცა მას შემდეგ, რაც მამაკაცმა ვითარება აუხსნა, იგი მალევე გაათავისუფლეს.

# მაქმანიანი საცვალი მამაკაცებისთვის

მაქმანიანი ტრუსი და ბიუსტჰალტერი, შესაძლოა, ნებისმიერი მამაკაცის გარდერობის ნაწილად იქცეს. კოლექცია Homme Mystere, სპეციალურად, ძლიერი სქესისთვისაა შექმნილი და ისეთი სახელით გამოდის, როგორიცაა „მულენ რუჟი“, „დაუვიწყარი“... კოლექციის დიზაინერთა განცხადებით, ახალი საცვალი ყოველდღიური მოხმარებისთვის კომფორტულია.



# კაფე გადაყრილ პროდუქტებზე იმუშავებს

ერთი ამერიკელი სტუდენტი აპირებს, ნიუ-იორკში საკუთარი კაფე გახსნას, რომლის სახელიც Gleaner's Kitchen იქნება. ახალგაზრდის ჩანაფიქრი იმაში მდგომარეობს, რომ კერძებისთვის საჭირო არც ერთ ინგრედიენტს არ შეიძენს — მათ ნაგვის ურნებიდან ამოიღებენ. კერძებს გაფუჭებული პროდუქტისგან არ მოამზადებენ, ტეილერი კაფესთვის მხოლოდ იმ საკვებს აარჩევს, რასაც სასურსათო მაღაზიები ყრიან, მაგრამ მათი გამოყენება ჯერ კიდევ შესაძლებელია. მაგალითად, ბოსტნეულის ვადაგასული შეფუთვა, კვერცხის ყუთი, სადაც ერთი გატყდა და დანარჩენების გამოყენება ჯერ კიდევ შეიძლება... სტატისტიკის მიხედვით, საკვები პროდუქტის დაახლოებით 10%, რომელსაც მოსახლეობა ყიდულობს, განსაკუთრებით კი, დღესასწაულებზე, საბოლოო ჯამში, ნაგავში ხვდება.





საქონლის საკვების დანამატი

სოფელი სამტრედ. რაიონში

წინასწარი განცხადება

პოეზიის ჟანრი

ძალიან პოპულარული ნაწარმოებ.

„ბრმა“ ცხოველი

პურის საცხობი

წვნიანი კერძი

ერთგვარი ელემენტი

არქიტექტურის სტილი

მოფერება ანუ ...

იარაღის მარკა

ჭურჭელი

ქვასანაყი ანუ ..

სარეკლამო განცხადება

ექვსხელა კერპი

მდინარე ევროპაში

მჭადის ფქვილის თათარა

ქართული პამპერსი

საკუთარ თავზე შეყვარებული

კომპიუტერული ტერმინი

რძის პროდუქტი

ტელევიზორის დეტალი

კუნძული კარიბის ზღვაში

დორბლი ანუ ...

იტალიელი კომპოზიტორი

აზიელი მკურნალი მეცნიერი

ქალაქი შვეიცარიაში

კურცხალი ანუ..

„მატრიცას“ კინო გმირი

ცნობილი ენციკლოპედია



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.